შემცირებული და დამცირებული A2 | ქართული პრივატიზაციის "ნაციონალური" თავისებურებანი A4 | ავტომობილი B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 20 იანვარი, 2005 წელი. №12 (872) | ფასი 50 თეთრი

*პოლიტიკა*

## საქართველოს ხელისუფლება "ინტერპაიპს" ბრალდებებით პასუხობს



სატენდერო კომისიის წარმომადგენელი მინისტრები აცხადებენ, რომ კორპორაციული ომი ზესტაფონის ფეროს გაჩერებას და ქვეყნის საინვესტიციო იმიჯის შელახვას გამოიწვევდა.

A2

*საზოგადოება*

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

### როგორც ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევათა ნაციონალური ცენტრი



ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული პროგრესი და, საზოგადოდ, ქვეყნის უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან და მეცნიერული ცოდნის ადეკვატურ გამოყენებასთან.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A8

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

*ამინდი*

| | 20/1 | 21/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 10 | 9 |
| ქუთაისი | 12 | 12 |
| ბათუმი | 13 | 12 |
| სოხუმი | 11 | 11 |
| ფოთი | 12 | 12 |
| თელავი | 9 | 8 |
| ზუგდიდი | 12 | 12 |
| გორი | 7 | 6 |
| ახმეტა | 8 | 8 |
| ჭიათურა | 9 | 8 |
| გაგრა | 8 | 9 |
| სამტრედია | 12 | 12 |

*უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში*

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.3704 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3825 |
| რუბლი | 0.0647 |

# "სააკაშვილმა კუჩმას სიძე გადააგდო"

უკრაინული გაზეთის სათაური



უკრაინელები, ფრთხილი განცხადებების მიუხედავად, აშკარად გაუგებრობაში მოხვედრილად მიიჩნევენ თავს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*"ინტერპაიპი" მარცხს არ ეგუება და ჭიათურისთვის ბრძოლას კვლავ განაგრძობს. სახელმწიფო კანცელარიაში ეკონომიკური გადაწყვეტილება მიიღეს თუ პოლიტიკური? - ამ კითხვას პასუხს უმსხვილესი უკრაინული კორპორაციის "ინტერპაიპის" წარმომადგენლები თავს არიდებენ და სატენდერო კომისიის მუშაობას "უჩვეულოსა და საეჭვოს" უწოდებენ. გუშინ "ინტერპაიპის" წარმომადგენლებმა სასტუმრო "მარიოტში" პრესკონფერენცია გამართეს და საკმაოდ ფრთხილი განცხადებები გააკეთეს.*

სოფო ბუკია

"ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" მფლობელი რუსული კომპანია "ევრაზჰოლდინგი" გახდა. სატენდერო კომისიამ აღნიშნული გადაწყვეტილება 18 იანვარს, გვიან ღამით, სახელმწიფო კანცელარიაში მიიღო.

**"ტენდერში გამარჯვებული ჯგუფი მზად არის, 132 მლნ. დოლარი საკუთრების გაფორმებისთანავე გადაიხადოს,"** - აღნიშნა ტენდერის შედეგებით კმაყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჟვანიამ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# თვითმხილველი "მწვანე ტალღაზე"

B3



ერთადერთი ქართველი, რომელიც გასული წლის მიწურულს ტაილანდში დატრიალებული ტრაგედიის მოწმე იყო.

## ხელისუფლებამ უნდა თქვას: შეგვეშალა

ვერიკო თევზაძე

*დღის შეკითხვა: რა კომენტარს გაუკეთებდით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კრიტიკულ შენიშვნებს, განსაკუთრებით, ისეთი საკითხებისადმი, როგორებიცაა: 1. 2004 წლის თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებები; 2. შვიდპროცენტიანი ბარიერის დაწევა; 3. აჭარის ავტონომიის სტატუსი; 4. სასამართლოს და ძალოვანი სტრუქტურების რეფორმა.*

**მაია ნადირაძე,** *საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელი:*

**1.** ევროსაბჭოს პოზიციას, რომ ყველა ძალა დაბალანსებული არ არის, ჩვენც ვიზიარებთ. ეს ნათლად ჩანს კონსტიტუციაში, სადაც ვამბობთ: მაქსიმუმ, შვიდ წელიწადში ეს უნდა შევცვალოთ. რატომ გავაკეთეთ ასე და არ მივბაძეთ 200-წლიანი გამოცდილების დემოკრატიულ ევროპულ ქვეყნებს? იმიტომ, რომ ქვეყანა არის დაშლილი, აქვს საბჭოეთის ძალიან ცუდი, ასევე კორუფციული ხელისუფლების საშინელი გამოცდილება და არსებობს რაღაც სტერეოტიპები, რომლის შეცვლასაც განსაკუთრებული ზომები სჭირდება, გარკვეულწილად - მენეჯმენტი. ამდენად, ახლა ასეთი რეალობა იყო. იმ პრეზიდენტს, რომელიც დღეს გვყავს, ჰქონდა ძალიან მაღალი რეიტინგი და ძალაუფლების განხორციელების სერიოზული მოტივაცია. მოკლედ რომ ვთქვა, სახეზე არ გვაქვს იდეალურად გაწონასწორებული ძალაუფლების გადანაწილება, მაგრამ ვითვალისწინებთ რეალობას.

გაგრძელება A3 გვერდზე

## კონდოლიზა რაისი - აშშ-ს საგარეო პოლიტიკის "ტკბილხმოვანი" ქორი

კოტე ელიზბარაშვილი

*უცხოელ ელჩებთან და თეთრი სახლის სხვა სტუმრებთან პირად შეხვედრებში კონდოლიზა რაისი აღნიშნავდა, რომ მისი ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი ამერიკის იმიჯის აღდგენა და მის მთავარ მოკავშირეებთან ურთიერთობების გაუმჯობესება იქნება. უკვე ნათელია, რომ რაისის მეთაურობით სახელმწიფო დეპარტამენტი, გაცილებით მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ითამაშებს, ვიდრე ეს განვლილი ოთხი წლის მანძილზე ხდებოდა.*

გაგრძელება A5 გვერდზე

გრძელდება ხელმოწერების კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.



A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ავტომობილი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# შემცირებულნი და დამცირებულნი

## სამხედრო უწყების თანამშრომელთა მორიგი შემცირების ჰუმანური და სოციალური პრობლემები

*თავდაცვის მინისტრების შეცვლა, რიგით მესამე ახალი ხელისუფლების ერთწლიანი მმართველობის განმავლობაში, სოციალურ დისკრიმინაციად შემოუტრიალდა თავდაცვის მინისტრის სამოქალაქო ოფისისა და გენერალური შტაბის ასეულობით თანამშრომელს. სამხედრო უწყების ბევრმა მოხელემ ირწმუნა პრეზიდენტ სააკაშვილის წინასაახალწლო დაპირება, რომ მინისტრების მორიგი შეცვლა არ იმოქმედებდა თანამშრომელთა სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მაგრამ ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე მათ გათავისუფლების შესახებ შეიტყვეს.*

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"*

უმუშევრად დარჩენილი ადამიანების უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, რომლებმაც სამხედრო უწყებაში სამსახური შეგნებულად აირჩიეს და ვერასოდეს იფიქრებდნენ, რომ სამსახურიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების და სოციალური გარანტიების გარეშე გამოისტუმრებდნენ. მათ შორის არის 25 წლის იურისტი ეკა ჭოჭუა, რომელსაც 5 წლის შვილი და შრომის უნარს მოკლებული მშობლები ჰყავს. ეკა სამსახურიდან ისე გაათავისუფლა იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ, რომ არ გაითვალისწინეს მისი ოჯახური მდგომარეობა.

**"მე მქონდა სამსახურში დარჩენის უპირატესი უფლება, რადგან მყავს 5 წლის შვილი, ჩემი ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობს, მამა პენსიონერია. მაგრამ ეს პირობები არ იქნა გათვალისწინებული. ეს, პირველ რიგში, შეურაცხმყოფელია. მეორ მხრივ კი პროფესიონალიზმი უნდა შეფასდეს კონკურსის გზით და არა ისე, რომ ხელმძღვანელმა სუბიექტურად გადაწყვიტოს თანამშომლის თანამდებობაზე დარჩენა-არდარჩენა,"** - ამბობს ეკა ჭოჭუა, რომელიც დარწმუნებულია, რომ საორგანიზაციო-საშტატო ცვლილებების განხორცილებისას, მისი პირადი ხელმძღვანელი სუბიექტური მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტიდან, ყოველგვარი ტესტირების გარეშე გამოისტუმრეს 24 წლის ნინო თურმანიძეც, რომელმაც 2 წლის წინ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი წითელ დიპლომზე დაამთავრა და გადაწყვიტა, კარიერა სახელმწიფო სამსახურში გაეკეთებინა. ნინო იხსენებს, რომ ორი წლის წინ, როდესაც თავდაცვის სამინისტროს იურიდიულ დეპარატმენტში დაინიშნა, სამოქალაქო პირების ხელფასი მხოლოდ 30 ლარს შეადგენდა, სამუშაო კი აურაცხელი იყო. ახლობლები მას გამოუსწორებელ იდეალისტად მიიჩნევდნენ, თუმცა, როგორც ნინო ამბობს, მას იმედი ჰქონდა, რომ ვითარება ახალი ხელისუფლების დროს შეიცვლებოდა და ახალგაზრდა გამოცდილ კადრებს სამოქალაქო თანამდებობაზე მუშაობის შესაფერისი პირობები გაუჩნდებოდათ. თუმცა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მინისტრების ხშირი ცვლის გამო, ნინო თურმანიძე სამჯერ გახდა საორგანიზაციო-საშტატო ექსპერიმენტის მსხვერპლი.

**"მინისტრების შეცვლის დროს ჩვენ კანკალით ველოდებოდით ახალ ხელმძღვანელს. ყოველთვის ისე ხდება, რომ ახლებს ნაცნობები მოჰყავთ. ოქრუაშვილის მოსვლის შემდეგაც ასე მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელმძღვანელი არ შეცვლილა, მაინც დაგვითხოვეს თანამდებობიდან. მე პირადად არ ველოდი, რომ დამითხოვდნენ სამსახურიდან,"** - გვითხრა ნინო თურმანიძემ.

ირაკლი ოქრუაშვილის მინისტრად წარდგენის დროს, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაჰპირდა სამხედრო უწყებაში დასაქმებულ თანამშრომლებს, რომ თანამდებობას არა საშუალო და დაბალი რგოლის მოხელეები, არამედ, ძირითადად, მინისტრის მოადგილეები და რამდენიმე საკვანძო დეპარტამენტის უფროსი დატოვებდა. მაგრამ ახალი წლის წინ ყველა დეპარტამენტმა მიიღო დავალება, 40 პროცენტით შეემცირებინა საშტატო ერთეულები. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა მამუკა კიკალეიშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ გათავისუფლებული ექვსი თანამშრომელი დაბალი კვალიფიკაციისა და კანონების უცოდინარობის გამო დაითხოვა, თუმცა ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ და რა კრიტერიუმებით განსაზღვრა მან ხელქვეითების პროფესიონალიზმი, გვიპასუხა, რომ ასეთი საკონკურსო კრიტერიუმები დამტკიცებული არ არის.

**"კრიტერიუმები შემუშავებულია, თუმცა, სამწუხაროდ, ამ გაუთავებელი რეორგანიზაციების გამო არ არის დამტკიცებული. ეს ვერც ბარამიძის დროს მოხერხდა და ჯერ ვერც ოქრუაშვილმა მოასწრო. პირადად მე ოფიციალური წერილით წარვადგინე ის საკონკურსო მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდნენ იურიდიული დეპარატამენტის თანაშრომელები. ეს დაახლობით ოცდაათპუნქტიანი მოთხოვნაა,"** - ამბობს მამუკა კიკალეიშვილი.

მაგრამ მამუკა კიკალეიშვილი ცამდე მართალიც რომ იყოს, ნებისმიერი რანგის მოხელის შემცირება კანონიერად და სოციალური დაცვის მოთხოვნებით უნდა მოხდეს. ანუ ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ადამიანი ქუჩაში არ დარჩეს, იზრუნოს მის პროფესიულ გადამზადებაზე და გადაუხადოს მას ერთჯერადი საკომპენსაციო თანხა, ორი თვის ხელფასის ოდენობით. მაგრამ სახელმწიფო სამსახურებიდან ადამიანების გათავისუფლებას საქართველოში არ აქვს ადამიანური სახე. დღემდე არ არსებობს გადამზადების პროგრამა. მეტიც, წელს, სამხედრო უწყების თანამშრომელთა მესამე შემცირების წინ, თავდაცვის ხელმძღვანელობამ ისე მოაწყო საქმე, რომ უმუშევრად დარჩენილი სამასი თანამშრომელი ერთჯერადი ანაზღაურების თანხას მხოლოდ 2006 წელს მიიღებს.

რჩება ერთადერთი გამოსავალი, სამხედრო უწყებიდან დათხოვნილი თანამშრომლები აპირებენ, სასამართლოს გზით მიიღონ კანონით გასაზღვრული თანხა და მიაღწიონ იმას, რომ მათი კვალიფიკაცია არა რომელიმე თანამდებობის პირმა განსაზღვროს, მის მიერვე შემუშავებული კრიტერიუმებით, არამედ ობიექტურმა კომისიამ შეაფასოს. მაგრამ როგორც ჩვენმა რესპონდენტებმა აღნიშნეს, მაშინაც კი, თუკი ისინი სასამართლოს გზით აღდგებიან თანამდებობაზე, მათ უკვე აღარ სურთ იმ სახელმწიფო სამსახურში დაბრუნება, საიდანაც ადამიანებს კონვეიერული წესით ერეკებიან.

**P.S.** ორი დღის წინ კი გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ "ჯარების მართვის სტრუქტურების დახვეწის მიზნით" გააუქმეს კადეტთა კორპუსი, რომელიც, ალბათ, ყველაზე ქვედა რგოლია სამხედრო უწყების იერარქიულ სისტემაში. საბჭოური სამხედრო განათლების ამ რელიქტის გაუქმებაზე, შესაძლოა, ადამიანს გული დიდად არ დასწყვეტოდა, რომ არა ისევ სოციალური და ჰუმანური მხარე. ამ დაწყებით სამხედრო სასწავლებელში 13-14 წლის ბიჭუნები სწავლობდნენ, მათგან კი რამდენიმე იქ ქუჩის თავშესაფრიდან მოხვდა, რომელთა ბედი ამ გადაწყვეტილების შემდეგ აბსოლუტურად გაურკვეველი გახდა.

# მიხეილ სააკაშვილის გეგმა

23 იანვარს საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობის მიზნით, სტრასბურგში გაემგზავრება. სხვა საკითხებთან ერთად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე განიხილება ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის მოხსენება, რომელიც საქართველოს ეხება. საპარლამენტო ასამბლეის სხდომები 24 იანვრიდან იწყება. საქართველოს საკითხის მოსმენა კი 26 იანვრისთვის იგეგმება. საუბარია საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასა და იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე იკისრა.

სტრასბურგში გამგზავრებას გეგმავს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საპარლამენტო ასამბლეას ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში კონფლიქტების დარეგულირების ახალ გეგმას წარუდგენს. როგორც პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე აცხადებს, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ევროსაბჭოში სერიოზული შანსია, თანამეგობრობის ყველა წევრმა სახელმწიფომ კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით საქართველოს კონცეფცია უშუალოდ მოისმინოს, მათ შორის, რუსეთმაც. საქართველოს დელეგაციის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პარლამენტარები ირინა ქურდაძე, ელენე თევდორაძე, ნინო ნაკაშიძე და კიდევ რამდენიმე დეპუტატი, სამშობლოში თვის ბოლოს დაბრუნდებიან. დელეგაციას გიგა ბოკერია უხელმძღვანელებს.

*მედია-ნიუსი*

# ლავროვის აღიარება

## ეუთო-ს მისია რუსეთმა დაბლოკა

გიორგი ასანიშვილი



2004 წლის საგარეო პოლიტიკური შედეგების შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი საქართველო-რუსეთის სამომავლო ურთიერთობებსაც შეეხო. რუსეთის დიპლომატიური უწყების მეთაურის თქმით, იგი აპირებს, 18 თებერვალს თბილისს ოფიციალურ ვიზიტად ეწვიოს და რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების საკითხები განიხილოს.

სწორედ ამ კონტექსტში ახსენებს რუსი მინისტრი "ჩარჩო ხელშეკრულებას", რომლის შესახებ მოლაპარაკებებიც უკვე რამდენიმე თვეა, აღარ გამართულა. **"უახლოეს პერიოდში ქართულ მხარესთან იგეგმება მოლაპარაკებები ორმხრივი ურთიერთობების მთელ კომპლექსზე, რაც ხელშეკრულებაზე მუშაობის დაჩქარების საშუალებას მოგვცემს,"** - აცხადებს სერგეი ლავროვი. მისივე თქმით, თბილისში მისი მომავალი ვიზიტის დროს განხილული იქნება საქართველოში არსებული ინფრასტრუქტურის, მათ შორის, რუსული სამხედრო ბაზების ანტიტერორისტულ ცენტრებად გარდაქმნის საკითხიც.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კომენტარი გააკეთა, აგრეთვე, პანკისის ხეობის გარშემო ბოლო დროს ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით.

**"საქართველოს ეს რეგიონი, უკვე მრავალი წელია, ჩვენს შეშფოთებას იწვევს. ბოლო პერიოდში აეწყო თანამშრომლობა რუსეთისა და საქართველოს სასაზღვრო უწყებებს შორის, რამაც გარკვეული შედეგები გამოიღო, მაგრამ ყველა პრობლემა მაინც არ არის მოხსნილი. ამ სფეროში თანამშრომლობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, რათა პანკისის ხეობა არ გახდეს ტერორისტების შუალედური ბაზა, მათი დასასვენებელი ზონა,"** - აცხადებს სერგეი ლავროვი.

ამასთან, მინისტრი ადასტურებს, რომ მისიის საქმიანობის დაბლოკვა რუსეთის ინიციატივით მოხდა, მაგრამ, თურმე, დაუშვებელია, რომ მოსკოვის ეს ნაბიჯი "პოლიტიკურ დივერსიად" შეფასდეს. **"ეუთო-ს მისიის შენახვა 15 მილიონი ევრო ჯდებოდა, ამ ფულის დახარჯვა კი უფრო მეტ ეფექტს, მათ შორის საქართველოსთვის, მაშინ მოიტანს, თუ ის სასაზღვრო სამსახურის განმტკიცებისკენ იქნება მიმართული",** - აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც, ალბათ, კარგად მოეხსენება, რომ ამა თუ იმ ქვეყნის საზღვრის დამცავ უწყებებს ეუთო არ აფინანსებს და არც მომავალში დააფინანსებს.

18 თებერვალს თბილისში ჩამოსვლამდე, სერგეი ლავროვი ერევანს ეწვევა და რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის საკითხს განიხილავს, რაც, თავის მხრივ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს უკავშირდება.

**"საქართველოსთან ურთიერთობების განვითარებით, შესაძლებელი იქნება სომხეთთან სარკინიგზო მიმოსვლის საკითხის გადაჭრა,"** - იმედოვნებს ლავროვი.

# "სააკაშვილმა კუჩმას სიძე გადააგდო"

პირველი გვერდიდან

18 იანვრის ღამემდე საპრივატიზაციო დოღის ლიდერად და ჭიათურა-ვარციხეჰესის პაკეტის ყველაზე რეალურ მფლობელად უკრაინულ კომპანია "ინტერპაიპს" ასახელებდნენ, თუმცა საპრივატიზაციო პროცესის უკანასკნელ ეტაპზე "ინტერპაიპის" წარმომადგენლები სახელმწიფო კანცელარიას ტოვებენ შემდეგი განცხადებით: **"გაურკვეველ პროცესებში მონაწილეობის სურვილი ნამდვილად არ გვაქვს."**

"ინტერპაიპის" მმართველი საბჭოს წევრებისთვის გაუგებარია, რატომ დათანხმდა საქართველოს ხელისუფლება რუსული "ევრაზჰოლდინგის" მიერ შემოთავაზებულ 132 მლნ. დოლარს, **"მაშინ, როცა ჩვენ 137 მლნ. დოლარს ვიხდიდით."**

როგორც "ინტერპაიპის" მმართველი საბჭოს წევრი, საპრივატიზაციო პროცესის ხელმძღვანელი იგორ შლონსკი აღნიშნავს, თავდაპირველად საპრივატიზაციო პროცესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაიწყო. **"თუმცა, 11 იანვარს, დალუქული კონვერტების გახსნის შემდეგ, როცა სტანდარტების თანახმად, ფასები და გამარჯვებული კომპანია უნდა დასახელებულიყო, რატომღაც ისევ ფასებზე ვაჭრობა წამოიწყეს,"** - აღნიშნა შლონსკიმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, საკუთარ განაცხადში "ინტერპაიპს" მითითებული ჰქონდა ფასი 117 მილიონი დოლარი, მაგრამ იქვე აღნიშნული იყო, რომ უკრაინული კომპანია მზად არის, ზესტაფონის "ფეროს" შესაძენად დამატებით 20 მილიონი დოლარი გაიღოს. **"ჩვენ გვესმის, რომ ზესტაფონის ფერო პირობით საკუთრებაში იმყოფება და თუ სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდებოდა, ჩვენ მზად ვიყავით, ის 20 მილიონ დოლარად შეგვეძინა. ჭიათურას, ზესტაფონთან ერთად, ჩვენ 137 მილიონად ვყიდულობდით,"** - აღნიშნავს შლონსკი. მისი თქმით, სატენდერო კომისიის წევრებმა "ინტერპაიპს" მოსთხოვეს, რომ განაცხადიდან ზესტაფონის ფერო ამოეღოთ. **"ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ფეროს პრივატიზაცია უკვე ჩატარებულია და ვერაფერს გავაწყობთო. ჩვენ დავთანხმდით და განაცხადიდან ზესტაფონი ამოვიღეთ. ჩვენ ზესტაფონი ამოგვაღებინეს, სხვებმა კი განაცხადი ზესტაფონის ჩათვლით დაწერეს,"** - ამბობს შლონსკი, რომელიც ჭიათურის პაკეტთან დაკავშირებულ საპრივატიზაციო პროცესს თამაშს ადარებს, სადაც წესები ყოველ წამს იცვლება.

**"მე ვერ ვხედავ სხვა კომპანიას, რომელიც უფრო მეტად დაინტერესებულია ჭიათურმანგანუმის ეკონომიკური განვითარებით და მე გამიკვირდება, თუ ეს მოხდება. ვფიქრობ, რომ თუკი ჩვენ არ ვუხელმძღვანელებთ მას, ეს ცუდად იმოქმედებს ჩვენს კომპანიაზე, ჭიათურმანგანუმზე და ქვეყნის ეკონომიკაზე,"** - აღნიშნა კომპანიის მმართველი საბჭოს თავმჯდომარემ იგორ იაროსლავცევმა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ კონკურსში გამარჯვებულად რუსული "ევრაზია ჰოლდინგი" გამოაცხადა, "ინტერპაიპი" კვლავაც გააგრძელებს მოლაპარაკებებს საქართველოს ხელისუფლებასთან და ბოლომდე შეეცდება საკუთარი ინტერესების დაცვას, ანუ "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" შესყიდვას. თუ რა გზით აპირებს საკუთარი ინტერესების დაცვას უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას სიძის, ვიქტორ პინჩუკის კომპანია, ჯერჯერობით უცნობია. **"ჩვენს სამომავლო გეგმებს ამ ეტაპზე არ ვახმოვანებთ,"** - აცხადებს იაროსლავცევი, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, საქართველოს თბილი სიტყვებით იხსენიებს და "მარიოტში" შეკრებილ ჟურნალისტებს უმხელს, რომ მას ქართველი მეუღლე ჰყავს.

ის, რომ უკრაინული "ინტერპაიპისთვის" ჭიათურის შეძენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, უკრაინული მედიაც ადასტურებს. როგორც უკრაინული პრესა აღნიშნავს, ვიქტორ იუშენკოს ინაუგურაციის შემდეგ, უკრაინის გენერალური პროკურატურის დღის წესრიგში აუცილებლად დადგება კუჩმას პრეზიდენტობის დროს გაფორმებული ზოგიერთი საპრივატიზაციო შეთანხმების ხელახალი გადახედვა. მათ შორის, ეჭვქვეშაა დაყენებული უკრაინის უმსხვილესი ფოლადსადნობი ქარხნის "კრივოროჟსტალის" პრივატიზაციის კანონიერებაც. "კრივოროჟსტალის" მფლობელი კი სწორედ პინჩუკი და მისი კომპანია "ინტერპაიპი" გახლავთ. პინჩუკი პრივატიზაციას კანონიერს უწოდებს და ამ საკითხის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს პოლიტიკურ დევნად აფასებს. როგორც გაზეთი "Wall Street Journal"-ი წერს, პინჩუკის მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს პინჩუკის კუთვნილმა ტელეარხმა ერთ-ერთმა პირველმა გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს პოლიტიკური ოპონენტების მიერ ვიქტორ იუშენკოს მოწამვლა სიცრუეა და ოპოზიციის ლიდერი თავისი ჯანმრთელობის რეალურ პრობლემებს მალავს.

უკრაინული პრესა გუშინ ასეთი სათაურებით აქვეყნებდა ინფორმაციებს: "სააკაშვილმა კუჩმას სიძე "გადააგდო", "სააკაშვილმა პინჩუკის "ჩაძირვა" გადაწყვიტა", "უკრაინელი მაგნატი ნერვიულობს"...

## ორი სიტყვით

**თელავი.** დღეს კახეთიდან რეზერვისტთა ბატალიონში გოგონათა 40-კაციანი ჯგუფი გაემგზავრება. ოსიაურში გამგზავრების სურვილი როგორც სახელისუფლებო ორგანიზაციების - რაიონის გამგეობის, ქალაქის მერიის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა - "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" და "თავისუფლების ინსტიტუტის" თანამშრომლებმა გამოთქვეს. მათი მგზავრობის ხარჯებს თელავის რაიონის გამგეობა გაიღებს, რომელიც თითოეულ რეზერვისტს ჯილდოდ 100 ლარს გადასცემს. რეზერვისტი გოგონები ოსიაურში 14 დღეს იმსახურებენ და მედდის კურსებს გაივლიან. გუშინ კი საქართველოს შეიარაღებული ძალების საჩხერის სამხედრო ბაზაზე რეზერვისტთა ახალი ბანაკი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. რეზერვისტთა მორიგი ბატალიონი გურიის რეგიონის 350-მდე მოქალაქით არის დაკომპლექტებული, რომელთა შემადგენლობაში სამი ქალბატონია. რეზერვისტები სამკვირიან წვრთნას გაივლიან, რის შემდეგაც შეიარაღებელი ძალების რეზერვში ჩაირიცხებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გალის რაიონის სოფელ ოტაბაიადან გატაცებული, 45 წლის მურმან ბიგვავა, რომელიც სოხუმის იზოლატორში იყო გადაყვანილი, აფხაზურმა მხარემ 19 იანვარს უპირობოდ გაათავისუფლა. მისი გათავისუფლება კი სამეგრელო-ზემო სვანეთში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის გიგი უგულავას და გაეროს სამხედრო დამკვირვებლების ჩარევით მოხდა. რაც შეეხება სოხუმის იზოლატოროში მყოფ კიდევ ერთ მკვიდრს, რატიას, მისი გათავისუფლების საკითხს ქართული მხარე 20 იანვარს ჭუბურხინჯის შეხვედრაზე დასვამს. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი.** 20 იანვარს სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის სხდომა გაიმართება, რომლის დღის წესრიგშიც 25 საკითხია შეტანილი. წინასწარი ინფორმაციით, მოხსენებებს გააკეთებენ ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური; ისაუბრებენ, აგრეთვე, ცხინვალსა და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე. სავარაუდოდ, პრივატიზებასთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანიაც. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მოძრაობა "წინ საქართველოს" ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი ხელისუფლებას კოდორის ხეობაში გადამცემი ხაზების განზრახ დაზიანებაში და სახელმწიფო ინტერესების ღალატში ადანაშაულებს. ბათიაშვილის მტკიცებით, ხეობაში სადამსჯელო ოპერაციის ჩასატარებლად ჩასული სპეცდანიშნულების რაზმები ადგილობრივმა მოსახლეობამ სოფელ საკენსა და ომარიშარაში განაიარაღა, მოლაპარაკებების შემდეგ კი იარაღიანად გაათავისუფლა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** გუშინწინ, გვიან ღამით თბილისი-სენაკის საავტომობილო მაგისტრალის იგოეთის მონაკვეთზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. დიდი სისწრაფით მოძრავი მიკროავტობუსი თბილისის მიმართულებით მოძრავ "ვაზ 2108" მარკის ავტომანქანას შეეჯახა. ავტომანქანის მძღოლი და მისი თანმხლები პირი ადგილზე გარდაიცვალნენ. მათი ვინაობა, ჯერჯერობით, დაუდგენელია. მიკროავტობუსის რამდენიმე მგზავრი სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებებით კასპის საავადმყოფოში გადაიყვანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ფოთი.** გუშინ ხობის რაიონში საგვიჩიოს გადასახვევთან შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამხარეო პოლიციის მიერ ერთობლივად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულია ოთხი შეიარაღებული ბოროტმოქმედი. სამართალდამცველების მიერ ამოღებულია ნიღბები და ცეცხლსასროლი იარაღი. დაკავებულთა ბრალეულობის დასადგენად საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს. **ინტერ-პრესი**


# შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს:

**აერონავიგაციის დისპეჩერი (ბათუმი, ქუთაისი, სენაკი)**

ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისისა და ქ. სენაკის აეროპორტებისა და სანავიგაციო სისტემების საკადრო შემადგენლობის შერჩევა-გადამზადებისათვის შპს "საქაერონავიგაციის" ადმინისტრაცია აცხადებს კონკურსს იმ პირთათვის, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. საქართველოს მოქალაქე;
2. საცხოვრებელი ადგილი - შესაბამისად აჭარის, იმერეთის ან სამეგრელოს რეგიონი;
3. ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე;
4. პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა მაღალ დონეზე;
5. უმღლესი განათლება;
6. წლოვანება 24 წლამდე;
7. კომუნიკაბელურობა;
8. სასურველია გამოცდილება ავიაციაში.

შერჩეული კანდიდატები გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, რის შემდეგაც დაიკავებენ ზემოაღნიშნულ ვაკანტურ პოზიციებს. სწავლების პერიოდი 2-იდან 5 წლამდე, ეტაპობრივად მზარდი ანაზღაურებით 200-იდან 500 ლარამდე.

დაინტერესებულმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მოყვანილ პირობებს უნდა წარმოადგინონ:

1. ბიოგრაფიული მონაცემები (**CV**);
2. მოკლე წერილი თუ რატომ გსურთ ამ პროფესიის დაუფლება და გქონიათ თუ არა წარსულში რაიმე სახის კავშირი ავიაციასთან;
3. დიპლომის / სერტიფიკატების ასლი;
4. ჯანმრთელობის ცნობა;
5. 2 ფოტოსურათი 3X4.

შემდეგ მისამართზე: შპს "საქაერონავიგაცია", თბილისი, აეროპორტი, 0558, კადრების განყოფილება. ტელეფონი: +995 32 947583, 947706, 947623. ელ-ფოსტა: **office@airnav.com.ge, nino@airnav.com.ge.** საკონტაქტო პირი ევგენია მირიანაშვილი, ნინო გეგუჩაძე. საბუთების მიღება-გამოგზავნის ბოლო ვადაა 2005 წლის 28 თებერვალი.

**საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი (ბათუმი, ქუთაისი, სენაკი)**

ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისისა და ქ. სენაკის აეროპორტებისა და სანავიგაციო სისტემების საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობის შერჩევა-გადამზადებისათვის შპს "საქაერონავიგაციის" ადმინისტრაცია აცხადებს კონკურსს იმ პირთათვის, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. საქართველოს მოქალაქე;
2. საცხოვრებელი ადგილი - შესაბამისად აჭარის, იმერეთის ან სამეგრელოს რეგიონი;
3. ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე;
4. პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა მაღალ დონეზე;
5. უმაღლესი განათლება ელექტრო-რადიო-ტქნიკური განხრით;
6. კავშირგაბმულობის (კომუნიკაციების სისტემების) საფუძვლების თეორიული ცოდნა;
7. ასაკი 35 წლამდე;
8. კომუნიკაბელურობა;
9. გამოცდილება ავიაციაში.

სამუშაოზე მიღება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე. ხელფასი მზარდია და ეტაპობრივად განისაზღვრება 300-იდან 700 ლარამდე

დაინტერესებულმა პირებმა, რომლების აკმაყოფილებენ ზემოთ მოყვანილ პირობებს უნდა წარმოადგინონ:

1. ბიოგრაფიული მონაცემები (**CV**);
2. მოკლე წერილი თუ რატომ გსურთ ამ ვაკანსიის დაკავება და გქონიათ თუ არა წარსულში რაიმე სახის კავშირი ავიაციასთან;
3. დიპლომის / სერტიფიკატების ასლი;
4. ჯანმრთელობის ცნობა.
5. 2 ფოტოსურათი 3X4

შემდეგ მისამართზე: შპს "საქაერონავიგაცია", თბილისი, აეროპორტი, 0558, კადრების განყოფილება. ტელეფონი: +995 32 947583, 947706, 947623. ელ-ფოსტა: **office@airnav.com.ge, nino@airnav.com.ge.** საკონტაქტო პირი ევგენია მირიანაშვილი, ნინო გეგუჩაძე. საბუთების მიღება-გამოგზავნის ბოლო ვადაა 2005 წლის 28 თებერვალი.


მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ხელისუფლებამ უნდა თქვას: შეგვეშალა

პირველი გვერდიდან


მაია ნადირაძე

დემოკრატიული გამოცდილების უამრავი ქვეყანა არსებობს, სადაც ასევე დარღვეულია ბალანსი. მაგალითად, ჩვენთან ბევრს ლაპარაკობენ, რატომ აქვს პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება. ეს, ლამის, დემოკრატიის დაგმობად შეაფასონ. ჩვენთან პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება აქვს რაღაც განსაკუთრებულ კონკრეტულ შემთხვევაში. საფრანგეთის კონსტიტუციით, პრეზიდენტს შეუძლია, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, როცა უნდა, მაშინ დაითხოვოს პარლამენტი. ისეთმა ცნობილმა პრეზიდენტმა, როგორიც არის მიტერანი, ეს ორჯერ ნამდვილად გააკეთა, თუ არ ვცდები - სამჯერაც. როცა პრეზიდენტი ამგვარ გადაწყვეტილებას უსამართლობის საფუძველზე მიიღებს, ამას შედეგად მოჰყვება უფრო მეტად ოპოზიციური პარლამენტი. ამდენად, არა მგონია, რომ ეს ჩვენთვის დემოკრატიის დასასრული იყოს.

კიდევ ერთი რამ, რაზეც ყურადღებას გავამახვილებ. წინა კონსტიტუციაში ჩადებული რომ ყოფილიყო პარლამენტის დათხოვნის, ან, განსაკუთრებულ შემთხვევაში, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მექანიზმი, შეიძლება არ დაგვჭირვებოდა რევოლუცია, რაც ძალიან სახიფათოა. როცა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის არანაირი იურიდიული ბერკეტი არ არსებობს, ხალხი იძულებულია, ქუჩაში გამოვიდეს.

მე ვერასდროს ვერავინ დამარწმუნებს, რომ პარლამენტის დათხოვნის ასეთი ძალიან განსაკუთრებული და კონკრეტული შემთხვევა (როგორიც ჩვენთანაა) დემოკრატიის დაკნინებაა. მე მეჩვენება, რომ საქმე პირიქითაა. უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ.

**2.** რაც შეეხება საარჩევნო ბარიერის დაწევის საკითხს, მათიას იორშმა ჩემთან საუბარში თქვა, სტანდარტებით ვხელმძღვანელობთ და ძალიან ვწუხვართ, რომ ოპოზიცია არ გყავთო.

ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვა, დაახლოებით, 90 ათასი ამომრჩევლის მხარდაჭერას მოითხოვს. ქვეყანაში, სადაც, როგორც გითხარით, კორუფციის, გაყალბების, მოსყიდვის დიდი გამოცდილება არსებობს, ყოველთვის შეიძლება ჩვენდამი მტრულად განწყობილმა სახელმწიფოებმა გარკვეული ჯგუფები დააფინანსონ და თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენონ. ანუ ჩვენ ოპოზიციის გამოჩენის პრობლემა კი არ გვაქვს, არამედ - ცრუ პოლიტიკური დაჯგუფებებისა, მით უმეტეს, იმ მონაცემების პირობებში, როცა ეს არჩევნები ტარდებოდა. ამის გამო არ დავწიეთ ბარიერი.

**3.** აჭარის პრობლემის მოგვარების, ანუ აბაშიძის რეჟიმის დამხობის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ასეთი ვითარება შეიქმნა: სერიოზული პოლიტიკური ჯგუფები და ფიგურები ითხოვდნენ ავტონომიის გაუქმებას. მეორე ძალა, ასევე სერიოზული, მხარს უჭერდა იმ სტატუსის შენარჩუნებას, რომელიც, პრინციპში, არ არსებობდა და ასლან აბაშიძემ რაღაცნაირად შექმნა. ამგვარ პირობებში ხელისუფლებას რაღაც საშუალო პოზიცია უნდა დაეკავებინა და ის მართლაც ასე მოიქცა.

რაც შეეხება თავად აჭარის ავტონომიურობას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, თავის დროზე, ჩვენი მტრების ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა. ჩნდება კითხვა: რატომ უნდა ჰქონდეს აჭარას სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ძალიან მაღალი ავტონომიურობა? პასუხი ასეთია: მხოლოდ იმიტომ, რომ რეალობა უნდა გავითვალისწინოთ. 70 წელია, ეს ავტონომია არსებობდა, მისი ერთბაშად გაუქმება, არა მგონია, იოლად გადაიტანოს ხალხმა. მომავალში რა მოხდება, დრო გვიჩვენებს.

კიდევ ერთს ვიტყოდი: როცა გაუთავებელი ლაპარაკია ავტონომიის შენარჩუნებაზე და სტატუსზე, მის დაკნინებასა თუ გაძლიერებაზე, არ უნდა გამოგვრჩეს შემდეგი გარემოება: დღეს ევროკავშირის ამხელა ქვეყნები ცხოვრობენ ერთი კონსტიტუციით და მათი ავტონომიურობა რაში გამოიხატება... არ ვიცი!

**4.** რაც ხელისუფლებაში ვიმყოფები, ყოველთვის ვამბობ, რომ ამ სისტემის რეფორმა გადაუდებელი საქმეა. არასდროს გვითქვამს, ჩვენი სასამართლო კარგი და გადასარევიაო. რაც შეეხება ძალოვნების რეფორმირებას, ვერც ერთი ექსპერტი ვერ დამისახელებს ვერც ერთ ქვეყანას, რომ ერთ წელიწადში შესაძლებელი იყოს ისეთი ცვლილებები, როგორიც ჩვენთან მოხდა. არ არსებობს ქვეყანა, რომელსაც ჩვენსავით ცუდი პოლიცია ჰყოლოდა და ერთ წელიწადში იგი სრულიად ახალი ტიპის, მობილიზებული პოლიციით შეეცვალა. ჯართან დაკავშირებით, თითქმის შეუძლებელი მოვახერხეთ, ვითარება 40 პროცენტით შეიცვალა. ეს ერთი წლისთვის სერიოზული შედეგია.

***დათო ბერძენიშვილი,*** *"რესპუბლიკელები":*

**1.** კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ ვენეციის კომისიის დასკვნა ბევრად უფრო ადრე იყო ცნობილი. ევროსაბჭო მას სამართლიანად ენდობა. ჩვენი ექსპერტების და პოლიტიკოსების შეფასებაც ვენეციის კომისიის შეფასებას ემთხვეოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს. თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებები, დემოკრატიის თვალსაზრისით, უკან გადადგმული ნაბიჯი იყო. ამის შესახებ თავის დროზე განაცხადეს თინა ხიდაშელმა, კობა დავითაშვილმა, რესპუბლიკურმა პარტიამ. პარტიის სახელით მე საჯაროდ გამოვედი და წესიერებაზე პრეტენზიის მქონე დეპუტატებს მივმართე, რომ ამ ცვლილებისთვის მხარი არ დაეჭირათ. ასეთი პრეტენზიის მქონე იმ პარლამენტში ძალიან ცოტა აღმოჩნდა.


დათო ბერძენიშვილი

ეს იყო რუსულ-თურქმენული მოდელისკენ გადადგმული ნაბიჯი. პარლამენტი გახდა მძევალი საპრეზიდენტო მმართველობისა. პრეზიდენტმა პარლამენტის გარეკვის უფლება მიიღო. საქართველოში ნოემბრის რევოლუციის დროს სისხლისღვრა რომ არ მოხდა, მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო იმით, რომ პრეზიდენტ შევარდნაძეს პარლამენტის გარეკვის უფლება არ ჰქონდა.

ევროპაში, პრაქტიკულად, ყველგან არის საპარლამენტო მმართველობა - საპარლამენტო რესპუბლიკა ან კონსტიტუციური მონარქია. საფრანგეთში, სადაც ნახევრად საპრეზიდენტო, ნახევრად საპარლამენტო მოდელია, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძლიერდება პარლამენტი. იქ პარლამენტის მიმართ ანგარიშვალდებულია პრემიერ-მინისტრი და გამორიცხულია, რომ პრეზიდენტის სურვილის გამო, ნულოვანი რეიტინგის მქონე ადამიანი პრემიერ-მინისტრი გახდეს (როგორც ეს ჩვენთან ხდება).

**2.** საერთოდ, ყველა არჩევნები, 1990 წლიდან მოყოლებული, ბოლო არჩევნების ჩათვლით, ნამდვილად ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ოპტიმალური ბარიერი არის ოთხი პროცენტი. ამიტომ, ოთხ ან ხუთ პროცენტამდე ბარიერის დაწევის შემოთავაზება სწორია. თუმცა, ეს არ არის იმ ტიპის საკითხი, როგორიც საკონსტიტუციო ცვლილებები, ან ვთქვათ, აჭარის სტატუსისადმი დამოკიდებულებაა (სადაც ხელისუფლება ძალიან ცუდად მოიქცა). ეს ერთობლივად, საქართველოს ხელისუფლების და ჩვენი საზოგადოების ასარჩევი და შესათანხმებელია. პირადად მე ოთხ პროცენტამდე ბარიერს ვუჭერ მხარს. ასეთ ვითარებაში ქართული პოლიტიკური სპექტრი უფრო მრავალფეროვანი იქნება.

**3.** ვენეციის კომისიის შენიშვნები აჭარის ავტონომიასთან დაკავშირებით იდენტურია რესპუბლიკური პარტიის იმდროინდელი შენიშვნებისა. არაფრით არ შეიძლება, რომ თანამდებობის პირველი პირი აჭარაში აჭარის უზენაესი საბჭოს მიმართ არ იყოს ანგარიშვალდებული და, ძირითადად, ანგარიშვალდებული იყოს მისი დამნიშვნელი პრეზიდენტის მიმართ. რეალურად, აჭარაში არის პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობა, შეფუთული ფსევდოდემოკრატიული ინსტიტუტებით. აჭარის უზენაესი საბჭო უნდა იყოს თვითკმარი ერთეული აჭარის აღმასრულებელი ხელისუფლების დასაკომპლექტებლად. ფისკალურ საკითხებშიც რეგიონს მეტი უფლებები უნდა ჰქონდეს. ყველამ მშვენივრად იცის, დღეს არავითარი საფრთხე აღარ არსებობს, რომ აჭარაში სეპარატისტული განწყობა ჩამოყალიბდეს. ნურავის დაავიწყდება, რომ რევოლუცია იქ ბათუმელებმა და აჭარაში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქეებმა მოახდინეს და არა ბუჩქებიდან გამომძვრალმა გივი თარგამაძემ ან ვანო მერაბიშვილმა.

**4.** ხელისუფლებას მადა ჭამაში მოუვიდა, კანონს არაფრად დაგვიდევდა. ქვეყანა მთელი წლის განმავლობაში დახლს წარმოადგენდა - დაგიჭერ, გადაიხდი, გამოგიშვებ; გადაიხდი, არ დაგიჭერ. მერე მეორე წრეზე წავიდნენ... ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა ხდებოდეს.

პრაქტიკულად, ქვეყნაში არ არსებობს სასამართლო ხელისუფლება, მის გარეშე კი არავითარი დემოკრატიული განვითარება არ არის მოსალოდნელი.

**კობა დავითაშვილი,** *საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, პარტია "კონსერვატორები":*

შენიშვნებს ვეთანხმები, თუმცა ჩვენთვის ეს საკითხები უცხო არ არის. თავის დროზე, აღნიშნული პრობლემები ხელისუფლების წინაშე არაერთგზის


კობა დავითაშვილი

დავაყენეთ. განსაკუთრებით გამოვყოფდი კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომელიც, დემოკრატიის თვალსაზრისით, უკანგადადგმული ნაბიჯია. ჩვენ არ დაგვიჯერა ხელისუფლებამ და იქნებ, ევროსაბჭოს მაინც დაუჯეროს.

***დავით უსუფაშვილი,*** *იურისტი:*

ევროსაბჭოს დასკვნა მეტად საყურადღებოა. თუმცა, იქ დასმული საკითხები პირადად ჩემთვის ახალი არ გახლავთ. თავის დროზე, ამ საკითხებზე იყო კამათი, ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ვერ იტყვის, რომ ეს პრობლემები ვინმეს მხედველობიდან გამორჩა.

**1.** 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, მთელი არასამთავრობო სექტორი და იურისტთა კორპუსი ამახვილებდა ყურადღებას მის გაუმართაობაზე, იმაზე, რომ ირღვეოდა ხელისუფლების ბალანსირების პრინციპი პრეზიდენტის ძალაუფლების სასარგებლოდ. იგივეს ამბობდნენ პოლიტიკური პარტიებიც. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ შეგნებულად გადადგა ნაბიჯი საღი აზრის


დავით უსუფაშვილი

საწინააღმდეგოდ. ევროპის საბჭო, ჩვენი ოპოზიციისგან განსხვავებით, ასეთ საკითხებს არ ივიწყებს მანამ, ვიდრე პრობლემები არ გამოსწორდება.

**2.** შვიდპროცენტიანი ბარიერის დაწევას რაც შეეხება, ევროსაბჭომ თავის დროზე დააგვიანა ამ რეკომენდაციის ისეთი სიმწვავით დაყენება, როგორც ეს მოგვიანებით მოხდა. როცა საამისოდ შესაფერისი დრო იყო, მხოლოდ ადგილობრივი ძალები საუბრობდნენ. როცა ამაში ევროსაბჭო ჩაერთო, მაშინ უკვე ცვლილებებისთვის დრო აღარ რჩებოდა. ამ შემთხვევაში, ცოტა არ იყოს, ევროსაბჭოს საქართველოს მისიასაც უნდა ჰქონდეს პასუხი იმაზე, თუ რატომ მოხდა ასე, რატომ გააქტიურდნენ ბოლოს.

**3.** აჭარის სტატუსის შესახებ ყველაფერი ცხადზე უცხადესი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით თავის დროზე ბევრი შეხვედრა გაიმართა. რესპუბლიკურმა პარტიამ ალტერნატიული ვარიანტიც კი წარმოადგინა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ ძალიან შეგნებული ნაბიჯი გადადგა. მე მახსოვს განხილვები, როცა ჩვენ ხელისუფლების წარმომადგენლებს მივმართავდით - ასე არ შეიძლება, თქვენ მოგიწევთ პასუხისმგებლობის აღება ყველაფერ ამაზეო. ბევრი მათგანი თამამად აცხადებდა: დიახ, ავიღებთ პასუხისმგებლობას. თუ ქართველისა არ სჯეროდათ, ახლა დანარჩენ მსოფლიოს აუხსნან, რატომ მიიღეს ამგვარი გადაწყვეტილება. ეს არის ელემენტარული არაკეთილსინდისიერება და იგი რაც შეიძლება მალე უნდა გამოსწორდეს.

**4.** დაწყებული 2004 წლის იანვრიდან, როცა ვილაცებმა პირველი მილიონები გადაიხადეს, ჩვენ ვსაუბრობდით, რომ თვითნებური გადაწყვეტილებები სასამართლო სისტემას დაანგრევდა. ეს პრობლემაც, საბოლოო ჯამში, უკავშირდება ავად სახსენებელ პოლიტიკურ ნებას. საქართველოში არის ხოლმე სიტუაციები, როცა გამოცდილება და ცოდნა არ გვყოფნის, რათა საკითხები გავიაზროთ. ასეთ ვითარებაში ჩავთვლით, რომ ყველას ერთად შეგვეშალა. არსებობს საკითხები, როცა ყველასთვის ყველაფერი ნათელია, მათ შორის ხელისუფლებაში მყოფი პირებისთვის, ანუ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ. თუ რატომ არ აკეთებენ ისინი გასაკეთებელს თავის დროზე და რატომ ქმნიან პრობლემებს, ამაზე თავად უნდა დაფიქრდნენ.

სხვა თემებზე ყურადღების გადატანა სწორი არ იქნება. ხელისუფლებამ არც ევროპელებს და არც ქართველებს თვალში ნაცარი არ უნდა შეაყაროს და არ უნდა მოგვატყუოს, თითქოს რაღაც დამსახურებების გამო, ეს პრობლემები პრობლემები არ არის. მე მგონი, ვაჟკაცობა უნდა ეყოს ამ ვაჟკაც ხელისუფლებას, რომელმაც რევოლუციის ლიდერობა იტვირთა. მან უნდა თქვას: შეგვეშალა. ამასთანავე, კონკრეტულად მიუთითოს, პრობლემების გამოსწორებას რა ვადებში აპირებს.

---

ეკა კვესიტაძის სვეტი

## პოსტრევოლუციური სამყარო - ვირტუალური და რეალური

ზოგჯერ მგონია, რომ გაორებულ სამყაროში ვცხოვრობ. ტელევიზიები, რომლებიც ვირტუალურ სამყაროს გვიქმნიან, გვარწმუნებენ, რომ ყველაფერი კარგად არის. ყოველდღიურად დაწვრილებით ვგებულობთ სად იყო პრეზიდენტი, რა ჭამა, რა კომპლიმენტები უთხრეს, რომელი ცნობილი პოლიტიკური სახეები წავიდნენ რეზერვისტებად და მერე მოსაკითხად ჩასულმა მინისტრებმა რამდენი ხინკალი თუ ხაჭაპური ჩაუტანეს.

დაწვრილებით ვგებულობთ, სად, რომელ საათზე, რომელმა მინისტრმა ან სხვა მაღალჩინოსანმა ჩაატარა პრესკონფერენცია, ამ პრესკონფერენციებს ყოველდღე ლამის საათში ერთხელ პირდაპირ ეთერში ვეცნობით და დღეს კმაყოფილებით ვამთავრებთ - ყველაფერი კარგადაა.

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ახალ ამბებს ტელევიზიებისათვის ჟურნალისტები კი არა, ხელისუფლება ქმნის.

ვირტუალურ სამყაროში ნაჩხუბარი მინისტრები შერიგდნენ. პრეზიდენტმა საყვედური გამოთქვა, რომ მისი არყოფნა ბოროტად გამოიყენეს და ამის შემდეგ ყველაფერი ჩაწყნარდა. ოქრუაშვილმა და ბარამიძემ ჟურნალისტების თვალწინ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, იმ იმედით, რომ ამ ორმხრივ კეთილშობილურ ჟესტს მედია ფართოდ გააშუქებდა. პრემიერ-მინისტრმა კი თქვა, რომ მინისტრებს შორის დაპირისპირება დამთავრებულია და, საერთოდ, ეს თემა უკვე საბოლოოდ დახურულია.

რეალურ სამყაროში კი უამრავი კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი. პრეზიდენტი ამბობს, რომ მისი გაპრეზიდენტების შემდეგ ჯარში მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. ოქრუაშვილმა კი თავის პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ასეთი მძიმე სიტუაცია ჯარში შევარდნაძის დროსაც კი არ ყოფილა. დღემდე გამოცანად რჩება, რომელია მართალი, პრეზიდენტი თუ თავდაცვის ახალი მინისტრი. ასევე გაურკვეველია, თუ რატომ აჯანყდა ათობით ჯარისკაცი რამდენიმე კვირის წინ, სად არიან ახლა ისინი და რა ბედი ელით მათ? ამ თემებზე საუბარი, ბუნებრივია, ხელისუფლებას არ სურს. მაგრამ, საკვირველია ის, რომ ამაზე საუბარი არც მედიას უნდა.

ერთხელ "ენ-ტე-ვე"-ს ერთმა თანამშრომელმა თქვა, რომ არხის ჟურნალისტები აღარც კი ცდილობენ მასალების მოპოვებას, რადგან წინასწარ იციან, ამ მასალების გაშვების უფლებას მაინც არ მისცემენო. მან ისიც დასძინა, რომ ელცინის დროს საინფორმაციო გამოშვების შემდეგ ეუბნებოდნენ შენიშვნებს, პუტინის დროს კი გამოშვების დაწყებამდე აცნობენ, რა სურს კრემლს.

რამდენად იდენტურია ამ მხრივ სიტუაცია საქართველოში, ამაზე კამათი ჯერ კიდევ შეიძლება. თუმცა, ალბათ, უკვე ძალიან სახამუშოა ის, როცა ტელევიზიით კრიტიკული სიუჟეტის ანონსის შემდეგ ხელისუფლება სასწრაფოდ აგზავნის თავის წარმომადგენელს, რომ პირდაპირ ეთერში ჩაერთოს და კრიტიკულ მოსაზრებებს საკუთარი არგუმენტები დაუპირისპიროს. თუ ასე მოსწყურდა დებატები ხელისუფლებას, მაშინ დროა, პოლიტიკურ თოქ-შოუებს ტაბუ მოხნას და საკუთარი პოზიციების დაცვას, პირდაპირ ეთერში, ოპონენტების პირისპირ შეეცადოს.

ტელევიზიების საშუალებით რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა ყველა დაგვარწმუნა, რომ მხოლოდ პროვინციელი პოლიტიკოსები აჰყვნენ ევროსაბჭოს მონიტორინგის კომისიის წევრების კრიტიკას. საინტერესოა, რა ნიშნით აჯგუფებს სააკაშვილი პოლიტიკოსებს პროვინციალებად და ელიტარულებად? და რატომ ნიშნავს ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე ღიად საუბარი პროვინციალიზმს? ტელეჟურნალისტები, სამწუხაროდ, ამ კითხვებით არ დაინტერესებულან.

ევროსაბჭოს დელეგაციას ახალი არაფერი უთქვამს. ის კრიტიკული შენიშვნები, რაც მათ აქვთ, ქართულ საზოგადოებაში უკვე დიდი ხანია, ისმის.

რომ რევოლუციის შემდეგ შესწორებული კონსტიტუცია ნაკლებად დემოკრატიულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ხელისუფლება ხელოვნურად აჭიანურებს, რომ სასამართლო სისტემა პოლიტიკურად მართვადია, რომ არ არსებობს პლურალისტური პოლიტიკური სპექტრი, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები პროცესუალურ ნორმებს ხშირად არღვევენ და წინასწარ დაკავებაში მყოფ ადამიანებს არაადამიანურად ეპყრობიან და, რომ ამ ქვეყანას კანონების მაგივრად ჯერ კიდევ ადამიანები მართავენ - ამის ცოდნას სულაც არ სჭირდება ევროსაბჭოს მონოტორინგის კომისიის დასკვნა.

მართალია, ამ პრობლემების გაშუქებას არც ისე დიდ დროს უთმობს ქართული ელექტრონული მედია, მაგრამ ვირტუალური რეალობის მიღმა, "რელური" რეალობაც არსებობს.

იმ პრეტენზიებიდან, რომელსაც დღევანდელ ხელისუფლებას ხშირად უყენებენ და რომელზეც, ბუნებრივია, უკვე უცხოელებიც ალაპარაკდნენ, თითქმის ყველა უცვლელი დარჩა.

არაფერი შეცვლილა სასამართლო სისტემაში. ის, რომ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გარდა ყველა მოსამართლე უნდა იქნეს დათხოვნილი, თავისთავად საკამათოა და სულაც არ ნიშნავს ამ სისტემის პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლებას.

მიუხედავად ხელისუფლების დანაპირებისა, ადგილობრივი არჩევნების ჩატარების თარიღი კვლავ უცნობი რჩება და ის საერთოდაც არ განიხილება ამ ეტაპზე, როგორც აქტუალური საკითხი.

ექჭვმიტანილთა აყვანისას სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ პროცესუალური ნორმების დარღვევისა და წამების ფაქტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებით, მხოლოდ დაჭერილთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე იკლო.

ხოლო ოქრუაშვილის ბოლო სკანდალური განცხადება - რომ მას უნდა ვილაცები ციხეში იხილოს - ნათლად მიანიშნებს იმ ცდუნებაზე, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერ კიდევ სტანჯავთ - მათი სურვილები კანონზე მაღლა იდგეს.

რაც შეეხება ნაკლებად ძლიერი ოპოზიციის არარსებობას, არასამთავრობო სექტორის დასუსტებასა და პრესის თვითცენზურას - ეს ის საკითხებია, რომლის მოგვარებას ხელისუფლებას ნამდვილად ვერავინ მოსთხოვს.

რევოლუციას დიდი ენერგია მოხმარდა და ამ ენერგიისაგან დაცლილმა საზოგადოების ნაწილმა ჩათვალა, რომ ხალხმა უკვე თავისი საქმე გააკეთა და ახლა ყველაფერი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

ენერგიისაგან დაცლილ საზოგადოებაში მაინც უნდა გამოინახოს საკმარისი რესურსი არასამთავრობო სექტორის გასაძლიერებლად და ჯანსაღი ოპოზიციის შესაქმნელად.

ისევე, როგორც მედიაში - კონსტრუქციული და ჯანსაღი კრიტიკისთვის.

ხელისუფლებას კი მხოლოდ ის მოეთხოვება, რომ ამ პროცესების მიმართ ლოიალური იყოს და ასეთი გაუგებრად შიშნარევი და მგრძნობიარე დამოკიდებულება აღარ ჰქონდეს კრიტიკის მიმართ.

სხვათა შორის, ევროსაბჭოს მონიტორინგის კომისია მხოლოდ რეკომენდაციებს არ იძლევა, ის იმ ვალდებულებების შესრულებას უწევს კონტროლს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე აიღო. ზოგადად კი, ამ ვალდებულებების შესრულება არის ერთადერთი, რომელიც ამ ქვეყანას დასავლეთთან დაახლოების შანსს მისცემს. ასე რომ, მთლად ისე არ არის, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ თითქოს ევროსაბჭოს დელეგაციას შეუძლია, რეკომენდაციები მოგვცეს და შემდეგ ჩვენზეა დამოკიდებული, შევასრულებთ თუ არა ამ რეკომენდაციებს. თუმცა, არის ერთი ჭეშმარიტება ამ ნათქვამში, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული ის, გავხდებით თუ არა განვითარებული და დემოკრატიული ქვეყანა.




თამარ ხორბალაძის სვეტი

## ქართული პრივატიზაციის "ნაციონალური" თავისებურებანი

რაც უფრო ახლოს ხარ, მით უფრო მძაფრია სიმყრალის სუნი, რომელიც ყველაფერ ამას ასდის.

რაც უფრო მეტადაა შექმნილი გამჭვირვალობის ილუზია, მით უფრო კარგად ხვდები, რომ ყველაფერი ბლეფია, რომ ვიღაც მიზანმიმართულად ცდილობს, შენ მოგახვიოს თავზე იმის შეგნება, რომ ამის თანამონაწილე ხარ, რომ ყველაფერი იცოდი, რომ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას შენც იღებდი, რომ თუ პასუხისმგებლობაზეა საქმე, ეს პასუხისმგებლობა უნდა გადაინაწილო. სინამდვილეში კი ყველა - ხელისუფლებაც, ბიზნესმენებიც - დარწმუნებულნი არიან, რომ შენ, ანუ მედია და საზოგადოება, "პაიკი" ხარ ამ ბინძურ თამაშში.

რაც უფრო მეტს იგებ, მით უფრო კარგად აცნობიერებ, რომ დიდი ბიზნესი კიდევ უფრო ბინძურია, ვიდრე - დიდი პოლიტიკა და რომ იქ, სადაც დიდი ფულია, არ არსებობს არც პოლიტიკური, არც სახელმწიფოებრივი, არც პატრიოტული და არც ზოგადად პრინციპები - აქ ერთმანეთს მიუღებელი წესებით ებრძვიან, წელს ქვემოთ ურტყამენ, ერთმანეთს კომპრომატებს უფრიალებენ და... რაც ყველაზე მთავარია, ყველაზე არსებობს კომპრომატი, მთავარია, სადამდე წახვალ, ან - სადამდე "ჩახვალ."

მოკლედ - დიდ ქართულ პრივატიზაციაზე მოგახსენებთ.

სამშაბათს ღამით, როცა მე და საქართველოს მოსახლეობის თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას გვეძინა, რატომღაც არ ეძინა საქართველოს ხელისუფლებას - ამ ხელისუფლებამ სახელმწიფო კანცელარიაში მოლაპარაკებები ღამის 11 საათზე დაიწყო და გადაწყვეტილება "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" რუსული "ევრაზია ჰოლდინგისთვის" გადაცემის შესახებ ღამის სამ საათზე გააჟღერა - დღის სინათლეზე, ალბათ, არ იყო სათქმელი და მიტომ...

ახლა აზრი ნაკლებად აქვს იმაზე საუბარს, ვინ რამდენი თეთრით მეტი დადო ამ კონკურსზე, რატომ დაიწყო ვაჭრობა კონფიდენციალური წინადადებების გახსნის შემდეგ და რატომ გასხვისდა ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საწარმო იმაზე, ვისზეც გასხვისდა - ამაზე კონკურენტებიც და ხელისუფლების მოწინააღმდეგეებიც ბევრს იტყვიან.

ახლა არც იმაზე საუბარს აქვს აზრი, რომ უკრაინულ კომპანიას, რომლის სახელიც უკრაინის ძველი ხელისუფლის სიძის სახელთანაა დაკავშირებული, უკრაინაში გარკვეული პრობლემები ექმნება და, ამიტომ, მისთვის საქართველოში შემოსვლა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი საკმაოდ სერიოზულ პირობებზე წამოყვანა შეიძლებოდა, თუ, რა თქმა უნდა, კუჩმასთან კავშირი არ გახლდათ ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური კომპრომატი, რომელმაც კომპანია საქართველოში დაამარცხა.

რატომღაც მგონია, რომ არც იმაზე საუბარს აქვს აზრი, ვინ უფრო პატიოსან თამაშს თამაშობდა ამ ტენდერში - რადგან მსგავს სიტუაციებში პატიოსანი მოთამაშე, უბრალოდ, არ არსებობს.

დღეს ზუსტად არც იმის პროგნოზირება შეიძლება, დააქცევს თუ ააშენებს კონკრეტულად "ჭიათურმანგანუმს" და "ფეროს", შესაბამისად კი - ჭიათურას და ზესტაფონს, ჯამში კი - ქვეყანას, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლის წყალობითაც ამ ობიექტების რუსი აბრამოვის კომპანია "ევრაზია ჰოლდინგისთვის" გადაცემა გადაწყდა, ამას დრო გვაჩვენებს.

დღეს ერთია ბოლომდე ნათელი - "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" პაკეტი რუსულ კომპანიას ერგო.

ვიცი, სახელმწიფო მინისტრი ბენდუქიძე, და არა მხოლოდ ის, იტყვის, რომ ფულს ეროვნება არ აქვს, რომ პროვინციალიზმია საუბარი ინვესტიციების წარმომავლობაზე და უვიცობა, თუ უარესი არა, ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე სიტყვის ჩამოგდება ასეთ დროს.

შესაძლოა, ასეც იყოს.

თუმცა, საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში უკვე ყოველდღიურად ისმენს, რომ რუსეთი ისევ ეძებს პანკისის ხეობაში ტერორისტებს და თავს, საკანონმდებლო დონეზე მაინც, უფლებას აძლევს, დარტყმებიც განახორციელოს მათზე; რომ იმავე რუსეთის მცდელობით საქართველოს საზღვრის მონიტორინგზე უარის თქმა მოუხდა ეუთოს, რაც ამ საფრთხეებს კიდევ უფრო ნათელს ხდის; რომ რუსეთმა დანიშნა აფხაზეთის ახალი მთავრობა, თითქმის დაასრულა რუსული პასპორტების გაცემა საქართველოს ამ ავტონომიაში და ამით კიდევ უფრო დაგვაშორა ქვეყნის ერთიანობის აღდგენის დღეს და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... - მოკლედ, ამ მოქალაქეს, ვფიქრობ, აქვს უფლება, არ ესიამოვნოს იმის გაგება, რომ ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწარმოს მეპატრონე, საკმაოდ დიდი არჩევანის პირობებში, რუსული, ერთ-ერთი ყველაზე დახურული ჰოლდინგი ხდება;

მით უფრო მაშინ, როცა ამ გადაწყვეტილებამდე ერთი დღით ადრე მჟღავნდება, რომ საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის საკონტროლო პაკეტის მფლობელი რუსული "ვნეშტორგბანკი" ხდება და რომ ეს ბანკი მომავალში რამდენიმე ქართული ბანკის "ჩაყლაპვას" კიდევ აპირებს;

მაშინ, როცა იმავე დღეს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტენდერზე გამოტანილი ერთ-ერთი, შედარებით მომცრო, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი საწარმო "ელმავალმშენებელი" უახლოეს პერიოდში ასევე რუსულ კომპანიას გადაეცემა, იმ უბრალო მიზეზით, რომ ტენდერში მონაწილე სამივე კომპანია რუსულია;

და კიდევ უფრო მეტად მაშინ, როცა ხელისუფლება ისევ იწყებს ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენების გასხვისებისთვის საზოგადოებრივი აზრის შემზადებას და დღეს უკვე აპრიორი ცნობილია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ამ გაზსადენების სავარაუდო პატრონი რუსული სახელმწიფო ენერგოგიგანტი "გაზპრომი" იქნება.

გნებავთ, პროვინციალიზი დაარქვით, გნებავთ - უვიცობა (იქნებ, ვინმეს პატრიოტულ აღტკინებადაც მოეჩვენოს), მაგრამ ფაქტია, რომ ყველაფერი ზემოთქმული ამ ქვეყნის ერთ ჩვეულებრივ მოქალაქეს რევოლუციების უაზრობისა და იმედების გაცრუების მწველ გრძნობას ულვიძებს.

ორი სიტყვით

**თბილისი**. რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის სისტემასა და სპექტრში გამოსხივების წყაროების საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმარების პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად ტენდერის დასრულების შემდეგ, საქართველოს პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე თანამედროვე მონიტორინგის სისტემა ექნება. როგორც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში განაცხადეს, ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად სატენდერო საბჭოს მოსამზადებელი სხდომა 24 იანვარს გაიმართება, 21 თებერვალს კი სატენდერო საბჭოს სხდომაზე გამარჯვებული გამოვლინდება. ცნობისათვის, აღნიშნული ტენდერის მიმართ დაინტერესება მსოფლიოში ცნობილმა ოთხმა მსხვილმა კომპანიამ - Rohde & Schwartz, Aerosystems International, ATDI, Kurt Mitterfellner-მა გამოთქვა, რომლებმაც სატენდერო დოკუმენტაცია კომისიაში უკვე წარადგინეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. განჯის საავტომობილო ქარხანა ავტომობილი "ოკას" გასაღების საკითხებზე ქართველ და ცენტრალური აზიის დისტრიბუტორებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. როგორც აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" ქარხნის დირექტორმა ხანლარ ფატიევმა აცნობა, ქარხანა 2005 წელს 3 ათასამდე აღნიშნული მარკის ავტომობილის გამოშვებას გეგმავს. **"მარკეტინგულმა გამოკვლევებმა უჩვენა, რომ აზერბაიჯანის ბაზარს 2 ათასამდე "ოკას" ავტომობილზე აქვს მოთხოვნა. თავის მხრივ, საქართველოს ბაზარს 200-300 ავტომობილის ათვისება შეუძლია, ხოლო ცენტრალური აზიის ქვეყნების ბაზრების შესაძლებლობების შესწავლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს,"** - აღნიშნა ფატიევმა. მისივე თქმით, სამი ათასი ავტომობილი 2005 წელს მხოლოდ საწყისი ციფრია, რადგან მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში, ქარხანას შეუძლია, თავისი წარმადობა გაზარდოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. დღეს, საქართველოს პარლამენტში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე დეპუტატებს რამდენიმე საკითხის განხილვა მოუწევთ. როგორც კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა, განსახილველ საკითხთა შორისაა საკანონმდებლო ცვლილებები სათამაშო ბიზნესთან, სამორინეებთან და ლატარიებთან დაკავშირებით. პროექტის ავტორი საქართველოს მთავრობაა. მთავრობის საპარლამენტო მდივნის გია ხუროშვილის თქმით, ცვლილებებით სამორინეებთან დაკავშირებით იზრდება სალიცენზიო მოსაკრებელი. სამორინეები, სადაც მხოლოდ ერთი ან ორი მაგიდა იდგა, აღარ იარსებებენ, ხოლო ახალი სამორინეს გახსნისათვის სალიცენზიო თანხა ხუთი მილიონი ლარი იქნება. გია ხუროშვილი განმარტავს, რომ ეს ცვლილებები შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლითაა განპირობებული. მთავრობის განცხადებით, ლატარიებიდან შემოსული თანხები სპორტისა და კულტურის აღორძინებას მოხმარდება. **პრაიმ-ნიუსი**

## საქართველოს ხელისუფლება "ინტერპაიპს" ბრალდებებით პასუხობს

თამარ ივანიძე

*ნათლისღება თენდებოდა, როცა საქართველოს ხელისუფლებამ საზოგადოებას "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" ტენდერში გამარჯვებულის თაობაზე ამცნო. გაჟღერებული ინფორმაციის თანახმად, "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" აქტივები რუსულმა კომპანია "ევრაზია ჰოლდინგმა" და ს/ს "ფეროს" ქართველმა აქციონერებმა 132 მლნ. დოლარად შეისყიდეს. უახლოეს ხანებში აღნიშნული ორი კომპანიისგან შეიქმნება ჰოლდინგი, რომელსაც "ჭიათურმანგანუმი" და "ვარციხეჰესი" საკუთრებაში გადაეცემა.*



*სატენდერო კომისიის წარმომადგენელი მინისტრები აცხადებენ, რომ კორპორაციული ომი ზესტაფონის ფეროს გაჩერებას და ქვეყნის საინვესტიციო იმიჯის შელახვას გამოიწვევდა.*

იური ლობოდინის ფოტო

გუშინვე, ტენდერში წაგებული უკრაინული კომპანიის "ინტერპაიპის" წარმომადგენელმა პრესკონფერენცია გამართეს, სადაც საქართველოს ხელისუფლებას ტენდერის წესების დარღვევასა და მონაწილე კომპანიების არათანაბარ პირობებში ჩაყენებაში დასდეს ბრალი. ("ინტერპაიპის" პრესკონფერენცია იხილეთ "24 საათის" დღევანდელ ნომერში).

აღნიშნულ გამოსვლას გამოსვლითვე უპასუხეს სატენდერო კომისიის წევრებმა: საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა უკრაინული კომპანია "ინტერპაიპის" წარმომადგენლების მიერ გამოთქმულ ბრალდებებს "აბსურდი" უწოდა. როგორც ალექსიშვილმა გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა, სატენდერო კომისიამ გადაწყვეტილება "ევრაზ ჰოლდინგისა" და ქართული ბიზნესჯგუფის სასარგებლოდ მხოლოდ ობიექტური მიზეზების გამო მიიღო.

კერძოდ, როგორც ალექსიშვილმა განმარტა, "ევრაზ ჰოლდინგსა" და ზესტაფონის "ფეროშენადნობთა ქარხნის" ქართველ აქციონერებს უკეთესი ფინანსური წინადადებები ჰქონდათ. მთავარი პრობლემა კი იმაში მდგომარეობდა, რომ: **"უკრაინული კომპანია ცდილობდა, ჩვენთვის შემოესაღებინა წინადადებები, რომელიც საქართველოში კორპორატიულ ომს გამოიწვევდა. უკრაინელები ქართულ მხარეს სთხოვდნენ, აეღო ვალდებულება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნიდან ავსტრიული კომპანიის გაძევების შესახებ. ეს ქვეყანაში კორპორატიულ ომს გამოიწვევდა. ეს კი საქართველოში ინვესტიციების შემოსვლის საქმეს ნამდვილად არ წაადგებოდა,"** - განაცხადა ალექსიშვილმა.

მისი თქმით, მართალია, კონსულტაციების შემდეგ უკრაინული კომპანიის წარმომადგენლებმა უფრო სრულყოფილი წინადადებები წარმოადგინეს, თუმცა მათ ვერ მოხსნეს მთავარი პრობლემა, რომელიც "ფეროსთან" ურთიერთობას ეხებოდა.

უფრო კონკრეტული იყო და კარტები, პრაქტიკულად, გახსნა კახა ბენდუქიძემ, რომელმაც "ჭიათურმანგანუმისთვის" ბრძოლის ის დეტალები გახსნა, რომელიც "ინტერპაიპის" აქტივობას ეხებოდა. მან განაცხადა, რომ **"ინტერპაიპის" ხელმძღვანელობა ცდილობდა, "ჭიათურმანგანუმი" და "ვარციხეჰესი" ხელში უკანონო გზით და კაბინეტ-კაბინეტ საქმეების ჩაწყობით ჩაეგდო."**

სახელმწიფო მინისტრის თქმით, აღნიშნული დეტალების გახმაურება მან მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც "ინტერპაიპის" ხელმძღვანელობამ დილით ბრიფინგი გამართა და საქართველოს მთავრობა არასამართლიან პრივატიზებაში დაადანაშაულა.

**"მე დეტალების გახმაურება მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა, თუმცა მათი ბრიფინგის შემდეგ მათ მიმართ შეცოდების შეგრძნება დამეკარგა,"** - განაცხადა კახა ბენდუქიძემ.

დეტალები კი ასეთია:

ბენდუქიძის ინფორმაციით, "ინტერპაიპი" საქართველოს ხელისუფლებას სთავაზობდა, თავად მოეგვარებინა ურთიერთობა ავსტრიელ ინვესტორთან და იგი "ფეროდან" გაეძევებინა. ამის მიზეზი კი, სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, ის გახლდათ, რომ გასულ თვეებში "ინტერპაიპმა" ავსტრიელებთან მისასვლელი გზები თავადვე მოიჭრა: **"ჯერ ჩააკითხეს ავსტრიაში და უთხრეს, რომ საქართველოს ხელისუფლება "ჭიათურმანგანუმს" ჩვენ გვაძლევსო და "ფეროს" იმავე ფასად გამოსყიდვა შესთავაზეს, რამდენიც თავის დროზე ავსტრიელებმა გადაიხადეს - 7 მილიონად. ისინიც შეშინდნენ - შევარდნაძის დროს იყვნენ შემოსული და... მერე საერთაშორისო მედიაში გაუშვეს ინფორმაცია, რომ "ჭიათურმანგანუმი" და "ფერო" უკვე იყიდა "ინტერპაიპმა" და ფეროს კონტრაქტები "ჩაუგდეს", თან, საერთაშორისო ბაზარზე მარაგები გამოყარეს და ფასი 200 დოლარით დაუგდეს..."**

სახელმწიფო მინისტრმა გუშინ უკრაინულ კომპანიას რამდენიმე წლის წინ უკრაინაში მეტალურგიული კომბინატის პრივატიზაციაც გაუხსენა. მისი თქმით, უკრაინულმა კომპანიამ უკრაინაში მეტალურგიული კომბინატი 800 მილიონად შეიძინა, მაშინ, როცა ამერიკული კომპანია 1 მილიარდ 600 მილიონის გაღებას აპირებდა.

სატენდერო კომისიის წარმომადგენელი მინისტრები აცხადებენ, რომ კორპორაციული ომი, რომელიც "ჭიათურმანგანუმის" "ინტერპაიპისთვის" გადაცემის შემთხვევაში საქართველოში დაიწყებოდა, მინიმუმ ზესტაფონის ფეროს გაჩერებას და ქვეყნის საინვესტიციო იმიჯის შელახვას გამოიწვევდა.

**"საქართველოშიც ისინი გვთავაზობდნენ, ბანდიტური მეთოდებით გვემოქმედა. ჯერ ერთი, ეს უკანონობა იქნებოდა და მეორეც, საქართველოში ამის შემდეგ, ფაქტობრივად, არც ერთი ინვესტორი პრივატიზაციით აღარ დაინტერესდებოდა,"** - განაცხადა ბენდუქიძემ.

## ექსპერტები "ინტერპაიპის" პრეტენზიების შესახებ

საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია-მრეწველები, ახლების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ უკრაინულ კომპანია "ინტერპაიპს" ჭიათურმანგანუმისა და ვარციხეჰესის პრივატიზების შედეგების გამო უკმაყოფილების გარკვეული საფუძველი ჰქონდა, თუმცა მათ კონკრეტული პრეტენზიები ნათლად უნდა დაასახელონ. ამასთან, პარლამენტარის თქმით, როცა პრივატიზება მიმდინარეობს და მასში რამდენიმე კომპანია მონაწილეობს, ბუნებრივია, რომ ვიღაც იმარჯვებს, ვიღაც კი ნაწყენი რჩება.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში სანდრო თვალჭრელიძე ჭიათურმანგანუმისა და ვარციხეჰესის რუსული კომპანია "ევრაზია ჰოლდინგისათვის" მიყიდვის თაობაზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას აბსოლუტურად გამართლებულ და აწონილ ნაბიჯს უწოდებს. მისი თქმით, უკრაინული კომპანია "ინტერპაიპი" მსოფლიოში მანგანუმის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია და, შესაბამისად, მისთვის ჭიათურმანგანუმის ხელში ჩაგდება ხელს შეუწყობდა "ინტერპაიპის" მსოფლიო დონის მონსტრად გადაქცევას. **"ინტერპაიპის" მფლობელს, ლეონიდ კუჩმას სიძეს, პინჩუკს ვიქტორ იუშენკოს წინააღმდეგ საავადმყოფოს პრესრელიზების ფალსიფიცირებაში ადანაშაულებდნენ. ჩვენ "ინტერპაიპის" გამარჯვებით ხელს შევუწყობდით მსოფლიოში რუსული ანტიუკრაინული მიმართულების ჯგუფის გაძლიერებას. შესაბამისად, ვიმეორებ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება იყო აბსოლუტურად სწორი,"** - აღნიშნა ექსპერტმა.

*მედია-ნიუსი*

## ხელისუფლებას კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებენ

*ექსპერტთა ჯგუფი ხელისუფლებას ანტიკონსტიტუციურ ქმედებებში ადანაშაულებს და ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სარჩელს ამზადებს. ექსპერტები სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში უახლოესი ერთი თვის განმავლობაში შეიტანენ.*

სოფიკო ოხანაშვილი

ექსპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ოთარ ზოიძე, ნიკო ორველაშვილი და სხვები შედიან, საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანი სარჩელის მომზადების უმთავრეს მიზეზად ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ასახელებს. მათი განცხადებით, ახალი საგადასახადო კოდექსის მთელი რიგი მუხლები საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ექსპერტები ხელისუფლებას ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებით ქვეყნის კონსტიტუციით მოქალაქეებისთვის გათვალისწინებული სიცოცხლისა და საკუთრების უფლებების ხელყოფაში ადანაშაულებენ. ოთარ ზოიძის განმარტებით, ახალი საგადასახადო კოდექსი ხელყოფს კონსტიტუციით გათვალისწინებულ სიცოცხლის უფლებას, რადგან მასში გაუქმებულია დაუბეგრავი მინიმუმი. **"ხელისუფლებამ გააუქმა არსებული ცხრა ლარის ოდენობის დაუბეგრავი მინიმუმი, არ აღიარებს მის არსებობას და 12-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადით ბეგრავს თუნდაც ერთი ლარის შემოსავალს. ხელისუფლებას არა აქვს საარსებო მინიმუმის ხელყოფის უფლება, სამწუხაროდ, ეს ვალდებულება ხელისუფლებამ დაარღვია. ეს ადამიანის სიცოცხლის უფლების ხელყოფაა და მეტი არაფერი. სტატისტიკური მონაცემებით, ერთი ჯანმრთელი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 200 ლარია. ასე ბარბაროსულ სახელმწიფოებშიც კი არ იქცეოდნენ,"** - განაცხადა ოთარ ზოიძემ.

**"ამ კოდექსით სიცოცხლის უფლებაა დარღვეული, ამაზე მეტი რამე გინდათ კიდევ?! თუმცა, ამის გარდა, ახალი საგადასახდო კოდექსით საკუთრების უფლებაც ირღვევა. ასეთ შემთხვევაში კი, ბუნებრივია, ინვესტორები გაგექცევიან და ახალი ინვესტიციების მოზიდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია,"** - ზოიძის მსგავსად, რამდენიმე ძირითადი დარღვევის ჩამონათვალს აკეთებს ეკონომიკის ექსპერტი ნიკო ორველაშვილიც.

კონსტიტუციით გათვალისწინებული საკუთრების უფლების დარღვევის კონკრეტულ მუხლებზე საუბრობს ოთარ ზოიძე: **"ხელისუფლება გადასახადების დაგვიანებისთვის გვაჯარიმებს, თუმცა თუ თვითონ მართებს საგადასახადო აგენტის მიმართ გარკვეული თანხა, ამაზე სარგებელს არ რიცხავს. ეს პარტნიორობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპს არღვევს. გარდა ამისა, ახალი საგადასახადო კოდექსი მესამე პირისთვის აქტივის გადაცემას კრძალავს, რაც ასევე კონსტიტუციის დარღვევაა."**

ფინანსთა სამინისტროში ამ ბრალდებებს თითიდან გამოწოვილს უწოდებენ და აცხადებენ, რომ ახალმა საგადასახადო კოდექსმა სერიოზული იურისტების შემოწმება გაიარა და თითოეული მუხლი კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია მოყვანილი. **"ეს კოდექსი ძალიან სერიოზულმა იურისტებმა განიხილეს და თან, არაერთხელ. ამიტომ იმაზე საუბარი, რომ კოდექსში რაიმე არაკონსტიტუციურია, მცდარია,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ ანთელიძემ. რაც შეეხება ექსპერტების გადაწყვეტილებას სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანის შესახებ, ანთელიძემ ამაზე მხოლოდ ის თქვა, რომ ეს მათი უფლებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ, ისინი სკეპტიკურად არიან განწყობილი საკონსტიტუციო სასამართლოს ობიექტურობის მიმართ, ამის მიზეზად კი შესაბამის გამოცდილებას ასახელებენ. **"ერთ-ერთ საგადასახდო ცვლილებასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გასულ წლებში სარჩელით მივმართე, თუმცა სასამართლომ ჩემი სარჩელი არც კი მიიღო განსახილველად,"** - გაიხსენა ზოიძემ და იქვე დასძინა, რომ მათი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ექსპერტები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გაჩერებას არ აპირებენ და ევროსასამართლოს მიმართავენ.

რაც შეეხება სარჩელს, მასზე მომუშავე ავტორების თქმით, ის ამჟერად დამუშავების პროცესშია და მას, სავარაუდოდ, საკონსტიტუციო სასამართლოში თვის ბოლოს შეიტანენ.

## სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი მცირდება

### ვადიანობა კი 1 წლამდე იზრდება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 1,3 მილიონი ლარის ღირებულების სახაზინო ვალდებულებების ემისიას 20 იანვარს გეგმავს. მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის თქმით, სახაზინო ვალდებულებების ნაწილი ბიუჯეტის დეფიციტის შევსებას უნდა მოხმარდეს. თანხის ნაწილი კი საფინანსო ბაზრის განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმებისთვის დაიხარჯება.

წინა წლებში, მუდმივი დეფიციტის პირობებში, მთავრობა სახაზინო ვალდებულებების ემისიას მაღალი განაკვეთით ახორციელებდა. საშუალოდ, ვალდებულებების პროცენტი 50-60-ის ფარგლებში მერყეობდა.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთი მუდმივად მცირდება და დღეისთვის 13 პროცენტამდე დავიდა. საქართველოს საფონდო ბირჟის ინფორმაციით, ეს არცთუ დაბალი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აზერბაიჯანსსა და სომხეთში 10-პროცენტიანი სახაზინო ვალდებულებები გამოდის.

მთლიანობაში 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 2005 წლის განმავლობაში ფინანსთა სამინისტრო 20 მილიონი ლარის ღირებულების სახაზინო ვალდებულებებს გაყიდის. შარშანდელთან შედარებით, გაზრდილია ფასიანი ქაღალდების ემისიების ვადიანობა. კერძოდ, თუ შარშან ბაზარზე, ძირითადად, საშუალოვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები იყიდებოდა, 2005 წლიდან ბაზარზე ერთწლიანი ვალდებულებები გამოვა.

როგორც ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, 2005 წლისათვის საქართველოში ახალი ტიპის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების - სახაზინო ობლიგაციების გამოშვებაა დაგეგმილი.

*24 საათი*

# კონდოლიზა რაისი - აშშ-ს საგარეო პოლიტიკის "ტკბილხმოვანი" ქორი

პირველი გვერდიდან

*ალსანიშნავია, რომ რაისის მიერ ჯორჯ ბუშისთვის შექმნილი უსაფრთხოების დოქტრინა ამერიკის ტრადიციულ საგარეო პოლიტიკას პასუხობს: ამერიკა ახალ მსოფლიო წესრიგს შექმნის. ამერიკა მსოფლიოს თავისუფლებას მოუტანს და ამ მიზნით აუცილებლობის შემთხვევაში პრევენციულ ზომებსაც გამოიყენებს ავღანეთის შემდეგ - ერაყსა და პალესტინაში. როგორც ვიცით, ერაყში ეს უკვე მოხდა. "კონდის" ეჭვი არ ეპარებოდა სადამ ჰუსეინის დამხობის აუცილებლობაში და ბირთვული კატასტროფის საშინელ სურათსაც კი წარმოგვიდგენდა. მას აგრეთვე ეჭვი არ ეპარება, რომ აშშ-ს, როგორც სუპერსაძალის, საპირწონე მულტიპოლარულობა - უტოპიური ჩანაფიქრია. შარშან ლონდონში ერთ-ერთი გამოსვლის დროს კონდოლიზა რაისმა განაცხადა: "ჩვენს მიერ დასახული დიდი ამოცანების გადაჭრაში მეტოქეობის თეორია გვიშლის ხელს. მისასალმებელია ძალა, რომელიც თავისუფლების სამსახურში დგას და ქვეყნები, რომელიც საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობის ნაწილს თავისუფლებისათვის, შეუძლიათ და უნდა აწარმოონ საერთო საქმე თავისუფლების მტრების წინააღმდეგ".*

სამშაბათს აშშ-ს სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტში სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე კონდოლიზა რაისის კანდიდატურის განხილვა დაიწყო. მოსმენას უძღვებოდა კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი. ვაშინგტონში არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ კონდოლიზა რაისის კანდიდატურას დაამტკიცებდნენ. გარდა ამისა, გავრცელებული ხმების თანახმად, სენატორი ლუგარი ქალბატონ რაისზე საკმაოდ მაღალი აზრისაა.

აღსანიშნავია, რომ სენატის საერთაშორისო კომიტეტის ბევრი სავარძელი გამოჩენილ დემოკრატებს უკავია, მათ შორის, ბუშის ყოფილ მეტოქეს საპრეზიდენტო არჩევნებში, სენატორ ჯონ კერის. დემოკრატებს რაისთან ბევრი საკითხის გარკვევა სურდათ. პირველ რიგში, ეს ერაყს უკავშირდებოდა, სადაც ომის დროს 1300-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა, ხოლო ისლამისტების მხრიდან თავდასხმები სულ უფრო ხშირი და მასშტაბური ხდება (სავარაუდოდ, 30 იანვარს დაგეგმილ ერაყის საყოველთაო არჩევნებამდე დაძაბულობა კიდევ უფრო მოიმატებს). "რაისი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ამ სისხლისღვრისკენ მოგვიწოდებდა და ვალდებულია ყველაფერზე გვიპასუხოს," - განაცხადა კალიფორნიელმა დემოკრატმა სენატორმა ბარბარა ბოქსერმა.

ჯონ კერიმ სენატის მოსმენის დროს ბუშის ადმინისტრაციის საქმიანობა გააკრიტიკა, რომელიც ერაყში ვითარების ნორმალიზებას ეხებოდა და განაცხადა, რომ სამშვიდობო ძალები სპარსეთის ყურეში "რუსებისა და ინდოელების ჩართვის წინადადებით გამოდიოდნენ". კონდოლიზა რაისმა უარყო კერის მტკიცება რუსი სამშვიდობოების ერაყში გაგზავნის შესახებ: "სენატორო, მე ამას შევამოწმებ, თუმცა გულწრფელად რომ გითხრათ, არაფერი მსმენია რუსეთის შეთავაზებაზე სამშვიდობოებთან დაკავშირებით. ვითარება პირდაპირ საპირისპიროა - რუსები არ ცდილობენ იქ თავისი ჯარის გაგზავნას. ახლახანს რუსეთის თავდაცვის მინისტრთან მოლაპარაკებები გვქონდა, როდესაც ის აშშ-ში იმყოფებოდა, იმის შესახებ, თუ როგორ დავიძრათ წინ". ჯონ კერიმ ამ განცხადების შემდეგ უპასუხა, რომ მხედველობაში უფრო "ინდოელი სამშვიდობოების" გაგზავნის შესაძლებლობა ჰქონდა. ერაყულ კრიზისში რუსეთის როლის და კრიზისის მოგვარების შესახებ მოსაზრებების ურთიერთგამოხატვის შემდეგ, რაისმა განაცხადა, რომ აშშ და რუსეთი ერთად იმუშავებენ ბიუროკრატიული დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, რუსული ბირთვული მასალების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. გარდა ამისა, მან რუსეთში ძალაუფლების მზარდი კონცენტრაცია გააკრიტიკა. მან განაცხადა, რომ ბევრ სფეროში რუსეთის ხელისუფლება კონსტრუქციულია, **"თუმცა ეს ვერ გაამართლებს იმას, რაც რუსეთში ხდება, სადაც კრემლის ხელთ არსებული ძალაუფლება, რომელიც სხვა ინსტიტუტებს ავიწროვებს, ნამდვილი პრობლემა გახდა"**. მისი სიტყვებით, ეს ხელს არ შეუშლის რუსეთ-ამერიკის თანამშრომლობას, მაგრამ აშშ **"განაგრძობს დემოკრატიისთვის ბრძოლას და კვლავ მიუთითებს, რომ რუსეთში დემოკრატიის დაცვა მომავალი ამერიკულ-რუსული ურთიერთობებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია"**.



*კონდოლიზა რაისი - აშშ-ს საგარეო პოლიტიკის "ტკბილხმოვანი ქორი".*

სენატორებთან საუბრის დროს რაისი თავდაჯერებულად გამოიყურებოდა და ღიად დააფიქსირა, რომ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ გატარებული პოლიტიკის მიმდევარია. კერძოდ, მან განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის გადაწყვეტილება სრულიად გამართლებული იყო, თუმცა აღიარა, რომ ერაყში რამდენიმე მოულოდნელობას წააწყდნენ.

შესავალ სიტყვაში რაისმა კვლავ გააფრთხილა ის ქვეყნები, რომლებსაც აშშ ტრადიციულად განიხილავს მსოფლიო დემოკრატიის მოწინააღმდეგეებად. ურჩი ქვეყნების სიას, რომელშიც შედის ირანი, ჩრდილოეთ კორეა, ზიმბაბვე, ბირმა და ბელორუსი, რაისმა სირია დაუმატა, "რომლის საქმიანობამ შესაძლოა, დიდი ხნით გაუფუჭოს ურთიერთობა აშშ-სთან". სირიას მოჰყვა ვენესუელაც, რომლის პრეზიდენტს, უგო ჩავესს კონდოლიზამ "არალიბერალურად მმართველი ლიდერი" უწოდა.

**ვაშინგტონელი ექსპერტები თვლიან, რომ რაისის სახელმწიფო მდივნობის დროს სახელმწიფო დეპარტამენტი გაცილებით დიდ როლს შეასრულებს, ვიდრე ეს პაუელის დროს ხდებოდა.**

მისი წინამორბედი, ზომიერი შეხედულებების მქონე კოლინ პაუელი დიდი პატივისცემით სარგებლობდა საერთაშორისო ასპარეზზე. მას ზოგიერთ საკითხზე საკუთარი მყარი შეხედულება გააჩნდა. ყველამ იცოდა სამხედრო კაბინეტის "ქორებსა" და კოლინ პაუელს შორის კამათის შესახებ (პირველ რიგში, მას უთანხმოება ჰქონდა ვიცე-პრეზიდენტ რიჩარდ ჩეინისთან და პენტაგონის ხელმძღვანელ დონალდ რამსფელდთან). აგრეთვე ყველამ იცოდა, რომ პრეზიდენტი ბუში სახელმწიფო მდივნის მოსაზრებებს რეალურად არ იზიარებდა. კონდოლიზა რაისი, პირიქით, პრეზიდენტის დიპლომატიური იარაღი გახდება. კონდოლიზა რაისი ამერიკული ნიმუშით მსოფლიო დემოკრატიზაციის პროპაგანდას შეუდგება. თეთრ სახლში ამბობენ, რომ მან ახალ სიმაღლეებზე უნდა აიყვანოს დიპლომატია. კონდოლიზა რაისმა **"ჩვენი მოტივები და მიზნები უნდა განუმარტოს მსოფლიოს, - ამბობს ბუში - რადგან ჩვენ ყველას უკეთ უნდა ავუხსნათ, რას წარმოადგენს სინამდვილეში ამერიკა"**.

**"საგარეო პოლიტიკის საქმეებში საკმაოდ კონსერვატული ვარ,"** - განაცხადა რაისმა და როგორც ჩანს ის "ძალისმიერ ღირებულებებს" წარმოადგენს, წერს "ვაშინგტონ პოსტი". ოთხი წლის წინ, როდესაც კონდოლიზა რაისი ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი გახდა, ფიქრობდნენ, რომ ის ზომიერი შეხედულებების პოზიციას დაიკავებდა. დღეს ბოლომდე უცნობი რჩება მისი რეალური პოლიტიკური პოზიცია, თუმცა ცხადია, რომ ის ძალაზეა ორიენტირებული, იმავდროულად, საკმაოდ პრაგმატული ადამიანია. კონდოლიზა რაისი თავის მოადგილედ, სავარაუდოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელს სავაჭრო საკითხებში რობერტ ზელიკს დანიშნავს. რაისის ახალ გუნდში ფიგურირებს ნიკოლას ბერნსიც, ამერიკის ელჩი ნატო-ში, რომელიც ზელიკის მსგავსად, რაისის მეგობარია.

კონდოლიზა რაისის ახალი გუნდის სავარაუდო სიაში აგრეთვე არიან: დენიელ ფრეიდი, ეროვნული უშიშროების საბჭოს მაღალჩინოსანი ხელმძღვანელი, ან ერიკ ედელმანი, აშშ-ს ელჩი თურქეთში და ვიცე-პრეზიდენტი ჩეინის აპარატის ყოფილი თანამშრომელი (ერთ-ერთი მათგანი უნდა გახდეს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპის საკითხებში); დევიდ უელჩი, აშშ-ს ელჩი ეგვიპტეში (ის ნომინირებულია სახელმწიფო მდივნის მოადგილედ ახლო აღმოსავლეთის საკითხებში); და კრის ჰილი, აშშ-ს ელჩი სამხრეთ კორეაში, რომელიც, ალბათ, სათავეში ჩაუდგება აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების ბიუროს. ყველა მათგანი ერთგულად ემსახურებოდა ამერიკის პრეზიდენტებს ორივე პარტიიდან და გარდა ამისა, ისინი დღევანდელი თაობის ყველაზე საუკეთესო პროფესიონალთა პლეადას განეკუთვნებიან. როგორც ჩანს, რაისი წარმატებული კარიერის მქონე დიპლომატებსა და პროფესიონალებს ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე იდეოლოგებსა და პარტიული ხაზით დანიშნულ პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით, როდესაც საუბარია სახელმწიფო მდივნის მოადგილეებზე მსოფლიოს კრიტიკულ რეგიონებში. მათი დაწინაურება მნიშვნელოვანი მანიშნებელია იმისა, თუ რა საგარეო პოლიტიკის გატარება სურს კონდოლიზა რაისს (შესაბამისად, ჯორჯ ბუშს): უფრო ცენტრისტული, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული.

*P.S. მუსიკის სიყვარულის გამო, დედამისმა მას კონდოლიზა დაარქვა, სიტყვიდან "con dolcezza", რომელიც მუსიკალური ტერმინოლოგიით "ტკბილხმოვანს" ნიშნავს. იქნება თუ არა აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ისეთივე ხმატკბილი, როგორიც სახელმწიფო მდივნის სახელია, ამას, როგორც ყოველთვის, დრო გვიჩვენებს.*


ბანკი რესპუბლიკა

# კორპორაციული მართვის ახლებური მოდელი

## ცვლილებები ბანკი "რესპუბლიკის" სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოში

*ბანკი "რესპუბლიკა" პირველი ქართული კომპანიაა, რომელიც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ ბიზნესის განვითარების პროექტის ფარგლებში შერჩეულ იქნა პილოტურ კომპანიად. პროექტი ითვალისწინებდა კორპორაციული მართვის სრულყოფას და იმ სტანდარტებთან მიახლოებას, რომელთაც საბანკო ბიზნესის საერთაშორისო ლიდერები ექვემდებარებიან. ცვლილებების განხორციელება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატში ამ მხრივ ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.*

2004 წლის 24 დეკემბერს ბანკ "რესპუბლიკაში" შედგა აქციონერთა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ახალი შემადგენლობის დაკომპლექტების საკითხი.

ბანკი "რესპუბლიკის" სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ბ-ნი ლაშა პაპაშვილი, რომელიც 1998 წლიდან 1999 წლამდე წარმატებით ხელმძღვანელობდა ბანკის გამგეობას, ხოლო 1999 წლიდან სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შემდეგ, ბანკი "რესპუბლიკის" დირექტორთა საბჭოს. იგი ამავდროულად ბანკის უმსხვილესი აქციონერია. ბ-ნ ლაშა პაპაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში ბანკმა მნიშვნელოვანი პოზიციები დაიკავა საქართველოს საბანკო სისტემაში და დაიმკვიდრა სტაბილურად განვითარებადი, წარმატებული ბანკის იმიჯი.

ბანკი "რესპუბლიკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ბ-ნი გოჩა მაცაბერიძე, რომელიც ბანკის დაარსების დღიდან ხელმძღვანელობდა სამეთვალყურეო საბჭოს და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ბანკის განვითარებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნი ლაშა პაპაშვილის წარდგინებით ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დაინიშნა ბ-ნი გრიგოლ კაცია, რომელიც 1998 წლიდან მუშაობდა სს ბანკ "რესპუბლიკაში" სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 2003 წლიდან ბანკის დაკრედიტების დირექტორატს ხელმძღვანელობდა. ბ-ნი ლ. პაპაშვილის შეფასებით ბ-ნ გრიგოლ კაციას გააჩნია სათანადო გამოცდილება და მენეჯერისათვის აუცილებელი ყველა ის უნარ-ჩვევა, რომელიც აუცილებელია დაკისრებული მოვალეობების წარმატებით შესრულებისათვის.

სს ბანკი "რესპუბლიკი"-ს მმართველობით ორგანოებში გატარებული ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობას გახდის უფრო ქმედითს, ეფექტურსა და გამჭვირვალეს. იგეგმება სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების არჩევა და სამეთვალყურეო საბჭოს ახალი დებულების დამტკიცება. ეს არსებითად ცვლის ქართულ საფინანსო სივრცეში დამკვიდრებულ მართვის სტერეოტიპულ მოდელს. ცვლილებების შედეგად იქმნება საფუძველი დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის უფრო ეფექტური თანამშრომლობისათვის ბანკი "რესპუბლიკის" სტრატეგიული მიმართულებებისა და კორპორაციული განვითარების განსაზღვრის დროს. ეფექტური კორპორაციული მართვა ხელს შეუწყობს როგორც ბანკის სტაბილურობას, ასევე აქციონერთა და მეანაბრეთა უფლებების მაქსიმალურად დაცვას და განაპირობებს ინვესტორთა ნდობის ამაღლებას, გრძელვადიანი ფინანსური რესურსების შემოდინებას, ბანკის ღირებულებებისა და კაპიტალის ზრდას.

2004 წელს კორპორაციული მართვის სისტემის შემუშავებისა და დახვეწის მიზნით ბანკში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რათა ბიზნესში დამკვიდრდეს მუშაობის ისეთი სტილი და წესები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საზოგადოებისათვის ინფორმაციის გახსნილობასა და სიზუსტეს, მენეჯერების მაღალ პასუხისმგებლობას, აღრიცხვიანობის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას, საერთაშორისო აუდიტორების გამოყენებას, აქციონერებისა და მმართველებს შორის როლების გამიჯვნას და ბოლოს, აქციონერების (მესაკუთრეების) უფლებების დაცვას.

ბანკი "რესპუბლიკა" მომავალშიც აქტიურად იმუშავებს, რათა კორპორაციული მართვის სისტემა კიდევ უფრო გამჭვირვალე და ეფექტური გახდეს.

### ბანკ "რესპუბლიკის" შესახებ

ბანკი "რესპუბლიკა" ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე კომერციული ბანკია საქართველოში. იგი XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში შეიქმნა და დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და საიმედო სტრუქტურაა.

ბანკ "რესპუბლიკას" საქართველოს საბანკო სივრცეში წმინდა მოგების სიდიდით მეორე ადგილი უკავია, კაპიტალის მიხედვით ბანკი საბანკო სისტემის ლიდერთა ხუთეულში შედის და მუდმივად აძლიერებს პოზიციებს, რაც ბანკის ბოლო პერიოდის მონაცემებითაც დასტურდება - ბანკმა 2004 წლის განმავლობაში აქტივების 64%-იან (ქართულ საფინანსო სექტორში ყველაზე დიდი მაჩვენებელი) ზრდას მიაღწია და მისი მთლიანი აქტივები დღეისათვის 130 000 000-მდე (ასოცდაათი მილიონი) ლარს უტოლდება. ბანკი აბსოლუტური ლიდერია აქციონერთა უმაღლესი ღირებულებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რაც გამოიხატება ROE-სა და ROA-ს პოსტ საბჭოთა ქვეყნების ბანკთა შორის ერთ-ერთი უმაღლესი მაჩვენებლებითა და სააქციო საზოგადოებაში კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვით.

*ბანკი "რესპუბლიკის" მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*


## წინასაარჩევნო პერიოდი აფეთქებების თანხლებით

გუშინ ერაყის დედაქალაქ ბაღდადში აფეთქებათა სერია განხორციელდა, რის შედეგადაც სულ მცირე 26 ადამიანი დაიღუპა და ათეულობით დაიჭრა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული აფეთქებების წინა დღეს ხელისუფლებამ 30 იანვარს დაგეგმილი არჩევნებისთვის ახალი უსაფრთხოების ზომების შემოღების შესახებ გააკეთა განცხადება. სამწუხაროდ, მართლდება ვარაუდი, რომ არჩევნებამდე ტერორისტები განსაკუთრებით გააქტიურდებიან.

პირველი აფეთქება ავსტრალიის დიპლომატიური მისიის შენობასთან გაისმა. პოლიციის მონაცემებით, კამიკაძე-ტერორისტმა ავტომანქანაში დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა აამოქმედა.

კიდევ ერთი დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა პოლიციის შტაბბინის შენობასთანაც. როგორც იუწყებიან, აფეთქება პირველი ტერაქტიდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდა. ავსტრალიის საელჩოსთან განხორციელებული ტერაქტის შედეგად მის თანამშრომელთაგან არავინ დაშავებულა. თავად საელჩოს შენობაც არ დაზიანებულა, თუ არ ჩავთვლით ჩამსხვრეულ ფანჯრებს. ოფიციალური ხელისუფლება, ჯერჯერობით, დარწმუნებით ვერ ამბობს, რომ ტერორისტთა სამიზნე სწორედ დიპლომატიური მისიის შენობა იყო.

დანაღმული ავტომანქანები ბოლო დროს ერაყში მომხდარი ტერაქტების თითქმის აუცილებელი ატრიბუტი გახდა. შეგახსენებთ, სამშაბათს ერაყის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არჩევნების თარიღის მოახლოებისთვის სამი დღით ჩაკეტავს სახმელეთო საზღვრებს. უსაფრთხოების ახალი ზომების თანახმად, არჩევნების პერიოდში, მხოლოდ სპეციალური საშვების მქონე ავტომობილების მოძრაობა იქნება დაშვებული.

*24 საათი*

## დიდი ცვლილებების დასაწყისი

პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის ახალმა მეთაურმა მაჰმუდ აბასმა პალესტინის გარდაცვლილი ლიდერის იასირ არაფატის 55 მრჩევლიდან 50 თანამდებობიდან გაათავისუფლა. ექსპერტთა შეფასებით, ეს უკვე დიდი ცვლილებების დასაწყისზე მეტყველებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქმე ეხება მხოლოდ სამოქალაქო და სამხედრო მრჩევლებს, თუმცა რამალაში მდებარე პალესტინის ნაციონალური ავტონომიის მეთაურის ოფისში მუშაობას წინამორბედი ადმინისტრაციის დროს დაქირავებული ათასზე მეტი საჯარო მოხელე ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებს. ახალი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, ცვლილებები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება და უსაფრთხოების სტრუქტურებში დაგეგმილი რეფორმების პარალელურად კიდევ მრავალი ადმინისტრაციული რეფორმა გატარდება. მაჰმუდ აბასი წინასაარჩევნო პროგრამის დროსაც აცხადებდა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში უსაფრთხოებისა და პალესტინის ხელმძღვანელობაში რეალურ ცვლილებებს განახორციელებდა. ავტონომიაში რეფორმები უპირველესი მოთხოვნაა, რომელსაც საერთაშორისო შუამავალთა "ოთხეული" (რუსეთი, აშშ, ევროკავშირი და გაერო) პალესტინის ახალ ხელმძღვანელობას სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" მეშვეობით უყენებს.

ზემოაღნიშნულ სფეროებში რეფორმების გატარებით თავად პალესტინური მხარეც დაინტერესებულია, რადგან მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში მათდამი მასშტაბური დოტაციების გაღებას ხელს ვერაფერი შეუშლის. გარდა ამისა, "ოთხეულის" მიერ შემუშავებული "საგზაო რუკით" გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილება პირდაპირ კავშირშია ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებების აღდგენასთანაც.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**კოლუმბია.** გუშინ კოლუმბიაში კორდობას დეპარტამენტში სპეციალურად გამოყოფილ დემილიტარიზებულ ზონაში, 922 ულტრამემარჯვენე ბოევიკმა ნებაყოფლობით ჩააბარა იარაღი. არაფორმალური სამხედრო ფორმირებების დემობილიზაციის პირველი პროცესი მიმდინარე წელს ხელისუფლების, კათოლიკური ეკლესიისა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წარმომადგენლების თანდასწრებით ჩატარდა. ექსტრემისტული დაჯგუფებების განიარაღებასთან დაკავშირებით მიღწეული შეთანხმების შემდეგ, ჯერჯერობით, არაფორმალური ბანდფორმირებების 3 500 წევრია დემობილიზებული. გეგმის თანახმად, ექსტრემისტთა სრული განიარაღება მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. სხვადასხვა შეფასებებით, არაფორმალურ დაჯგუფებებში 13-დან 20 000-მდე ბოევიკი ირიცხება. **იტარ-ტასი**

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

## როგორც ფუნდამენტურ მეცნიერულ კვლევათა ნაციონალური ცენტრი

თამაზ გამყრელიძე
აკადემიკოსი

1. თანამედროვე საზოგადოების განვითარება, ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნა, როგორც ცნობილია, მთლიანად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებული მეცნიერებისა და განათლების დონეზე. ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული პროგრესი და, საზოგადოდ, ქვეყნის უსაფრთხოება პირდაპირ კავშირშია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან და მეცნიერული ცოდნის ადეკვატურ გამოყენებასთან. ცივილიზებული ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ მძლავრ ეკონომიკას, ძლიერ ჯარსა და ქმედითუნარიან სამართალდამცავ ორგანოებს, არამედ აგრეთვე (და შესაძლებელია არანაკლებ) - მძლავრ მეცნიერებას, ფართო განათლებასა და საზოგადოების მაღალ კულტურულ დონეს. ამასთანავე, მეცნიერების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ ფუნდამენტური მეცნიერებანი, ფუნდამენტური კვლევები და ამგვარი კვლევების შედეგად აღმოცენებული ახალი მეცნიერული იდეები, რომელთა განხორციელება და ცხოვრებაში გატარება შესაძლებელს ხდის ავამაღლოთ საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე.

სწორედ მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიები და უმაღლესი განათლების სათანადო დაწესებულებები არის თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ის ძირითადი კერები, სადაც ხდება ამგვარი მეცნიერული იდეების ჩასახვა და განვითარება. ალბათ არ არსებობს თანამედროვე სამყაროში ცივილიზებული სახელმწიფო, რომელშიც არ იყოს წარმოდგენილი ამა თუ იმ სახით მეცნიერებათა აკადემია და რომელიც ხელს არ უწყობდეს ამგვარი აკადემიების საშუალებით მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

საქართველოში სწორედ ამ ტიპის დაწესებულებებს წარ-მოადგენდნენ ცნობილი ძველი აკადემიები, მათ შორის ***დავით აღმაშენებლის*** მიერ დაფუძნებული "*გელათის აკადემია*". ამ ტიპის დაწესებულება იყო აგრეთვე 1918 წელს დიდი ***ივანე ჯავახიშვილის*** მიერ დაფუძნებული *ქართული უნივერსიტეტი* და 1941 წელს დაარსებული *საქართველოს მეცნიერებათა აკადემია*, რომლის ჩამოყალიბებას დიდი ღვაწლი იმავე ***ივანე ჯავახიშვილმა*** დასდო; სწორედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში ჩამოყალიბდა საბოლოოდ ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ქართული სამეცნიერო სკოლები, როგორიცაა *ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფიზიოლოგიური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა, ქართული გეოლოგიური სკოლა, ქართული ფილოსოფიური და საისტორიო სკოლები, ქართული საენათმეცნიერო სკოლა, ქართული სააღმოსავლეთმცოდნეო სკოლა* და სხვ.; სწორედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ასოცირდება ქართული და საერთაშორისო მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორიცაა ***ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი***... ქართული მეცნიერება, ქართული კულტურა, მთელი ქართველი ხალხი ამაყობს ამ სახელებით, რომლებიც განუყოფლადაა დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან.

2. ყველასათვის გასაგებია, რომ დღევანდელ ვითარებაში ჩვენს ქვეყანაში გასატარებელია ძირეული რეფორმები განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაციის სფეროში, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, რათა შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო ავამაღლოთ საქართველოში ტრადიციულად არსებული მაღალი აკადემიური დონე, გავაღრმავოთ და გავაფართოოთ საერთაშორისო თანამშრომლობა და კავშირები მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან.

დადგა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის ფრიად კრიტიკული პერიოდი და ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა წინაშე ისმის უმნიშვნელოვანესი ამოცანა - გადავარჩინოთ, შევინარჩუნოთ და სათანადოდ განვავითაროთ ქართული მეცნიერება და კულტურა: მეცნიერება და კულტურა, როგორც საზოგადოებრივი ფენომენი, ხომ თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველია, ჩვენი და მომავალი საზოგადოება ხომ მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული საზოგადოება უნდა იყოს და ქვეყნის საერთო უსაფრთხოების ერთ-ერთ მძლავრ და არსებითად განმსაზღვრელ ფაქტორს ხომ სწორედ მეცნიერება წარმოადგენს, განსაკუთრებით მისი ფუნდამენტური დარგები.

სავსებით ცხადია, რომ თანამედროვე ქართული მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში ორგანული ჩართვის გარეშე, მაგრამ საბაზრო ურთიერთობათა უკრიტიკო და მექანიკური გადატანა მეცნიერებისა და განათლების სფეროში საშიშროებას უქმნის სწორედ ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების პერსპექტივებს; ფუნდამენტური მეცნიერებანი კი, როგორც ცნობილია, საწინდარია საერთოდ მეცნიერების (მათ შორის მეცნიერების გამოყენებითი დარგების) და კულტურის განვითარებისა, რაც, თავის მხრივ, საფუძველია ქვეყნის წინსვლის, ქვეყნის ეკონომიკისა და მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებისა.



*თამაზ გამყრელიძე.*

3. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან დაკავშირებით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) სათანადოდ უნდა გარდაიქმნას მეცნიერებათა აკადემიის არსებული სტრუქტურა და შეიქმნას "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია", როგორც საბაზო დაფინანსებაზე დამყარებული ფუნდამენტურ კვლევათა ნაციონალური ცენტრი, რომლის კურატორი უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი (რიგი დასავლური აკადემიების ანალოგიით). აკადემიის პრეზიდენტს ირჩევს აკადემიის "საერთო კრება" - მეცნიერებათა აკადემიის მართვის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტებისა და აკადემიური ინსტიტუტების უფლებამოსილი წარმომადგენლებისაგან; "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" განსაზღვრული ვადით არჩეულ პრეზიდენტს ამტკიცებს ქვეყნის პრეზიდენტი.

ბ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია უნდა წარმოადგენდეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და/ან ცალკეული სამეცნიერო ცენტრების დამოუკიდებელ, თვითმართვად ერთობლიობას, როგორც ეს ამჟამად არა მარტო რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა უმეტესობის შემთხვევაში გვაქვს, არამედ ასევე ევროპის არაერთი წამყვანი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების შემთხვევაში (ავსტრია, უნგრეთი, გერმანია...).

მეცნიერებათა აკადემია მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული (შესაძლებელია, ორგანიზაციული და სტრუქტურული კავშირებითაც) საგანმანათლებლო და კულტურულ კერებთან (შდრ. ამ თვალსაზრისით ***ჯონ ადამსის*** - ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მეორე პრეზიდენტის მიერ დაარსებული "*ხელოვნებათა და მეცნიერებათა ამერიკული აკადემიის*" სტრუქტურა).

მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურული რეფორმირების პროცესში მისი არქიტექტონიკისა და ინსტიტუციონალური შედგენილობის კონკრეტული სურათი საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს აკადემიაში შექმნილი სპეციალური კომისიების მიერ და შეთანხმდეს სათანადო სამთავრობო სტრუქტურებთან.

გ) აკადემიის სისტემაში ამჟამად მიმდინარე ატესტაციის პროცესი, ბუნებრივია, გარკვეულწილად შეცვლის აკადემიის ინსტიტუტებში მეცნიერ მუშაკთა შემადგენლობას და, შესაბამისად, მათ რაოდენობას, მაგრამ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს მხოლოდ მეცნიერ მუშაკთა მაქსიმალური სოციალური დაცვის პირობებში.

დ) ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი სოციალური ვითარების გათვალისწინებით, მეცნიერებისა და განათლების სფეროში გამოყენებული უნდა იქნეს არა ევროპული (კერძოდ, გერმანული) მოდელი მკაცრი ასაკობრივი ცენზით (ეს ერთბაშად დასცემდა ჩვენს დღევანდელ აკადემიურ დონეს), არამედ ამერიკული მოდელი, რომელიც აკადემიურ სფეროში მოღვაწეთათვის არ ითვალისწინებს აუცილებლობით გარკვეულ ასაკობრივ ცენზს (ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა კარგა ხანია, მიიღო კანონი, რომელიც აკადემიურ სფეროში აუქმებს ასაკობრივ ცენზს, როგორც "ასაკობრივ დისკრიმინაციას" და ადამიანის უფლებების დარღვევას).

ამასთან ერთად, აუცილებელია ახალგაზრდობის მეცნიერებაში ფართოდ მოზიდვა, მათთვის აკადემიურ სტრუქტურებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალური პირობების შექმნითა და უზრუნველყოფით; ქართული მეცნიერების გადარჩენა და შემდგომი განვითარება ხომ სწორედ პერსპექტიული ახალგაზრდა კადრების მეცნიერებაში მოსვლასთან არის დაკავშირებული.

ე) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მფლობელობაში ამჟამად არსებული უძრავი ქონება უნდა დარჩეს რეორგანიზებული აკადემიის სისტემაში, როგორც მეცნიერებათა აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება-მოდერნიზაციისა და, შესაბამისად, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების გაფართოებისათვის აუცილებელი საფუძველი და წინაპირობა.

უნდა გამოვთქვათ რწმენა, რომ საქართველოში მიმდინარე გარდაქმნებისა და აღმშენებლობის საერთო კონტექსტში მეცნიერებათა აკადემიის სისტემის თანმიმდევრული რეორგანიზაცია და მოდერნიზაცია მკვეთრად გაზრდის ფუნდამენტურ კვლევათა წვლილსა და მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და მისი საერთო უსაფრთხოების განმტკიცებაში.

# ინსტიტუციური აკრედიტაციის შედეგები

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 ოქტომბრის №470 ბრძანებულებით შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭო, მომზადდა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც დაეგზავნა ყველა ლიცენზირებულ უმაღლეს სასწავლებელს. კონკურსის წესით შერჩეულმა 113 ექსპერტმა უმაღლეს სასწავლებლებში გასვლებით შეამოწმა წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორე.

ინსტიტუციური აკრედიტაციისთვის გამოყენებული ძირითადი კრიტერიუმები: პროფესორ-მასწავლებელთა შორის სამეცნიერო ხარისხის მქონეთა რიცხვი, სტუდენტთა რაოდენობასთან სააუდიტორიო ფართის, ბიბლიოთეკის სიმძლავრის, პერსონალური კომპიუტერების რაოდენობის შეფარდება.

ინსტიტუციური აკრედიტაციის გასავლელად განაცხადი დადგენილ ვადებში - 2004 წლის 24 ნოემბრამდე გააკეთა 227-მა სასწავლებელმა. მოცემული მომენტისათვის დამუშავებული 178 სასწავლებლის მონაცემების საფუძველზე, სააკრედიტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტიტუციური აკრედიტაცია გაიარა 78-მა უმაღლესმა სასწავლებელმა, ანუ 44%. შესამოწმებელია კიდევ 49 სასწავლებელი.

მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებს ეძლევათ უფლება, მიმდინარე წელს გამოაცხადონ სტუდენტთა მიღება.

აკრედიტებულ 78 უმაღლეს სასწავლებელს 2005 წელს შეუძლიათ მიიღონ არაუმეტეს 14625 სტუდენტისა, როგორც სახელმწიფო დაფინანსებით, აგრეთვე თვითდაფინანსებით.

აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები განლაგებული არიან: თბილისში - 62, ბათუმში - 6, ქუთაისში - 2, მარნეულში - 2, რუსთავში - 1, სიღნაღში - 1, ახალციხეში - 1, ახალქალაქში - 1, თელავში - 1, ფოთში - 1.

ინსტიტუციური აკრედიტაციის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2005 წლის 10 თებერვლამდე. იმ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებმაც ვერ გაიარეს ინსტიტუციური აკრედიტაცია, კანონის თანახმად, ეძლევათ შესაძლებლობა, 2 წლის განმავლობაში გაიარონ აკრედიტაცია.

*24 საათი*

| | 2005 წლის 18 იანვრისათვის აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სია | 2005-2006 მისაღები კონტინგენტი | ქალაქი |
|---|---|---|---|
| 1. | [illegible] პლასტიკური ქირურგიის და კოსმეტოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტი | 13 | თბილისი |
| 2. | ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტი | 19 | ბათუმი |
| 3. | ბათუმის მემედ აბაშიძის სახ. დამოუკიდებელი უნივერსიტეტი | 26 | ბათუმი |
| 4. | ბათუმის საზღვაო ინსტიტუტი | 10 | ბათუმი |
| 5. | ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია | 303 | ბათუმი |
| 6. | ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი | 673 | ბათუმი |
| 7. | ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია | 13 | ბათუმი |
| 8. | ბიოლოგიური მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი | 16 | თბილისი |
| 9. | გორის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი | 135 | გორი |
| 10. | გრიგოლ რობაქიძის სახ. უნ-ტი "ალმა მატერ" | 77 | თბილისი |
| 11. | ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი | 144 | თბილისი |
| 12. | ი. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უნივერსიტეტი | 202 | თბილისი |
| 13. | ილია ჭავჭავაძის სახ. საქართველოს [illegible] ინსტიტუტი | 165 | თბილისი |
| 14. | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მარნეულის ფილიალი | 33 | მარნეული |
| 15. | ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი | 296 | ახალციხე |
| 16. | ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალი | 55 | ახალქალაქი |
| 17. | ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი | 801 | თბილისი |
| 18. | ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 2962 | თბილისი |
| 19. | კავკასიის აკადემიური ცენტრი | 11 | თბილისი |
| 20. | კლასიკური და ტრადიციული მედიცინის აკადემია | 30 | თბილისი |
| 21. | ნ. [illegible] სახ. თბილისის უნივერსიტეტი | 36 | თბილისი |
| 22. | პაატა გუგუშვილის სახ. უნივერსიტეტი | 35 | თბილისი |
| 23. | პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია | 54 | თბილისი |
| 24. | ქუთაისის სამედიცინო ინსტიტუტი "ქუთაისი" | 32 | ქუთაისი |
| 25. | ქუთაისის ხელოვნებისა და პედაგოგიკის ინსტიტუტი "[illegible]" | 32 | ქუთაისი |
| 26. | რუსთავის დამოუკიდებელი ინსტიტუტი | 23 | რუსთავი |
| 27. | საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსიტეტი | 12 | თბილისი |
| 28. | [illegible] აკადემია | 14 | თბილისი |
| 29. | სამედიცინო, ზოგადი და გამოყენებითი ფსიქოლოგიის სასწავლო ინსტიტუტი | 24 | თბილისი |
| 30. | საქ. [illegible] აკადემია | 20 | თბილისი |
| 31. | საქ. სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი | 423 | თბილისი |
| 32. | საქ. სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მარნეულის ფილიალი | 94 | მარნეული |
| 33. | საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაცია - "[illegible] აკადემია" | 41 | თბილისი |
| 34. | საქართველოს საავტომობილო-საგზაო ინსტიტუტი | 11 | თბილისი |
| 35. | საქართველოს [illegible] აკადემია | 54 | თბილისი |
| 36. | საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტი "[illegible]" | 20 | თბილისი |
| 37. | საქართველოს სახ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია | 203 | თბილისი |
| 38. | საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-ვეტერინარული უნივერსიტეტი | 203 | თბილისი |
| 39. | საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი | 15 | თბილისი |
| 40. | საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნ-ტი | 192 | თბილისი |
| 41. | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | 3552 | თბილისი |
| 42. | საქართველოს [illegible] უნივერსიტეტი | 150 | თბილისი |
| 43. | საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი ESM | 56 | თბილისი |
| 44. | შავი ზღვის საერთაშორისო უნ-ტი | 60 | თბილისი |
| 45. | სოხუმის ი. [illegible] სახ. უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი | 63 | თბილისი |
| 46. | შპს "ინტერბიზნესის" [illegible] სახ. საქართველო[illegible] ინსტიტუტი | 30 | თბილისი |
| 47. | შპს სამედიცინო ინსტიტუტი "თბილისი" | 19 | თბილისი |
| 48. | შპს საქართველოს სახელმწიფო კოოპერაციული ინსტიტუტი | 67 | თბილისი |
| 49. | შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი | 41 | თბილისი |
| 50. | თამაზ [illegible] სახ. უნივერსიტეტი "ივერია" | 32 | თბილისი |
| 51. | თბ. აპოლონ ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემია | 229 | თბილისი |
| 52. | თბ. ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 261 | თბილისი |
| 53. | თბ. სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი | 569 | თბილისი |
| 54. | თბ. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი | 496 | თბილისი |
| 55. | თბ. ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია | 203 | თბილისი |
| 56. | თბილისი სამართლისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტი | 15 | თბილისი |
| 57. | თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი | 26 | თბილისი |
| 58. | თბილისის ბიზნესისა და საგარეო ურთიერთობების ინსტიტუტი | 10 | თბილისი |
| 59. | თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი "[illegible]" | 65 | თბილისი |
| 60. | თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი "[illegible]" | 77 | თბილისი |
| 61. | თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი | 132 | თბილისი |
| 62. | თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახ. კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნ-ტი | 63 | თბილისი |
| 63. | თბილისის საბანკო - საფინანსო ინსტიტუტი | 55 | თბილისი |
| 64. | თბილისის საერო ინსტიტუტი "ორიენტირი" | 14 | თბილისი |
| 65. | თბილისის საერო უნივერსიტეტი "[illegible]" | 44 | თბილისი |
| 66. | თბილისის საერო უნივერსიტეტი "[illegible]" | 41 | თბილისი |
| 67. | თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი | 16 | თბილისი |
| 68. | თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი | 37 | თბილისი |
| 69. | თბილისის ტექნოლოგიური ინსტიტუტი | 21 | თბილისი |
| 70. | თბილისის უნივერსიტეტი "[illegible]" | 23 | თბილისი |
| 71. | თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტი | 60 | თბილისი |
| 72. | თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი 2 | 27 | თბილისი |
| 73. | თბილისის პოლიტიკური აკადემია | 18 | თბილისი |
| 74. | თელავის იაკობ გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი | 326 | თელავი |
| 75. | [illegible] სიღნაღის ფილიალი | 133 | სიღნაღი |
| 76. | უმაღლესი სამედიცინო სკოლა "აიეტი" | 24 | თბილისი |
| 77. | უნივერსიტეტი "საქართველო" | 14 | თბილისი |
| 78. | წმ. გრიგოლ ფერაძის სახ. თბილისის უნივერსიტეტი | 34 | თბილისი |
| | სულ | 14625 | |

# უსაფრთხო გათბობისათვის

*მიმდინარე წელს მხუთავი გაზების ზემოქმედებით ოცახუთი ადამიანი მძიმედ მოიწამლა, რვა გარდაიცვალა. ყოველ ზამთარს, თითქმის, ყოველ დღე ვისმენთ საშინელ ინფორმაციას, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არაფერი კეთდება.*

ნინო ბერელიძე

მაღალსართულიან შენობებში, რომლებსაც არა აქვთ კვამლსადენები, სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმებით "ღია ცეცხლის" გამოყენება დაუშვებელია. ასევე დაუშვებელია, საცხოვრებელ ოთახებში გაზის შლანგებით გატარება და ფანჯრებიდან გოფრირებული მილებით წვის პროდუქტების გაფრქვევა. დედაქალაქში არსებული მაღალსართულიანი შენობების 99 პროცენტი გათვლილია წყლით თბომომარაგებაზე კვამლსადენის გამოყენების გარეშე. ამიტომ ასეთ შენობებში ინდივიდუალური ღუმელების გამოყენებისას ელემენტარული უსაფრთხოების ნორმების დაცვა შეუძლებელია.

არავინ აწარმოებს იმის ანალიზს, თუ მუდმივად რამდენი ადამიანი ავადდება გამათბობლებიდან გამოყოფილი მავნე ნივთიერებებისაგან. წლევანდელი ზამთარი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ სავალალო სტატისტიკას, რომელიც ერთობლივად გამოაქვეყნა მსოფლიო ბანკმა და ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ, სადაც მითითებულია, რომ ამიერკავკასიაში, გათბობის პრიმიტიული მეთოდების გამოყენებისას საცხოვრებელ სათავსოებში შიდა ჰაერის დაბინძურებით გამოწვეულია დაავადებებისა და ნაადრევი სიკვდილიანობის ზრდა.

ამასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს წინადადებები.

არასამთავრობო ორგანიზაცია "ენერგოეფექტურობა და სუფთა წარმოების" ცენტრის დირექტორი ნელი ვერულავა:

**"აუცილებლად, ეტაპობრივად უნდა დაიწყოს თბილისის თბომომარაგება. ქალაქის ხელმძღვანელობამ უნდა შექმნას მუშა ჯგუფი სპეციალისტებისა და საზოგადოების ფართო ფენების მონაწილეობით, რათა სასწრაფოდ შემუშავდეს რეალური, მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო პროგრამა. მთავარია გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისათვის საჭირო სითბოს მისაღებად ბუნებრივი აირი დაიწვას, საცხოვრებელი ბინებისაგან განცალკევებით. წვის პროდუქტები კი საკვამლე მილის საშუალებით გაიბნეს ატმოსფეროში. პირველი ნაბიჯი საპილოტო-სადემონსტრაციო პროექტის განხორციელებით უნდა დავიწყოთ.**

**რა დაჯდება ასეთი სისტემის დანერგვა? თნხები მცირე არ იქნება, მაგრამ მერიის ძალისხმევითა და მოსახლეობის მხარდაჭერით, ეტაპობრივად მოგვარდება საკითხი. სწორად გათვლის შემთხვევაში კი სპონსორებიც გამოჩნდებიან".**

# ბრძოლა წესების გარეშე - ლიფტების ბიზნესისთვის

*თვეზე მეტია, რაც წინასწარ პატიმრობაში იმყოფება ყოფილი სპეცდანიშნულების რაზმ "ალფას" წევრი, აფხაზეთის ომის დროს მხედრული მამაცობისთვის პირველი ხარისხის მედლით დაჯილდოებული, ფირმა "კომპიუტერ ლენდის" ხელმძღვანელი თეიმურაზ (ბაჩო) შარაშენიძე. ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა შარაშენიძეს "ძალადობის ან ძალადობის მუქარით სხვისი ნივთების დაზიანებით ან განადგურებით მონოპოლიური საქმიანობის განხორციელებაში" სდებს ბრალს. სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი რამდენიმე წელია, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშია შეტანილი, აღნიშნული კვალიფიკაციით აქამდე არც ერთი საქმე არ აღძრულა.*

თამარ კაციტაძე

შარაშენიძის ახლობლების განცხადებით, ლიფტების ბიზნესში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფირმის ხელმძღვანელის თავისუფლების აღკვეთის მიზეზი, ლიფტის ბიზნესში არსებული განუკითხაობა გახდა, რომელიც საქართველოში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და რომლისთვისაც სამართალდამცველ სტრუქტურებს ბოლო პერიოდამდე სახელის დარქმევა არც უფიქრიათ.

ლიფტის ყუთების დამტვრევა და თანხის მოპარვა, მოტორების გაფუჭება და კაბელების გადაჭრა - ეს იმ დანაშაულთა ნაწილია, რა ხერხებითაც კონკურენტი ფირმები (საქართველოში, დაახლოებით, 15 ასეთი ფირმა არსებობს) ერთმანეთს უსწორდებიან. სამართალდამცველ სტრუქტურებში ასობით ასეთი დანაშაულია აღრიცხული, მაგრამ არც ერთ მათგანი არ გახსნილა.

**"ლიფტების კომპანიებს შორის არაკეთილსინდისიერი ბრძოლა მიმდინარეობს, რაც დანაშაულებრივ ქმედებებშია გადაზრდილი. დამნაშავეები თავის დროზე რომ დაედგინათ, დღეს საბრალდებო სკამზე, შარაშენიძის ნაცვლად, სხვა პიროვნებები ისხდებოდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა დადგა დრო, როდესაც პროკურატურამ აღნიშნულ დანაშაულებს თავისი სახელი უნდა დაარქვას და განტევების ვაციც მოიძებნა. ამ შემთხვევაში მსხვერპლი შარაშენიძე აღმოჩნდა, რადგან მას ზურგს არავინ უმაგრებს. კონკურენტ ფირმებს კი, რომლებიც დიდი ხანია, ყველაზე წარმატებული და კონკურენტუნარიანი ფირმის "კომპიუტერ ლენდის" ჩასაძირად გაერთიანდნენ, საკმაოდ ძლიერი მფარველები ჰყავთ და ამ ეტაპზე, დროებითი გამარჯვებაც მათ დარჩათ,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში თეიმურაზ შარაშენიძის ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ.

შარაშენიძის სახელმა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში პირველად "თბილლიფტის" საქმის მწარმოებელი ავთანდილ ქაწაშვილის მკვლელობის საქმის გამოძიებისას გაიჟღერა. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება ამ ეტაპზე ქაწაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით შარაშენიძის სახელს არც ახსენებს, მისი ახლობლები თვლიან, რომ "კომპიუტერ ლენდის" დამფუძნებელს არაოფიციალურად მკვლელის იმიჯს უქმნიან, რათა მისი ბიზნესი საბოლოოდ ჩაიძიროს.

**"თავდაპირველად გამოძიება იქით მიდიოდა, რომ ქაწაშვილის მკვლელობა შარაშენიძეს დაბრალებოდა, მაგრამ ამის დამტკიცება ვერ მოხერხდა, რადგან საამისო მტკიცებულება ბუნებაში არ არსებობს. რაც შეეხება შარაშენიძისთვის ამჟამად წარდგენილ ბრალდებას, ის ისევე აბსურდულია, როგორც მკვლელობის დაბრალება. გამოძიება დიდხანს ცდილობდა შარაშენიძის დაკავებას, მაგრამ მოწმეთა ჩვენებები, თითქოს შარაშენიძე კონკურენტი ფირმების ლიფტებს ხელოვნურად აზიანებდა, იმდენად სუსტი იყო, რომ მათ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევდნენ. ორთვიანი გამოძიების შემდეგ კი, სხვა სამხილი რომ ვერ მოიძებნა, ბრალდება ისევ მოწმეთა ჩვენებებს დაეყრდნო. მე, როგორც იურისტსა და ყოფილ გამომძიებელს, ჩემი გამოცდილება მაძლევს უფლებას, ვივარაუდო: ქაწაშვილის მკვლელობა სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ის "კომპიუტერ ლენდის" ხელმძღვანელისთვის მიეწერათ და იგი გზიდან ჩამოეშორებინათ,"** - ამბობს მირიან ნიკოლაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ პროკურატურაში შარაშენიძის წინააღმდეგ მოწმეები კონკურენტი ფირმების წარმომადგენლებს მიჰყავთ და მათთვის სასურველ ჩვენებებს იძულების წესით აწერინებენ. შარაშენიძის ახლობლების მტკიცებით კი, ერთ-ერთი ასეთი კონკურენტი ფირმა, "თბილლიფტთან" ერთად, "სერვის ლიფტი" და მისი ხელმძღვანელი დავით ერაძეა.

სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ შარაშენიძის საქმესთან დაკავშირებით დაკითხულმა ერთ-ერთმა მოწმემ ზაალ პეტრიაშვილმა, რომელიც გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აფიქსირებდა, რომ კონკურენტი ფირმების ლიფტებს შარაშენიძესთან ერთად აზიანებდა, გენერალურ პროკურორს შემდეგი შინაარსის განცხადებით მიმართა:

**"ჩვენების მიცემამდე რამდენიმე საათით ადრე, ჩემს სასწავლებელში - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მომაკითხეს "სერვის ლიფტის" დირექტორმა ერაძემ და სამმა ჩემთვის უცნობმა პოლიციელმა, რომლებმაც მოტყუებით წამიყვანეს გაგარინის მოედანზე მდებარე პოლიციის განყოფილებაში. დაახლოებით, ნახევარი საათის შემდეგ კი, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში გადამიყვანეს, სადაც იმყოფებოდა ერაძეც. პროკურატურაში დაკითხვამდე შემხვდა გამომძიებელი სოსო ალავიძე და პროკურორის თანაშემწე, სახელად ირმა. მათ მითხრეს, თითქოს, შარაშენიძემ დაწერა, რომ იგი ჩემთან ერთად აზიანებდა კონკურენტი ფირმების ლიფტებს, ამიტომ ჩემს დაკითხვაში თუ მეც იგივეს არ გავიმეორებდი, სიმართლეს არ დამიჯერებდნენ და პასუხისგებაში მიმცემდნენ. ასეთი მოტყუებით დამაფიქსირებინეს ისეთი ფაქტები, რომელიც რეალურად არ არსებობდა,"** - წერს განცხადებაში პეტრიაშვილი, რომლიც კატეგორიულ უარს აცხადებს იმ რაიონის პროკურატურასთან მომავალ თანამშრომლობაზე, სადაც ცრუ ჩვენება დააწერინეს.

შარაშენიძის ახლობლებს გააჩნიათ ინფორმაცია, რომ დავით ერაძე სხვა მოწმეთა დაკითხვებსაც ესწრება ხოლმე. კერძოდ, საუბარია ერთ-ერთ მთავარ მოწმეზე, ატარშიკოვზე, რომელიც თავის დროზე შარაშენიძესთან მუშაობდა, შემდეგ კი ერაძის ფირმაში გადაინაცვლა. ამის და სხვა მიზეზების გამო, წინასწარ პატიმრობაში მყოფმა შარაშენიძემ გენერალურ პროკურორს მისი საქმის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურისთვის აცილება სთხოვა.

**"მიუხედავად იმისა, რომ საქმის აცილების შესახებ შარაშენიძემ გენერალურ პროკურორს ორჯერ მიმართა, ხოლო, კანონის თანახმად, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისთვის 24-საათიანი ვადა არსებობს, შარაშენიძეს პასუხი დღემდე არ მიუღია,"** - ამბობს ადვოკატი.

და მაინც, ვის ან რისთვის სჭირდებოდა თეიმურაზ შარაშენიძის სახელის ქაწაშვილის მკვლელობასთან დაკავშირება და მისი დაპატიმრება?

"24 საათი" უკვე წერდა, რომ ფირმა "კომპიუტერ ლენდის" დამფუძნებელი თეიმურაზ შარაშენიძე არის ე.წ. ლიფტების ყუთების გამომგონებელი და მისი საავტორო უფლების კანონიერი მფლობელიც. თუმცა, როგორც "კომპიუტერ ლენდის" წარმომადგენლები ირწმუნებიან, შარაშენიძის გამოგონებას სხვა კონკურენტი ფირმები უკანონოდ იყენებენ, რაც ლიფტების ბიზნესში დაპირისპირების საბაბიც გახდა. სხვათა შორის, ლიფტების ყუთის პატენტის გამო "კომპიუტერ ლენდსა" და "თბილლიფტს" (მას 15-მდე შვილობილი ორგანიზაცია ჰყავს) შორის სასამართლო დავა რამდენიმე თვის წინ დაიწყო და ორ ინსტანციაში - რაიონულსა და საოლქოში შარაშენიძის სასარგებლოდ დასრულდა. მართლმსაჯულების მიერ დანიშნულმა ექსპერტიზებმა დაადასტურეს, რომ "თბილლიფტის" მიერ დამონტაჟებული ყუთები შარაშენიძის გამოგონების იდენტურია. თუმცა, შარაშენიძის დაპატიმრების შემდეგ, არ არის გამორიცხული, რომ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს.

**"ნოემბრის ბოლოს სისხლის სამართლის საქმე უნდა აღძრულიყო "სერვის ლიფტის" წინააღმდეგ, უზენაეს სასამართლოში კი "თბილლიფტის" პროცესი დაწყებულიყო. ეს პროცესები მე რომ მომეგო, რისი ძალიან დიდი შანსიც არსებობდა, ფინანსურ კომპენსაციას მოვითხოვდი. ერთ ფირმას ვუსაბუთებდი, რომ ჯარიმის სახით 50 ათასი ლარი უნდა გადამიხადოს, ხოლო მეორე კონკურენტი ფირმისგან 200 ათასი ლარი უნდა მიმეღო. სწორედ ამ პროცესებიდან ჩამოშორება გახდა ჩემი დაპატიმრების საბაბიც,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში წინასწარ პატიმრობაში მყოფმა თეიმურაზ შარაშენიძემ.

"კონპიუტერ ლენდის" ხელმძღვანელი მისი სახელის ავთანდილ ქაწაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებაში სწორედ კონკურენტი ფირმების დაინტერესებას ხედავს, რაც, მისი აზრით, მკვლელობამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, მაგრამ მაშინ იმის წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა გავრცელებულ ჭორებს.

**"თავდაპირველად ქაწაშვილთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ბოლო პერიოდში დაგვეძაბა. სწორედ იმ პერიოდში იგი ჯერ სცემეს, შემდეგ კი დაჭრეს. ქაწაშვილი რატომღაც ორივე ფაქტს მე მაბრალებდა. ვხვდებოდი, რომ სიტუაციის გამძაფრებით მისი გარემოცვა იყო დაინტერესებული და ზედმეტ ყურადღებას არ ვაქცევდი. ქაწაშვილის მკვლელობის შესახებ ბათუმში შევიტყვე. იგივე გარემოცვა ცდილობს, ეს დანაშაული ჩემს სახელს დაუკავშიროს. მიზეზი გასაგებია... მაგრამ, სად არის ლოგიკა? დღეს ყველაზე მეტად მე მაწყობდა, რომ ჩემი კონკურენტი ფირმები კარგად ყოფილიყვნენ, რათა კუთვნილი ფული დამებრუნებინა. ქაწაშვილის მკვლელობამ კი სწორედ ჩემი მოწინააღმდეგეების წისქვილზე დაასხა წყალი. მეტიც, ამბობენ, თითქოს მკვლელობა შევუკვეთე. ქაწაშვილი ლიფტების ბიზნესში ფიგურა ნამდვილად არ ყოფილა, რომ მისი გარდაცვალებით ამ ბიზნესში არსებულ დაპირისპირებას წერტილი დასმოდა. მაშინ, რატომ უნდა შემეკვეთა მისი მოკვლა? თუ ვინმეს ინტერესში შედის აღნიშნული მკვლელობის გახსნა და რეალური მკვლელის დადგენა, პირველი მე ვარ. ამასთან, მინდა ობიექტურმა გამოძიებამ დაადგინოს, ვისი შეკვეთით მოვხვდი ციხეში,"** - ასეთია ლიფტების ბიზნესის მონოპოლიის ბრალდებით დაპატიმრებული შარაშენიძის პოზიცია, რომლის მკვლელობასთან კავშირსაც ამ ეტაპზე გამოძიებაც კატეგორიულად უარყოფს. სამაგიეროდ, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის თანაშემწე ია ყიფიანი შარაშენიძის მიმართ წარდგენილი ბრალდების ობიექტურობაში დარწმუნებულია და არც იმ ინფორმაციას ადასტურებს, რომ მოწმეების დაკითხვა "კომპიუტერ ლენდის" კონკურენტი ფირმის წარმომადგენლის დასწრებით მიმდინარეობს.

## ქართველთა მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოსი კრიმინალი დაკავებულია

*ზუსტად ერთი წლის წინ, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ თამარაშენში მომხდარი საზარელი მკვლელობა გახსნილია. ორი ქართველის - თამაზ ყავლაშვილისა და ელგუჯა ვახტანგიშვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ოსი კრიმინალი ალიკ ფუხაევი ქართველმა სამართალდამცველებმა გუშინ გამთენიისას დიდი ლიახვის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დააკავეს.*

საქმე ისაა, რომ სოფელ თამარაშენში, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმში შეჭრილი ოსი ეროვნების მოქალაქეების ვინაობა, რომლებმაც მუზეუმის დარაჯები სასტიკად მოკლეს, სამართალდამცველებისთვის მომხდარიდან რამდენიმე საათში უკვე ცნობილი იყო. თუმცა, ოსმა კოლეგებმა მათ თავდამსხმელი კრიმინალების დაკავების საშუალება ერთი წლის განმავლობაში არ მისცეს.

თამაზ ყავლაშვილისა და ელგუჯა ვახტანგიშვილის მკვლელობას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მაშინ დიდი არეულობა მოჰყვა. თამარაშენელებს თითქმის მთელი ერთი კვირის მანძილზე ცხინვალი-თამარაშენის საავტომობილო გზა ჰქონდათ გადაკეტილი. მოპიკეტეები თავდამსხმელთა სასწრაფოდ დაკავება-დასჯას და საკუთარი უსაფრთხოების გარანტიებს კატეგორიულად ითხოვდნენ. კონფლიქტის ზონაში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, რასაც ცხინვალსა და დიდი ლიახვის ხეობაში სამართალდამცველთა განსაკუთრებული კონტროლი მოჰყვა. სიტუაციის განსამუხტად სამართალდამცველებმა მაშინ მძიმე ტექნიკაც გამოიყვანეს. იმ დღეებშივე, ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების მთავარ შტაბში ქართველი და ოსი სამართალდამცველების შეხვედრები სისტემატურად იმართებოდა. ქართველმა სამართალდამცველებმა ოსი კოლეგებისგან დაპირება მიიღეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ ცხინვალის ტერიტორიაზე მიმალული კრიმინალების დასაკავებლად. ეჭვმიტანილი ოსი თავდამსხმელების დასაკავებლად, ერთობლივი ქართულ-ოსური სპეცოპერაციაც ჩატარდა, თუმცა, ქართველ სამართალდამცველთა მონდომებამ მაშინ უშედეგოდ ჩაიარა. როგორც უკვე გითხარით, დაპირების შესასრულებლად ოსურ მხარეს მთელი ერთი წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია. სოფელ თამარაშენში მომხდარი თავდასხმისა და მკვლელობის ორგანიზატორი ალიკ ფუხაევი ქართველმა სამართალდამცველებმა გუშინ დილით იმ დროს დააკავეს, როცა ის თამარაშენიდან ცხინვალში აპირებდა გადასვლას. ჩვენი ინფორმაციით, მას პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია.

**"ალიკ ფუხაევის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ ინფორმაცია თავიდანვე გვქონდა. ოს სამართალდამცველებს მისი დაკავება ან ცხინვალში სპეცღონისძიების ჩატარების უფლება ვთხოვეთ, თუმცა მათ უარი განაცხადეს, რის გამოც იგი დღემდე იძებნებოდა,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა. მისივე თქმით, ისევე, როგორც ქართველმა სამართალდამცველებმა, მათმა ოსმა კოლეგებმაც თავიდანვე იცოდნენ თავდამსხმელთა ვინაობა, თუმცა, ოსი სამართალდამცველები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ოსი კრიმინალები ქართველთა ხელში არ ჩავარდნილიყვნენ.

**"ერთი სიტყვით, სერიოზული და საშიში დამნაშავე დაკავებულია. ჩვენ მკვლელობის დღესვე დავპირდით ხალხს, რომ ის დაუსჯელი არ დაგვრჩებოდა,"** - აცხადებს გუშინ გამთენიისას ჩატარებული ოპერაციის შედეგით კმაყოფილი, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი.

*24 საათი*

### მოკლედ

### ინციდენტი კონტრაბანდის გამო

წითელი ხიდის ახლოს მდებარე დასახლებებში კონტრაბანდასთან დაკავშირებული ინციდენტები გახშირდა. უკვე მერამდენედ, ადგილობრივი მოსახლეობა, რომლის ძირითად საარსებო წყაროს სწორედ აზერბაიჯანიდან კონტრაბანდული გზით საქონლის შემოტანა წარმოადგენს, ამ უკანონო ტვირთის დაკავების მსურველ სამართალდამცველებს წინააღმდეგობას უწევს.

ამჯერად ინციდენტი ფინანსურ პოლიციასა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს შორის გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში მოხდა.

ფინანსური პოლიციის ცნობით, მათი სამსახურის თანამშრომლები კონტრაბანდული გზით შემოტანილი ტექნიკით დატვირთული რამდენიმე მიკროავტობუსის დაკავებასა და მათ ტერმინალში გადაყვანას შეეცადნენ. თუმცა, ადგილობრივმა მოსახლეობამ მათთვის ხელისშეშლა სცადა - ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ფიზიკური და სიტყვიერი წინააღმდეგობა გაუწია, კერძოდ, მათ ავტომანქანებს ქვები და ცეცხლწაკიდებული ბენზინით სავსე ბოთლები დაუშინეს და მიკროავტობუსების ტერმინალში გადაყვანის საშუალება არ მისცეს.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლები იძულებულები გახდნენ, სიტუაციის განსამუხტად ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლები განეხორციელებინათ.

ინცინდენტის შედეგად ფინანსური პოლიციის ერთი ავტომანქანა დაიწვა, რამდენიმე დაზიანდა. დაზიანება მიიღო ფინანსური პოლიციის ორმა თანამშრომელმაც, რომლებიც თბილისში არიან გადმოყვანილი.

მომხდარ ფაქტზე მოკვლევა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურაში დაიწყო, სადაც არ გამორიცხავენ, რომ სხვებთან ერთად, შესაძლოა, იმ მებაჟეების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს, რომლებიც კონტრაბანდულ ტვირთებს საზღვარზე უპრობლემოდ ატარებენ.

წინასწარი ინფორმაციით, მოსახლეობამ კონტრაბანდული ტვირთი მიკროავტობუსებით აზერბაიჯანიდან შემოიტანა და საბაჟო პუნქტი დაუბრკოლებლად გადალახა. თუმცა, ტვირთი საზღვარზე საბაჟო სამსახურში რეგისტრირებული არ ყოფილა. სამაგიეროდ, ერთ-ერთი ინფორმაციით, აღნიშნული მიკროავტობუსები მესაზღვრეების სპეციალურ ჟურნალში აღრიცხულია.

*24 საათი*

### აფხაზებმა ერთი ქართველი ტყვე გაათავისუფლეს

გუშინწინ, გვიან ღამით, აფხაზურმა მხარემ 11 იანვარს გალის რაიონის სოფელ პირველი ოტობაიადან გატაცებული ორი ქართველი მძევლიდან ერთ-ერთი, ალექსანდრე ბიგვავა გაათავისუფლა. მეორე მძევლის გათავისუფლება, რომელიც დღემდე სოხუმის იზოლატორში რჩება, აფხაზური წყაროების მიხედვით, უახლოეს დღეებში მოხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული მხარე მისი გათავისუფლების საკითხს კიდევ ერთხელ დასვამს ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე.

როგორც ცნობილია, 40 წლის ალექსანდრე ბიგვავას, სახლის ჩხრეკის დროს, აფხაზებმა ხელყუმბარა აღმოუჩინეს, ხოლო მეორე დაკავებულს, ჯორჯი რატიას, რომელიც ამავე სოფელში ცხოვრობს, ავტომატი უპოვეს. ისინი დანარჩენ მძევლებთან ერთად გალის მილიციაში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ კი - სოხუმის იზოლატორში. აფხაზურ უშიშროებას აინტერესებდა, ჰქონდათ თუ არა მათ კავშირი ქართველ პარტიზანთა დაჯგუფებებთან.

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში პერზიდენტის რწმუნებულის გიგი უგულავას დაჟინებული მოთხოვნით, საქართველოში გაერო-ს მისიის ხელმძღვანელი ჰაიდი ტალიავინი ამ პრობლემით დაინტერესდა. გაერო-ს მისიის სოხუმის ოფისის წარმომადგენლები დაკავებულებს შეხვდნენ, რის შემდეგაც აფხაზურმა მხარემ ბიგვავა გაათავისუფლა.

ალესანდრე ბიგვავა უკვე საკუთარ ოჯახში იმყოფება. მისი განმარტებით, მათ კარგად ექცეოდნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ხოლო რაც შეეხება ხელყუმბარას, ბიგვავა მას ოჯახის ყაჩაღებისგან დასაცავად ინახავდა. **"არანაირ ფორმირებასთან კავშირი არ მქონია, რაც დავადასტურე კიდეც ჩვენებაში,"** - განაცხადა მან.

ალექსანდრე ბიგვავა იმედოვნებს, რომ უახლოეს დღეებში ჯორჯი რატიასაც გაათავისუფლებენ.

*მედია-ნიუსი*

### გამგებელმა რეზერვისტი სცემა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გოგა ხაჩიძე ადასტურებს ინფორმაციას, რომ დუშეთის რაიონის გამგებელმა გოდერძი ბერბერაშვილმა რამდენიმე დღის წინათ რეზერვისტი, ბულაჩაურის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი გურაშვილი სცემა.

მისივე თქმით, ინციდენტი უშუქობის გამო მოსახლეობის მიერ გამართულ საპროტესტო აქციაზე მოხდა და გამგებელი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თავად დაზარალებული ამჟამად ტვინის შერყევისა და თავის ქალის დაზიანების დიაგნოზით მცხეთის საავადმყოფოში მკურნალობს.

რწმუნებულის განცხადებით, პოლიციამ მოკვლევა უკვე დაასრულა და საქმე საგამოძიებო ნაწილს გადაეცა. ბერბერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი კი მას შემდეგ გაირკვევა, რაც ექსპერტთა ჯგუფი მოამზადებს დასკვნას გურაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ.

*მედია-ნიუსი*

### ორი სიტყვით

**გორი.** გორის რაიონის სოფელ დიცთან, ნაგავსაყრელზე ახალშობილის გვამი აღმოაჩინეს. პოლიციის თანამშრომლებმა ჩვილი გოგონა პოლიეთილენის ტომარაში გახვეული იპოვეს. ბავშვის დედის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. ექსპერტიზის შედეგად დადგინდება, ცოცხალი გადააგდეს თუ არა ახალშობილი ნაგავსაყრელზე. ბავშვს სხეულზე დაზიანებები აღენიშნება, რომელიც, პოლიციელთა აზრით, ნაგავსაყრელზე მყოფი მაწანწალა ძაღლების მიერ არის მიყენებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დააკავეს შსს თბილისის ისან-სამგორის რაიონის სამმართველოს უფროსი გამომძიებელი ფარვიზ გამხარაშვილი და საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი ზურაბ ბარამიძე, რომლებმაც ხულიგნობაში ეჭვმიტანილის დას ქრთამის სახით სოლიდური თანხა 2500 დოლარი გამოსძალეს. არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ამ საქმეში სხვა მაღალჩინოსანი თანამშრომლებიც ფიგურირებენ. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ქრთამისა და გამოძალვის მუხლით.

ამჟამად საქმეს თბილისის პროკურატურა იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** თერჯოლის პოლიციას ახალი უფროსი ჰყავს. ამ თანამდებობაზე თერჯოლელი ჯიმშერ ფანჩულიძე დაინიშნა. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის გია კაჭარავას განცხადებით, იგი პირადად იცნობს ფანჩულიძეს და მას საუკეთესო ოპერატიულ მუშაკად მიიჩნევს. პოლიციის ახალი უფროსი მანამდე თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში მუშაობდა. იგი ამ სისტემაში 90-იანი წლებიდან მუშაობს. თერჯოლის პოლიციას მანამდე გელა გაბეხაძე ხელმძღვანელობდა. **ინტერ-პრესი**



**1**

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. აუცილებლად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ზაურ ნაკაშიძე**

გთხოვთ, განმიმარტოთ და დამეხმაროთ გრძელვადიანი სესხის აღებაში 20 000 აშშ დოლარის ფარგლებში დაბალ პროცენტში. სესხის გამოყენებას ვაპირებ მეცხოველეობის განვითარების კუთხით. მაქვს გამოცდილება. ასევე მაქვს 30 სული პირუტყვისათვის კაპიტალური ფერმა. (შენობა-ნაგებობა ეზოთი). შემიძლია მიწის ნაკვეთის აღება არენდით რამოდენიმე ჰექტრის. მაქვს ბაზალეთში, კერძოდ სოფელ ჩუბინიანთ კარში ორსართულიანი სახლი ტყესთან ახლოს. სახლის საერთო ფართობი შეადგენს 220 კვმეტრს.

ბატონო ზაურ,

სესხის აღება შეგიძლიათ როგორც კერძო პირისგან, ასევე საკრედიტო დაწესებულებისაგან. სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს სესხის ხელშეკრულებისთვის აუცილებელ წერილობით ფორმას. 624-ე მუხლი ადგენს, რომ ზოგადად სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. თუმცა, მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულება საფრთხილოა იმ მხრივ, რომ ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. თუ თქვენ გადაწყვეტთ სესხის გამოტანას საკრედიტო დაწესებულებიდან, მაშინ ხელშეკრულების პირობები განსაზღვრული იქნება თვით იმ დაწესებულების მიერ. ამავე დროს, გაითვალისწინეთ, რომ სესხის უზრუნველსაყოფად თქვენ დაგჭირდებათ იპოთეკით დატვირთოთ თქვენს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც ხელშეკრულების შესრულების გარანტია იქნება.

**ელდარ დვალიშვილი**

სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით სარჩელი მაქვს შეტანილი. მთხოვს მოსამართლე სახელმწიფო ბაჟის გადახდას. თანხას არ მეუბნება.

შრომითი კოდექსის თანახმად 205-ე მუხლი არ მოქმედებს ჩემზე. ამჟამად უმუშევარი ვარ.

ბატონო ელდარ,

როგორც წესი, დავის საგნის ღირებულებას განსაზღვრავს თვით მოსარჩელე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე.

რაც შეეხება არაქონებრივ დავას, ამ საკითხს აწესრიგებს 43-ე მუხლი, სარჩელის ფასი არაქონებრივ-სამართლებრივი დავების დროს შემდეგნაირად განისაზღვრება:

არაქონებრივი დავების დროს დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება ყველა გარემოებისა და კონკრეტული მონაცემის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება საქმის მოცულობა, აგრეთვე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი.

ზოგადად, როგორც წესი არაქონებრივ დავაზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ აღემატება 30 ლარს.

ამავე დროს, თუ თქვენ მიიჩნევთ, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება არაკანონიერია, შეგიძლიათ შეიტანოთ კერძო საჩივარი, რომელშიც დაასაბუთებთ, თუ რატომ მიიჩნევთ, რომ შესაძლებელია თქვენი სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლება. (მუხლი 56).

**რევაზ ასათიანი**

2005 წლის იანვრიდან 14 ლარიდან 28 ლარამდე პენსიების გაზრდასთან დაკავშირებით, როგორ გავრცელდება სამხედრო პენსიონერებზე - სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდ ოფიცრებზე პენსიის კანონის 41-ე მუხლისა და 42-ე მუხლის "დ" და "ზ" პუნქტების მოთხოვნები. ისევ სასამართლო იქნება საჭირო 70 ლარის დამატებაზე თუ ერთიანი საპენსიო ფონდი მოახდენს თვითონ გადაანგარიშებას პენსიონერის პირადი საქმის მიხედვით. პენსიონერის განაწილების ანუ განცხადების დაწერის გარეშე. (41-ე მუხ. = 42 ლარი, 42-ე მუხ. "დ" პ.=14 ლარი, ხოლო "ზ" =14 ლარი. სულ 70 ლარი).

ბატონო რევაზ,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს კანონი "სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ" განსაზღვრავს, რომ სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები პენსიის დასანიშნად განცხადებით და შესაბამისი დოკუმენტებით მიმართავენ საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამის ორგანოებს. რომლებიც ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციას და გაანგარიშებას პენსიის დასანიშნად 10 დღის ვადაში წარუდგენენ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს. (მუხლი 47. პენსიის დასანიშნად მიმართვა). ასე რომ, სასამართლოსათვის მიმართვა საჭირო აღარ არის.

**შპს რკინიგზის პოლიკლინიკის ექიმები**

გთხოვთ, გვიპასუხოთ, თვითდაფინანსებაზე მყოფი შ.პ.ს. რკინიგზის პოლიკლინიკის ექიმები არიან თუ არა ვალდებულნი გამოიმუშაონ მინიმალური ოდენობა ხელფასისა, დავუშვათ სამოცი ლარი.

ახალი საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს თუ არა ზემოთ აღნიშნულს სამედიცინო დაწესებულებასთან მიმართებაში.

ბატონო მოქალაქეებო,

გთხოვთ დააკონკრეტოთ კითხვა, რადგანაც იურიდიულ პრობლემას ვერ ვხედავთ.

ამავე დროს მოგახსენებთ, რომ, შპს, როგორც იურიდიული პირი, არ იხდის არანაირ გადასახადს, მანამ, სანამ მისი წლიური ბრუნვა არ მიაღწევს 100 000 ლარს. ამის შემდეგ შპს ვალდებულია გადაიხადოს დამატებითი ღირებულების გადასახადი. (საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლი)

**მირანდა ქართველიშვილი**

გთხოვთ გვიპასუხოთ სახელმწიოფოს რა სოციალური შეღავათები, დახმარებები, პროექტები ან პროგრამები აქვთ ახალდაქორწინებულ ოჯახებზე. განსაკუთრებით მაინტერესებს საბინაო საკანონმდებლო პირობები. (ან თუ არის რაიმე შეღავათები ბინათშესყიდვის დროს). გთხოვთ მიმითითოთ რომელ ნორმატიულ აქტშია მოთავსებული აღნიშნული საკითხი.

ქალბატონო მირანდა,

საქართველოს კანონმდებლობა ახალდაქორწინებულებზე არანაირ შეღავათს არ ითვალისწინებს. შეღავათი დადგენილია მშობიარობაზე, როდესაც სახელმწიფო გასცემს 200 ლარიან ვაუჩერს. ასევე ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ყოველ ახალშობილ ბავშვზე თბილისის მასშტაბით გაიცემა 50 ლარიანი კუპონი.

**ვალოდია მეყანიშვილი**

ვარ 57 წლის. მაქვს ოცი წლის სტაჟი. ვმუშაობდი მინის ტარის ქარხანაში, მძიმე სამუშაოზე. ამჟამად უმუშევარი ვარ. ცოლ-შვილი დამეღუპა. ვარ უპატრონო. გთხოვთ ამიხსნათ, მეკუთვნის თუ არა უპატრონობის დახმარება ან პენსია.

ბატონო ვალოდია,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის N37 ბრძანებულებით (1999 წლის 29 იანვარი) "უმწეო მდგომარეობაში მყოფ მარტოხელა პენსიონერთა ოჯახების სოციალური დახმარების შესახებ" დადგენილია, რომ ერთი პენსიონერისაგან შემდგარ მარტოხელა ოჯახზე დახმარება განისაზღვრება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმის ორმაგი ოდენობით, ანუ 18 ლარის ოდენობით. თქვენ ამავე დროს შეგიძლიათ მიიღოთ სახელმწიფო პენსიაც. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მიიღებთ, როგორც სახელმწიფო პენსიას, (რომელიც ახლა 21 ლარს შეადგენს), ასევე ამ თანხასაც (ანუ 18 ლარს). ამისათვის უნდა მიმართოთ თქვენს რაიონში არსებულ სოც-უზრუნველყოფის განყოფილებას.

**ლელა ჯანელიძე**

ვარ ქმარგაცილებული. ერთმანეთს დავშორდით 1995 წელს. მყავს ათი წლის ბიჭი - გივიკო კუსიანი. სწავლობს თბილისის საპატრიარქოსთან არსებულ წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში. მეოთხე კლასის მოსწავლეა. მე და ბავშვი ვცხოვრობთ დაქირავებულ ბინაში. ბავშვის მამას აქვს ვაკის სტუდქალაქში პრივატიზირებული ოთახი, ჩაკეტილი. თვითონ მეორე ოჯახთან ერთად ცხოვრობს რაიონში (საჩხერე). სტუდქალაქში ეს ოთახი მივიღეთ თანაცხოვრების დროს 1993 წელს. მაგრამ პრივატიზაცია გაკეთდა 2002 წელს. გთხოვთ, გამიწიოთ კონსულტაცია: შემიძლია თუ არა, მოვითხოვო ამ ოთახში ცხოვრების უფლება. (შენიშვნა: მამა ბავშვს ალიმენტს არ უხდის. ცნობისთვის: ბავშვის მამა პარლამენტარ რომან კუსიანის ძმაა).

ქალბატონო ლელა,

სამწუხაროდ, თქვენ გაშვებული გაქვთ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, რომელიც სასამართლოს მეშვეობით ბინაზე დავის უფლებას განიჭებდათ. სამოქალაქო კოდექსის 1130-ე მუხლის თანახმად, მეუღლეების ან ერთ-ერთი მათგანის თხოვნით, სასამართლო ვალდებულია განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განიხილოს იმ ქონების გაყოფის საკითხი, რომელიც წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. მართალია, ქონებრივ დავასთან დაკავშირებით პირმა შეიძლება ცალკეც მიმართოს სასამართლოს, მაგრამ უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ხანდაზმულობის ვადაა ექვსი წელი. (მუხლი 129.1)

**დოდო იაშვილი**

2000 წელს ჩემმა ე.წ. "ნათლულმა" მოქალაქე ნოდარ მელაძემ ისესხა ჩემგან ფული 7000 აშშ დოლარის ოდენობით. მას როგორც ახლობელს არ გამოვართვი ფულის გასესხების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. თუმცა, ჩვენმა საერთო მეგობარ-ნაცნობებმა იციან ამის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მზად არიან დამიდგნენ მოწმედ და დაადასტურონ ფაქტი. ჩემი ნათლული არ და ვერც უარყოფს ფაქტს და ყოველდღიური დაპირებებით გაჰყავს დრო, ვიდრე დატოვებს საქართველოს ისრაელში გასამგზავრებლად (მეუღლე ებრაელი ჰყავს). გთხოვთ, განმიმარტოთ, შესაძლებელია თუ არა სასამართლოს გზით ჩემი კუთვნილი თანხის დაბრუნება.

ქალბატონო დოდო,

სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ თქვენ სასამართლოს გზით თანხის მოთხოვნა აღარ შეგიძლიათ. ხანდაზმულობის ვადის ათვლა კი იწყება იმ მომენტიდან, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნა. (ამ შემთხვევაში თანხის დაბრუნების დრო ითვლება ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტად).

მართალია, სამოქალაქო სამართალი სესხის ხელშეკრულებისათვის წერილობით ფორმას არ ითვალისწინებს, მაგრამ ამავე დროს ადგენს, რომ ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით.

თუ თქვენ ხელზე გაქვთ რაიმე წერილობითი დოკუმენტი, სადაც თქვენი ნათლული აღიარებს ვალს, მაშინ ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება ამ დოკუმენტზე ხელის მოწერის დღიდან.

**ელენე მელაძე**

მოგახსენებთ, რომ 1946 წლის პირველი მარტიდან 2002 წლის 31 დეკემბრამდე ვმუშაობდი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევის ცენტრში ექთნის თანამდებობაზე. მაქვს ინსტიტუტში მუშაობის 56-წლიანი უწყვეტი სტაჟი. სამუშაოდან გამათავისუფლეს საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 34 მუხლის პირველი ნაწილის ქვეპუნქტის საფუძველზე 2002 წლის 31 დეკემბერს. სტაჟის მიხედვით ჩემთვის გაანგარიშებული იყო ერთჯერადი დახმარება 4000 ლარი, ხოლო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის და ფინანსთა მინისტრების ერთობლივი ბრძანების N 376 /6-246-16-23-10 შესაბამისად მივიღე ერთჯერადი დახმარება 2019 ლარი. გთხოვთ, გამარკვიოთ რის საფუძველზე მივიღე დახმარების ნახევარი.

ქალბატონო ელენე,

ჩვენ არ ვართ კომპეტენტურები, პასუხი გაგცეთ ამ კითხვაზე. უმჯობესი იქნება, თუ ამ საკითხს უშუალოდ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გაარკვევთ. თუ პასუხი არ დაგაკმაყოფილებთ, მიმართეთ სასამართლოს და ადმინისტრაციუული წარმოების წესით მოითხოვეთ აღნიშნული ბრძანების ბათილობა და ახალი ბრძანების გამოცემა, რომლითაც თქვენ კუთვნილი თანხა გადმოგეცემათ. გაითვალისწინეთ, რომ პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს ჩაბმული ფინანსთა სამინისტრო მესამე პირის სახით, რადგან თანხის გამოყოფა მან უნდა მოახდინოს.

**გივი მრელაშვილი**

მქონდა და მაქვს პრეტენზია ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურთან (ტექბიურო), რომლის მიერ გამოცემული არასწორი ინფორმაციის შედეგად მომადგა მატერიალური ზიანი.

ამის შესახებ დახმარებისათვის განცხადებით მივმართე იუსტიციის სამინისტროს "ცხელ ხაზს", რომელმაც ჩემი განცხადება გადაუგზავნა მერიას (თქვენც მოგწერეთ). ამ ორივე ორგანიზაციიდან მივიღე პასუხი, რომელიც არ მაკმაყოფილებს. გადავწყვიტე, სარჩელი შევიტანო სასამართლოში. მაგრამ ტექბიურომ ლიკვიდაცია განიცადა.

კითხვა ასეთია:

იმასთან დაკავშირებით, რომ ტექაღრიცხვის სამსახური გაუქმდა, პასუხი ვის მოვკითხო? მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე? ან მერია არ აგებს პასუხს?

ბატონო გივი,

რადგანაც ტექნიკური აღრიცხვის სამსახური სტრუქტურულად ექვემდებარებოდა თბილისის მერიას, შესაბამისად, პასუხი, თუ ვინ იქნება ამ ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე, მათ უნდა გაგცენ. ამავე დროს, რადგანაც თქვენ არ გაკმაყოფილებთ მერიისა და იუსტიციის სამინისტროსგან მიღებული პასუხები, შესაბამისად, მოპასუხეებიც ისინი უნდა იყვნენ.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

**ა ნ კ ე თ ა**

სახელი, გვარი.........................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.................................

საკონტაქტო ტელეფონი.................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფლმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".

თვითმხილველი "მწვანე ტალღაზე"



B3

კალაძე - ევროპის ნაკრებში



B5

დეტროიტის ავტოსალონის სიახლეები



B6

ქეთევან სადღობელაშვილი




## პროფესიონალი ტელევიზიაში

დიდხანს ვფიქრობდი, ქართულ ტელეჟურნალისტიკასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემიდან რომელი შემერჩია ამ კვირის თემად. ერთმა შემთხვევამ განსაზღვრა დღევანდელი თემატიკის არჩევანი. ამასწინათ, სოლიდურ თავყრილობაზე მოვხვდი. ქვეყნისთვის საკმაოდ მტკივნეულ საკითხზე მსჯელობდა სერიოზული აუდიტორია. რაღა თქმა უნდა, თემის გასაშუქებლად თითქმის ყველა ტელეკომპანია იყო წარმოდგენილი. დასაწყისში რეპორტიორებმა პრეს-რელიზები მოიმარაგეს, ოპერატორებმა ფრაგმენტულად გადაიღეს ერთი-ორი გამოსვლა და "პერებივკები", რის შემდეგაც ერთად შეიკრიბნენ გამათბობელთან, სიგარეტები მოიმარჯვეს და გაცხარებული დებატების პარალელურად ისე ახმაურდნენ, დარბაზიდან რამდენჯერმე შეახსენეს, იქნებ საკუთარი ხმა მაინც მოგვასმენინოთო. როგორც კი თავყრილობა დამთავრდა, ერთი-ორი რესპონდენტი გადაიღეს, კითხვაზე პასუხით: როგორია თქვენი კომენტარი და საღამოს ერთმანეთისაგან გადაწერილებივით, პრეს-რელიზიდან ამოკრეფილი ფრაზებითა და ერთი და იგივე "კომენტარებით", საინფორმაციო პროგრამებმა ვალი მოიხადეს ქვეყნისა და მაყურებლის წინაშე. იქ რომ არ ვყოფილიყავი, ტელევიზიით ნამდვილად ვერ გავიგებდი, რა მოხდა სინამდვილეში.

## პროფესია რეპორტიორი

შესაძლოა, ბევრს ამავე სახელწოდების ფილმი გაახსენდეს, ბევრსაც ამავე სახელწოდების რუსული ტელეგადაცემა, რომლის დევიზი ზუსტად გამოხატავს რეპორტიორის ფუნქციას: "როცა გადაცემა დამთავრდება, მაყურებელმა უნდა თქვას, რომ ყველაფერი იცის თემის შესახებ". რეპორტიორი მაყურებლის წარმომადგენელია მოვლენის ადგილზე და მისი ამოცანაა, სწორად გადმოსცეს მოვლენის შინაარსი. თუკი მაყურებელთა უმრავლესობას აწუხებს ის ფაქტი, რომ ქართული საინფორმაციო პროგრამები ერთნაირად ზედაპირულია, ეს, პირველ რიგში, იმ რეპორტიორების "დამსახურებაა", რომლებიც თემაზე არ მუშაობენ და იოლ გზას ირჩევენ. მართალია, ტელევიზიაში ინფორმაცია გუნდური პრინციპით მზადდება, მაგრამ რეპორტიორი, რომელიც ფაქტების ძირითად შემგროვებლად მოიაზრება, პასუხისმგებელია ეთერში გადაცემული მასალის სანდოობაზე, სიცხადესა და სიზუსტეზე. ჩვენგან განსხვავებით, აუდიტორიის ნდობით აღჭურვილი ევროპული თუ ამერიკული საინფორმაციო სამსახურები ჭორებს და საეჭვო ინფორმაციებს არავრცელებენ და არც იმაზე მარჩიელობენ, რა შეიძლება მომხდარიყო, რადგან, კანონმდებლობის მიხედვით, "ინფორმაციული ფანტაზიები", ნამდვილად ძვირი დაუჯდებათ. ამერიკული სტანდარტების მიხედვით, რეპორტიორებისთვის (იგივე კორესპონდენტებისთვის), არსებობს ამგვარი პროფესიული პრინციპები: 1. სიზუსტე უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ოპერატიულობა. 2.სამართლიანობა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სენსაცია. 3. მოვლენის ყოველმხრივ გაწონასწორებული ასახვა მეტად ფასობს, ვიდრე ეკრანზე ეფექტურად გამოჩენა.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, როგორ იცავენ ამ პრინციპებს ჩვენი რეპორტიორები. პრინციპი - სიზუსტე რომ ოპერატიულობაზე მეტად ფასობს, დარღვეულია, რადგან მოვლენის ადგილზე თავპირისმტვრევა იმაზე კი არ მიდის, ზუსტად და სრულად გადმოსცენ ფაქტი, არამედ, ვინ ვის დაასწრებს და პირველი ჩაერთვება "ლაივში". ამიტომაც, ერთნაირი ლექსიკით, ერთნაირი "სტენდ აფ"-ით და ერთიდაიგივე რესპონდენტის (იქვე, ვისაც თვალს მოკრავენ) კომენტარით ხდება მოვლენის სანახევროდ გაშუქება. სიცხადის გარეშე კი სიუჟეტის სხვა ასპექტები აზრს კარგავს. ამას ემატება რეპორტიორთა უმრავლესობის მწირი ლექსიკა, ქართული ენის უცოდინარობა და ლამის თვითმიზნად ქცეული პირდაპირი ეთერი, სადაც მიკროფონით ხელში კეკლუცობენ, ბუნებრიობას თამაშობენ და გვაუწყებენ, რომ "ბევრი უკრაინელი ადამიანები ან ქუთაისელი ადამიანები ერთად არიან შეკრებილები". პირდაპირი ეთერი სახიფათოა ასეთი რეპორტიორებისათვის, რადგან ვერც ერთი რედაქტორი ვერ გამოასწორებს გაფრენილ აზრს თუ სიტყვას. რაც შეეხება სამართლიანობა - სენსაციის გამიჯვნას, თუ გავიხსენებთ ჟურნალისტების უკიდეგანო მონდომებას - ხელისუფლების ყოველი ქმედება გაუაზრებლად, იმის მიუხედავად, სამართლიანია თუ არა, პირდაპირ ეთერში გადასცენ, რა თქმა უნდა, უპირატესობა სენსაციის მხარეს აღმოჩნდება, რაც ხელისუფლების, როგორც სამართლიანობის გარანტის ანტირეკლამაა და სხვა არაფერი. თითქოს ძნელია რეპორტიორის, წამყვანისა თუ კომენტატორის პროფესიონალიზმზე საუბარი, როცა იცი, რომ ქართული არხების საინფორმაციო სამსახურების ხელმძღვანელებად უმეტესწილად სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლები მოიაზრებიან. "მოამბეზე" რომ ოდითგან ყველა დროის უმრავლესობას ჰქონდა ჯვარი დაწერილი, არავისთვის უცხო არ არის. ტრადიცია დღესაც გრძელდება "მთავარში", ოღონდ, დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების ზედმეტი ძალისხმევის გარეშე, რადგან "პირველი არხის" ხელმძღვანელმა ისედაც კარგად იცის, რა დროს რა სურს ხელისუფლებას. დანარჩენი საინფორმაციო პროგრამები: "კურიერი" "რუსთავი 2"-ზე, "ქრონიკა" "იმედზე", " მზერა" "მზეზე" (მაპატიოს ღმერთმა, "კავკასიის" საინფორმაციოს მაყურებელი იძულებითაც რომ ვერ გავხდი) ერთგვარი თვითცენზურით არიან დაკავებული, იმ "უბრალო" მიზეზის გამო, ხელისუფლებისა და ოლიგარქების საერთო ინტერესებში რომ მოიაზრება. ნამდვილი პროფესიონალი ყოველთვის ეცდება, ამ ინტერესების მიღმა აღმოჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ყველაზე ძლიერი მხარდამჭერის - მაყურებლის ნდობას დაკარგავს, რომლის გარეშე კამერის მაგივრად სახლში, სარკის წინაც შეუძლია თავის მოწონება და გარდერობის ხშირი ცვლა.

## "ტელევიზიას ქმნის არა ტექნიკა, არამედ პიროვნება და ინტელექტი"

### "სი ენ ენ"-ის პრინციპებიდან

ამასწინათ თბილისში სტუმრად მყოფ ვიქტორ შენდეროვიჩს ჰკითხეს: რატომ დარჩნენ "ენ ტე ვე"-ზე საროკინა და ასოკინი მაშინ, როცა რუსეთის ხელისუფლება არხს სიმართლის თქმის უფლებას არ აძლევს. შენდეროვიჩმა კოლეგები დაინდო და თქვა: მართალია, ძალიან უჭირთ, მაგრამ მაინც ახერხებენ რაღაცის თქმასო და ასოკინის მაგალითი გაიხსენა. ბესლანის ცნობილი მოვლენების გაშუქებისას ასოკინს მოსთხოვეს, არ ეხსენებინა ტერაქტი და მის მაგივრად გამოეყენებინა სიტყვა არეულობა. საღამოს ასოკინი კითხულობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბესლანში მოხდა არეულობა, ასეთი რაოდენობის მსხვერპლი კი 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ აღარავის უნახავს. უნდა ამ ეპიზოდს რაიმე ეს დამატება თუ არა? ალბათ არა. სჯობს, ისევ "ჩვენებს" დავუბრუნდეთ. ხშირად გადაცემის წამყვანები, რომელთაც წლების მანძილზე საინფორმაციო პროგრამები მიჰყავთ, ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევიან. ღმერთმა არ ქნას და თუ რესპონდენტმა კონტრკითხვა დაუსვა, ფეტვის მარცვალივით იბნევიან. ამის მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინათ, "კურიერში" ლაზაშვილი-ბენდუქიძის გაბაასების გახსენებაც კმარა. თუკი წამყვანს მხოლოდ დიქტორის ფუნქცია ეკისრება და სხვა არაფერი, მაშინ პირდაპირ ეთერში მოწვეულ სტუმარს ის ჟურნალისტი მაინც უნდა ესაუბროს, რომელსაც ამა თუ იმ საკითხზე გარკვეული კომპეტენცია გააჩნია. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ტელევიზია ერთგვარი ლაკმუსია ადამიანის ინტელექტისა და უნარ-ჩვევების ამოსაცნობად, ამიტომაც გაუგებარია, რატომ აძლევენ თავს უფლებას წამყვანები, სრულიად მოუმზადებელნი ესაუბრონ რესპონდენტს პირდაპირ ეთერში, სადაც უვიცობის გასაქრობად მონტაჟსაც კი ვერ მიმართავ. "მხოლოდ "იმედის" არხზე" აუცილებლად დაგამახსოვრდებოდათ ინგა გრიგოლიასა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დიალოგი, როცა ამ უკანასკნელის კითხვაზე: ფროიდზე საუბრისას რა ჰქონდა ფროიდის წაკითხული, ჟურნალისტმა იხტიბარი არ გაიტეხა და მიკიბ-მოკიბა, რომ რაღაცეები წაუკითხავს. სხვათა შორის, ბევრი ამბობს, რომ გრიგოლია გაცილებით კარგი იყო რეპორტიორის ამპლუაში, რადგან 3-5 წუთიან რეპორტაჟებში უფრო იოლად ასატანი იყო მისი აგრესიულობა და გამომსახველობითი ინტონაციები. ერთი და იმავე კითხვასაც გაფუჭებული ფირფიტასავით დაუსრულებლად არ ატრიალებდა ერთი საათის მანძილზე. ლაკმუსმა აშკარად "გააწითლა" ფირი კოკა ყანდიაშვილის შემთხვევაშიც, რომელმაც დიდი დამაჯერებლობით, პირდაპირ ეთერში ტურგენევის "მუმუს" ავტორად ტოლსტოი მოიხსენია. ესენი თითქოს დეტალებია, მაგრამ ისეთი, თავს რომ გამახსოვრებს და ნდობას გიკარგავს წამყვანის მიმართ, ხოლო თუ წამყვანმა მთელი გადაცემის მანძილზე ისიც კი ვერ გაარკვია, რა უნდოდა ეთქვა მაყურებლისთვის, შესაძლოა, ჰონოლულუდანაც კი აღარ დაურეკონ. ხშირად, მაყურებლის მოსაზიდად გამართულ დებატებს, რომელიც მხარეების მკვეთრ ურთიერთდაპირისპირებაზეა გათვლილი, ფუჭი აგრესიისა და თემის უფრო გაბუნდოვანების მეტი არაფერი მოაქვს. "ყოვლისმცოდნე" წამყვანის მანტიამორგებული შალვა რამიშვილი ამის მაგალითად გამოდგება. მისი "უნივერსალობა და მასშტაბურობა" ძირითადად თვითრეკლამით შემოიფარგლება, როცა ხშირ-ხშირად აცხადებს, რა მაგარი შოუ გამოუვიდა. ისეთი განცდაა, თითქოს, მართლაც "202"-ის რამდენიმეკაციან პერსონალს უმტკიცებს საკუთარ სიდიადეს. ჩვენი წამყვანები იმის ნახევარს მაინც რომ ფიქრობდნენ მაყურებელზე, რამდენსაც საკუთარ პერსონას და მაკიაჟს უთმობენ, დარწმუნებული ვარ, გადაცემები უფრო შინაარსიანი იქნებოდა და არც მაყურებელი აღმოჩნდებოდა ბრიყვის როლში. თუნდაც, "არჩევანის ზღვარზე" წამყვანის ვითომ ორიგინალური ინსინუაციები და ყალბი თეატრალურობა, რომელიც "მზის" მთავარი ნაკლია, ხშირად მაყურებლის ირონიას იწვევს. ინფორმაციასა და ანალიტიკურ პროგრამებში ეს უფრო მეტად საგრძნობია. გაუგებარია, რატომ ცდილობენ მდარე თეატრალური სანახაობით მაყურებლის გაბრუებას ბუნებრივად თეატრალიზებულ ქვეყანაში? თითქოს თემასთან არაფერ შუაშია, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა, ტელეკომპანია "მზემ" აგერ ახლა, გურამ პატარაიას მართლაც უკვდავ ფილმებს ისეთი დღე აყარა, "მკვდარსაც კი გაეცინებოდა". ჩვენი "ნიჭიერი" მომღერლები მსახიობებადაც მოგვივლინა. დარჩნენ პროფესიონალი არტისტები როლების გარეშე, რადგან საქართველოში ხელისუფლებიდან მოყოლებული, ჟურნალისტებით დამთავრებული, ისედაც, ყველა არტისტობს. ასე ნელნელა, "რიმეიქულად", ავანსცენაზე ქსენოფობია მკვიდრდება. დევიზით- დასცხეთ ავტორიტეტებს და ჩაქოლეთ- ბოგანოებს სურთ იქცნენ ავტორიტეტებად. ბოდიშს გიხდით ამ მცირე გადახვევისთვის და ისევ ტელეპროფესიონალებს ვუბრუნდებით.

მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემზადებოდეს წამყვანი ტელეაუდიტორიასთან საუბრისათვის, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა, გოგი გვახარია და მისი "ფსიქოა". უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, მისი რესპონდენტების წრე, პირველ რიგში, თემის გარშემო პროფესიული ნიშნითაა შერჩეული. საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღშფოთებისა და ანათემის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ "ფსიქო" ინტელექტუალური და ორიგინალური აზროვნების ნიმუშია ქართულ ტელესივრცეში.

პრობლემის, თემისა და მოვლენის სხვადასხვა ასპექტში გაანალიზების კარგი უნარი აქვს ნათია ზამბახიძეს, რომელმაც იცის, რა უნდა, როგორ და რატომ. თუმცა, ხანდახან მეჩვენება, რომ იმასაც წარმატებით აკეთებს, რაც წესით, არ უნდა უნდოდეს - ანუ დაკვეთას. თუკი ანალიზისა და შეფასების მისეული უნარი განურჩევლად ყველაზე -უმრავლესობასა და უმცირესობაზე თანაბრად და ობიექტურად განაწილდება, წამყვანი ამით მხოლოდ მოიგებს (მაყურებლის თვალში, რასაკვირველია).

გადაცემისთვის აშკარად ემზადება ის წამყვანიც, "რომელიც დროსა და სივრცეში ქმნის დროებას". გადაცემის ჭრელა-ჭრულა თემატიკისა და წამყვანის პათეტიკური სტილის მიუხედავად, გადაცემა გააზრებულია და კომპოზიციურად შეკრული. თუმცა, რატომ არის "დროება" საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა, ვერ ვხვდები, რადგან წამყვანი (ალბათ, მას შემდეგ, რაც მისი ეკრანიდან ჩამოშორების მცდელობა ჰქონდა ხელისუფლებას) ყოველთვის გვერდს უვლის პოლიტიკურ ანალიზს. და კიდევ ერთი. პროფესიონალი ბულვარულ პრესას არასოდეს უამბობს იმის შესახებ, რომ ბადრი (პატარკაციშვილი) გრადიოზულ დაბადების დღესა და საჩუქრებს უძღვნის. ეს, მისი, როგორც ჟურნალისტის დისკრედიტაციაა მაყურებლის თვალში. უცხოეთში ამ ფაქტის გამო შეიძლება ჟურნალისტი ეთერიდანაც კი მოხსნან. მაგალითად, თავისი მოღვაწეობის დაწყების დღიდან ამერიკული ტელეკომპანია "სი ბი ესი" იცავს პრინციპს, რომლის მიხედვით "ჟურნალისტები ისე უნდა იქცეოდნენ, რომ თავიდან აიცილონ ჟურნალისტური თავისუფლებისა და პატიოსნების კომპრომენტაციის შესაძლებლობაც კი. თავისუფალნი უნდა იყვნენ ნებისმიერი მოვალეობისაგან, გარდა საზოგადოებრივი ინტერესებისა". არადა, ქართველ ჟურნალისტებს ეს პრობლემა ნამდვილად აქვთ. ჩვენს პატარა ქალაქში ხომ არაფერი იმალება.

პროფესიონალიზმის თემა საკმაოდ ტევადია და ერთ საგაზეთო პუბლიკაციაში მისი ამოწურვა უგუნურება იქნებოდა. ჩვენ ამ თემას მომავალშიც, კონკრეტული გადაცემების მიმოხილვისას დავუბრუნდებით. თქვენ კი, შეგიძლიათ ინერტულობა მოიშოროთ და ჩვენი ანკეტის კითხვებზე იფიქროთ. შეგიძლიათ პასუხები, მოსაზრებები, ორიგინალური აზრები ამ მისამართზე გამოგვიგზავნოთ: ksadgobelashvili@24hours.ge

## "ფაქტები"

ერთ მშვენიერ დღეს კომივოიაჟერმა გრეგორი ზამზამ (კაფკას "მეტამორფოზა") გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ საშინელი მწერია ხოჭო. მოგვიანებით, გენიალური ლივერპულელები სწორედ ამ სახელს დაირქმევენ THE BEATLES.

ერთ მშვენიერ დღეს მომღერალმა ირაკლი ჩარკვიანმა გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ მეფეა (help! ბიჭო, მეფე!).

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ტელევარსკვლავები გაიღვიძებენ და ... არაააა, გაფიქრებაც კი მზარავს.

მომავალ შეხვედრამდე!

### ა ნ კ ე ტ ა

1. ქართულ ტელესივრცეში რომელ არხს გამოარჩევდით და რატომ?

2. როგორი გადაცემების ნახვას ისურვებდით ქართული ტელეეთერით?

3. როგორია ქართული ტელევიზიების სამეტყველო ენა და საზოგადოებაზე ზეგავლენის ხარისხი?

4. ხედავთ თუ არა დილეტანტიზმის მაღალ დონეს ქართულ ტელეჟურნალისტიკაში?

(კონკრეტული მაგალითების მოხმობით)

5. გადაცემა და წამყვანი, რომელიც მოგწონთ ან გაღიზიანებთ...



მწერალი აკა მორჩილაძე

**1.** რომ არ მოგატყუოთ, არა ვარ დაკვირვებული მაყურებელი. ტელევიზორში უფრო სპორტულ გადაცემებს და საერთაშორისო ახალ ამბებს ვუყურებ. ის კი ვიცი, რომ დიდ ქართულ არხებს ყოველ საათში აქვთ საინფორმაციო გამოშვებები, რაც, ხშირად რომ ვუყურებდე, დამღლიდა. კიდევ ვუყურებ ძველ ფილმებს სხვადასხვა არხებზე, თუ ქართულ არხზეა, მაშინაც. თუმცა, ქართულ არხებზე ძველი ფილმები იშვიათადაა.

**2.** ისეთების, როგორიც მინახავს, ვთქვათ, "ბი ბი სი"-ზე. გინდა სპორტული, გინდა გასართობი, და გინდა შემეცნებითი. თუმცა, ვხვდები, რომ ამას უზარმაზარი რესურსი, ტრადიცია და პროფესიონალიზმი უნდა.

**3.** მგონი, ადრე უარესი იყო. თუმცა, რუსული კალკი და სულელური ტერმინები კვლავაც ბევრია.

**4.** საქართველოს პირობაზე ალბათ არა, მაგრამ საქართველო ჯერჯერობით ისევ რჩება დილეტანტიზმის ქვეყნად. თუმცა, ბევრი მაგარი პროფესიონალიც ჰყავს.

**5**. გია მაჩაბელის გადაცემა მომწონდა. ბოლო დროს ხშირად ველარ ვუყურებ, მაგრამ ძველად მომწონდა და ალბათ ახლაც ნაკლები არ იქნება. გაღიზიანებით, პოლიტიკური გადაცემები მაღიზიანებდა, ღამე რო ჩხუბები იყო ხოლმე და შევწყვიტე მათი ყურება. საერთოდ, პოლიტიკური თოქ-შოუები ძნელი საყურებელია. ისეთი მუხტი აქვს, რომ შეიძლება ნერვებიც აგიშალოს. ამ დროს კიდევ, გადამწყვეტი ის სულაც არ არის, რასაც ამ თოქ-შოუების დროს ლაპარაკობენ ხოლმე.




## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ვახტანგ კიკაბიძის კონცერტი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
ფასი: 5 ლარი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
კახა ბაკურაძე
"ლაბირინთი"
დას: 19:00 სთ.

**თეატრი "ვერიკო"**
პატრიკ ზიუსკინდი
"კონტრაბასი"
დას: 18:00 სთ.

**კინოთეატრები**
**კინოს სახლი**
"კუნძული"
(სამხრეთ კორეა)
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 15:00; 17:00 სთ.

"პოლარული ექსპრესი"
დას: 13:00 სთ.

"განრისხებული"
დას: 19:15; 20:00 სთ.

**ამირანი**
"ოუშენის 12 მეგობარი"
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

"მზის ჩასვლის შემდეგ"
დას: 20:00; 22:00 სთ.

## გალერეები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გამოფენა

**ჰობი**
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

**გოეთეს ინტიტუტი**
ბეატ პრესნერის ფოტოგამოფენა
"ვერნერ ჰერცოგი: ფილმი ფიზიკური უნდა იყოს"

**სურათების ეროვნული გალერეა**
სამხატვრო აკადემიის ქსოვილების კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა
ნამუშევრების გამოფენა (გობელენი, თექა, ბატიკა)

ვერა ქიქოძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)
II დარბაზი

## კლუბები

**JAM**
(რუსთაველის 16)
დი-ჯეები: ედგარ სებისი და ქრეიზი
კლუბის გახსნა: 21:00 სთ.
ფასი 7 ლარი.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# "ნიამორი" მეორედ

## ამჯერად საერთაშორისო რელსებზე

ვერა ნეფარიძე

*მოგზაურობა, სპორტი და ალპინიზმი კინოში - თბილისში უკვე მეორედ იმართება სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების ფესტივალი. 10 თებერვლიდან კინოთეატრ "რუსთაველის" მცირე დარბაზი ამ ფილმების ჩვენებას, ხოლო ერთ-ერთი საგამოფენო გალერეა "ამოუცნობი და ექსტრემალური სამყაროს" ფოტოექსპოზიციას დაეთმობა. წლევანდელი ფესტივალი "ნიამორი" საერთაშორისო სტატუსისაა და მასში ადგილობრივებთან ერთად იტალიელი, რუსი და უკრაინელი პროფესიონალები და მოყვარულები მიიღებენ მონაწილეობას.*


ფესტივალი "ნიამორის" ორგანიზატორები

არასამთავრობო ორგანიზაცია "კასტირიონმა" ფესტივალი პირველად შარშან ჩაატარა. მართალია, შარშანდელი ღონისძიება წლევანდელთან შედარებით მწირი იყო, მაგრამ ორგანიზატორებიცა და მონაწილეებიც დაარწმუნა, რომ "ნიამორს" შეუძლია ემსახუროს მიზანს - ხელი შეუწყოს საქართველოში სამთო და სათავგადასავლო ტურიზმის, სპორტისა და დოკუმენტური კინოს განვითარებას (მით უმეტეს, რომ მისი ანალოგი საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს), მოიზიდოს უცხოელი პარტნიორები. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი უკვე სახეზეა. თუკი შარშანდელი ფესტივალი ადგილობრივი ძალებით ჩატარდა, წელს "ნიამორში" მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა ცნობილმა მთამსვლელმა და მოგზაურმა სილვიო კალვიმ (სხვათა შორის, სილვიო კალვი 29 იანვარს მილანში დაგეგმილი საქართველოს დღეების "საქართველო - გუშინ და დღეს" თანაორგანიზატორიცაა) - მისი ფოტონამუშევრები წარმოდგენილი იქნება გამოფენაზე; ასევე ელიან რუს და უკრაინელ პარტნიორებს; მათი თხოვნით, ფესტივალის ორგანიზატორებმა საკონკურსო ფილმების მიღების ვადა გადაწიეს.

წლევანდელი ფესტივალი შარშანდელთან შედარებით ღონისძიებებით უფრო დატვირთული იქნება. ყოველ შემთხვევაში, ასეა დაგეგმილი. გათვალისწინებულია სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური ფილმების კონკურსი (შერჩევა, ჩვენება, საუკეთესოთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი), ფოტოგამოფენა "ამოუცნობი და ექსტრემალური სამყარო", პირველი ფესტივალის შემაჯამებელი ჟურნალი-კატალოგის პრეზენტაცია, ორივე ფესტივალის სამ-სამი საუკეთესო ფილმის კომპაქტ-დისკად გამოცემა; ასევე დაგეგმილია ფესტივალში მონაწილე ფილმების გატანა და ჩვენება დედაქალაქის რამდენიმე საშუალო სკოლაში; ფესტივალის მხარდასაჭერად მოეწყობა სპორტული შეჯიბრებები (ფესტივალის დროშის ატანა მყინვარწვერზე, სნოუბორდისტთა ასპარეზობა გუდაურში, მეკლდეურთა შეჯიბრება თბილისში, სპორტის დეპარტამენტის ხელოვნურ კედელზე); გაზაფხულზე წლევანდელი ფესტივალის საუკეთესო ფილმებს აჩვენებენ ყაზბეგსა და მესტიაში; დაბოლოს, დამზადდება ფესტივალის ვებგვერდის სამენოვანი ვერსია.

სახელწოდებიდან გამომდინარე, ფესტივალის მთავარი მიზანი დოკუმენტური ფილმების განვითარებაა. ჩვენთან იმდენად მცირეა სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების რაოდენობა, რომ გონივრული მეჩვენება ორგანიზატორთა გადაწყვეტილება: "ერთადერთი კრიტერიუმი ფილმების შერჩევისას არის ის, რომ ფილმი საინტერესო იყოს". "ნიამორის" ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ მსგავსი ფესტივალები მკვეთრად გაზრდის ქართული დოკუმენტური კინოს ფონდს, რის შემდეგაც უკვე თამამად შეეძლებათ კონკურსში მონაწილე ფილმებზე გარკვეული ცენზიც დააწესონ. ამჯერად კი ფესტივალი საუკეთესო ფილმებს ხუთ (სამთო ექსპედიცია, ექსტრემი, მაშველები, მოგზაურობები, მთა და ადამიანი) ნომინაციაში გამოავლენს. თითოეულ ნომინაციას ეყოლება საკუთარი ჟიური. ხუთი ძირითადი ნომინაციის გარდა, ჟიური გამოავლენს გამარჯვებულებს: მაყურებლის სიმპათიის პრიზი, საუკეთესო ოპერატორი, საუკეთესი რეჟისორი, საუკეთესო ხმის რეჟისურა, პირველი ნაბიჯი, საუკეთესო ორგანიზატორი (ექსპედიციის ხელმძღვანელი), საუკეთესო უცხოური ფილმი და სპონსორის რჩეული. ამას გარდა, ერთ-ერთი ტელეკომპანია (რომლის ვინაობაც ჯერ არ ხმაურდება) პრიზად დააწესებს ას სამონტაჟო საათს. გამარჯვებულთათვის საპრიზო ფონდი 5 ათასი ამერიკული დოლარია.

ფესტივალის საინტერესო შემადგენელი ნაწილია ფოტოგამოფენა, რომელიც "ნიამორის" პოპულარიზაციის საკმაოდ კარგი საშუალებაა. წლევანდელ გამოფენაზე 160-ზე მეტი ფოტო იქნება წარმოდგენილი. ფოტოების ავტორებს შორის არიან როგორც მოყვარული, ისე პროფესიონალი და ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანებიც. გამოფენისთვის გალერეა "უნივერსის" უნდა ემასპინძლა, მაგრამ იქ მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ამ დღეებში გაირკვევა, სად შეეძლება დამთვალიერებელს ამ ფოტოგამოფენის ნახვა.

"ნიამორის" ორგანიზატორების თქმით, მსგავსი ფესტივალი მსოფლიოს ათ ქვეყანაში იმართება; მის ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს შორის კი ვხვდებით მსოფლიოში აღიარებულ ფირმებსა და ტელეკომპანიებს (მაგალითად, "ნეიშენელ ჯეოგრაფიკს", "დისქავერს"). ამ ფესტივალებს კოორდინაციას უწევს მთამსვლელური ფილმების საერთაშორისო ფედერაცია, რომელიც თვალყურს ადევნებს "ნიამორს" და ფესტივალის დირექტორის, თამარ ჯიშკარიანის თქმით, ქართულ ფესტივალს ფედერაციაში გაწევრიანების დიდი შანსიც აქვს. მანამდე კი, ვიდრე "ნიამორი" საერთაშორისო მხარდაჭერასა და დახმარებას მიიღებს, ადგილობრივი, არც ისე მრავალრიცხოვანი სპონსორების (ყავა "პელე", სპორტ-კაფე "მსოფლიო სპორტი") დახმარებით, შეეცდება დახვეწოს ფესტივალი.

დაბოლოს: ფესტივალის ორგანიზატორებს მოუგვარებელი დარჩათ ერთი პრობლემა. საორგანიზაციო კომიტეტი ელის დახმარებას, რათა ხუთი დღის განმავლობაში ჟიურისა და კომიტეტის წევრებმა WWF-ის ბაზაზე შეძლონ საუკეთესო ფილმების შერჩევა. ჩვენ კი "ნიამორის" დაწყებამდე მკითხველს მივაწვდით ფესტივალთან დაკავშირებულ ახალ და საინტერესო დეტალებს.

# ქართველთა გასტროლები თბილისში

## თბილისი ჩემი სახლია

სოფო კილასონია

*28 იანვრიდან ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჯუზეპე ვერდის "აიდას" საპრემიერო სპექტაკლებსა და მასკანის "სოფლის პატიოსნებაში" მაყურებლის წინაშე წარდგებიან ის ქართველი მომღერლები, ვინც ახლა ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და მათ წამყვან საოპერო თეატრებში მოღვაწეობენ. მათ შორისაა მეცო-სოპრანო მზია ნიორაძე, რომელიც სულ მალე ოპერის სცენაზე ამნერისის ("აიდა") პარტიას შეასრულებს.*


სცენა ვერდის ოპერიდან "ლუიზა მილერი"

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის შემდეგ მზია ნიორაძემ ოზიმოს მუსიკალური აკადემია დაამთავრა, რის შემდეგაც მან სანქტ-პეტერბურგის ელენა ობრაზცოვას და რიმსკი-კორსაკოვის სახელობის საერთაშორისო კონკურსებსა და ვენაში გამართულ ბელვედერის საერთაშორისო კონკურსზე ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

ოჯახში, რომელშიც ექვსი ქალიშვილი იზრდებოდა, პატარა სცენა ჰქონდათ მოწყობილი. **"როცა უფროსები მღეროდნენ, პატარები ცეკვავდნენ, ჩვენ ერთმანეთს ვზრდიდით",** - იგონებს თბილისში ორი დღის წინ ჩამოსული მეცოსოპრანო. საოჯახო სპექტაკლების შემდეგ ნიორაძეებმა ჯერ თბილისის, შემდეგ კი მარიას სახელობის სანქტ-პეტერბურგის თეატრების ყურადღება და სიმპათია დაიმსახურეს.

საკუთარი შემოქმედებითი კარიერის შესახებ თავად მზია ნიორაძე იხსენებს: **"თავიდან შოთა ქუთათელაძესთან ვსწავლობდი. შესანიშნავი პიროვნება იყო. შემდეგ ლეილა გოცირიძესთან გადავედი და მასთან დავამთავრე. ის არ მზღუდავდა, სხვადასხვა პედაგოგთან მემუშავა, რისთვისაც მადლიერი ვარ მისი."**

1996 წლიდან მზია ნიორაძე სანქტ-პეტერბურგის მარიას თეატრის მიწვეული მსახიობია. სწორედ იქ შედგა მისი დებიუტი ბიზეს "კარმენში". ამ თეატრში იგი ყველა წამყვან პარტიას ასრულებს ვერდის ოპერებიდან, ასევე მეცოსოპრანოსა და კონტრალტოს წამყვან როლებს რუსული რეპერტუარიდან, თუმცა, მარიას სცენამდე არაერთხელ მოუხდა შემოქმედებითი პაუზის გადატანა. პირველად - კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ. ამ დროს იგი ხატვამ გაიტაცა და ჩააბარა კიდეც მოდელირების ფაკულტეტზე.

1991-1992 წლებში მზია ნიორაძე, როგორც თავად ამბობს, "სიმღერას დაუბრუნდა". ჩვენს თეატრში მან არაერთი მნიშვნელოვანი პარტია შეასრულა, მათ შორის: ებოლის ("დონ-კარლოსი"), აზუჩენას ("ტრუბადური"), მადალენას ("რიგოლეტო") და ნანოს ("დაისი") პარტიები. ხანმოკლე შემოქმედებით კარიერას კი კვლავ შესვენება მოჰყვა. **"სანამ წავიდოდი, რამდენიმე პარტია ვიმღერე ჩვენს სცენაზე. მაგალითად, აზუჩენას ურთულესი პარტია. თუმცა, მივხვდი, რომ ხმა ჯერ არ მემორჩილებოდა. როცა ჩანაწერებს ვუსმენ, მომწონს, მაგრამ მაშინ სიმღერისას რას ვაკეთებდი, მე თვითონ არ ვიცოდი, ბუნებით ვმღეროდი. სკოლა არ მქონდა. შემდეგ იყო პერიოდი, როცა უნდა გავჩუმებულიყავი, ხმას უნდა შეესვენა. სხვათა შორის, თავიდან დავიწყე ჩემი თავის ძიება ვოკალში. ამაში ოლია კუზნეცოვა დამეხმარა, ყოველგვარი პრობლემები მომიხსნა, ბევრი რამ მასწავლა. მას ძალიან კარგი სკოლა აქვს, ახლა ის პეტერბურგშია და ბევრი მოწაფე ჰყავს. სამწუხაროა, რომ თბილისმა ასეთი პედაგოგი დაკარგა.**

**ორწლიან შესვენებას ჩემი პირველი გასვლა მოჰყვა. პამპლონაში, კონკურსზე, ერთად წავედით მე, ნუგზარ გამგებელი და ომარ გაგნიძე. მაშინ ვერ გავიმარჯვე. შემდეგ იყო ბელვედერის კონკურსი ავსტრიაში. აქ უკვე წარმატებას მივაღწიე. ამ კონკურსებმა ძალიან გამზარდეს როგორც მომღერალი."**

კონკურსებს მოჰყვა ხუთი თვე ოზიმოს აკადემიაში, შემდეგ კი პეტერბურგი და მნიშვნელოვანი მოსმენა ვალერი გერგიევთან. **"1995 წელს ვიმღერე კარმენი. თუმცა, 2001 წლამდე მას აღარ გავკარებივარ. რაღაც მომენტში მივხვდი, რომ ამ როლში თავს კარგად ვერ ვგრძნობდი, თუმცა, თავიდან ფანატიკურად ვიყავი მასზე შეყვარებული. კარმენისთვის ასაკი უნდა გიწყობდეს ხელს. ახალგაზრდები მღერიან, შესანიშნავადაც, მაგრამ ის კარმენი არ არის. ვფიქრობ, ქალმა რაღაც ცხოვრებისეული გამოცდილება უნდა შეიძინოს, რომ ეს პარტია შეასრულოს. თუმცა, ეს მაშინ იყო. მას შემდეგ ბევრჯერ შევასრულე ეს პარტია. დებიუტის შემდეგ ოთხი წელი საზღვარგარეთ არ გავსულვარ, ვხვდებოდი, რომ ბევრი უნდა მემუშავა და მესწავლა."**

2000 წელს მზია ნიორაძე პარიზის ნაციონალური ოპერის სცენაზე, 2001 წელს კი ჰიუსტონის Grand Opera-ს, სან ფრანცისკოს და ლიონის ოპერის თეატრის სცენებზე გამოვიდა. არაერთხელ წარდგა მსმენელის წინაშე მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე. მისი რეპერტუარი საკმაოდ შთამბეჭდავია და მოიცავს პარტიებს ოპერებიდან: ვერდის "დონ კარლოსი", "ლუიზა მილერი", "რიგოლეტო", "ტრავიატა", ბიზეს "კარმენი", ბოროდინის "თავადი იგორი", დვორჟაკის "ალი", პროკოფიევის "ომი და მშვიდობა" და სხვა. კარგა ხანია, რაც მომღერალს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროით უწევს ცხოვრება, თუმცა, თვლის, რომ მისი სახლი მაინც თბილისია, ყველაზე დიდ პასუხისმგებლობასაც თბილისელი მსმენელის წინაშე გრძნობს. მიუხედავად ამისა, "აიდას" პრემიერის წინ სრულიად არ ნერვიულობს: **"ვიცი, რა სკოლა აქვს გავლილი ზაზა აზმაიფარაშვილს. ის პეტერბურგში სწავლობდა, ტემირკანოვის სტუდენტი იყო და გივი აზმაიფარაშვილის შვილია. ვფიქრობ, ყველაფერი კარგად გამოვა, სანერვიულო არაფერია."**

იმის მიუხედავად, რომ მზია ნიორაძის გრაფიკი 2008 წლამდე შედგენილია, თბილისში ხშირად ჩამოსვლას გეგმავს. როგორც საუბრის ბოლოს მითხრა, თუ სამომავლოდ აქ ელემენტარული პირობები ექნება, სიამოვნებით დარჩება და გასტროლებზე თბილისიდან ივლის.

# თვითმხილველი "მწვანე ტალღაზე"

## თანამემამულის მოგონებები მეორედ მოსვლის შესახებ

*გუშინ რადიო "მწვანე ტალღის" დილის გადაცემის მსმენელები შემზარავ და იმავდროულად უაღრესად საინტერესო ამბავს ისმენდნენ: ქართველ მსმენელებს ესაუბრებოდა ქალბატონი თინათინ ცქიფურიშვილი, ერთადერთი ქართველი, რომელიც ტაილანდში გასული წლის მიწურულს დატრიალებული ტრაგედიის მოწმე იყო. მან და მისმა ოჯახმა ის ნახეს და ის განიცადეს, რასაც სულ მარტივად შეიძლება მეორედ მოსვლა ეწოდოს.*



თინათინ ცქიფურიშვილი ჩვენთვის უჩვეულო, ეგზოტიკურ ქვეყანაში ცხოვრობს - კორეაში. ის რვა წლის წინათ წავიდა საქართველოდან - ჯერ აფრიკაში ცხოვრობდა, შემდეგ - შეერთებულ შტატებში, ამჟამად კი, როგორც მოგახსენეთ, კორეაშია, პატარა კუნძულზე, რომელსაც ქოჯე ჰქვია. ლამაზი კუნძულია, თავად თინას თქმით, - "ძალიან ჰგავს საქართველოს, კარალიოკი და კარალიოკის ჩირიც კი უხვადაა".

თინას ერთი ქალიშვილი ჰყავს, 16 წლისა. გოგონა იქაურ სკოლაში სწავლობს, მაგრამ არც ქართულს ივიწყებს, და ოჯახი ყოველწლიურად ჩამოდის ხოლმე საქართველოში.

გასულ წელს ოჯახს საშობაო არდადეგებზე ტაილანდში გამგზავრება განუზრახავს. "რამდენადაც ვიცი, ტაილანდში იმხანად ქართველები მხოლოდ მე და ჩემი ქალიშვილი ვიყავით," - ჰყვება ქალბატონი თინა. - "შესანიშნავი ადგილია, ნამდვილი სამოთხე - ყოველ შემთხვევაში, სამოთხე იყო და იმედია, კვლავაც აღორძინდება. ტაილანდელები დიდებული ხალხია - თავადაც დანგრეული, დალეწილი, დასისხლიანებული ადამიანები ყველას დახმარების ხელს უწვდიდნენ..."

ტრაგედია დილით დატრიალდა, ათ საათზე, როცა, ჩვეულებრივ, ჩვენი გმირის ოჯახი სანაპიროზე იყო ხოლმე გასული. ამ დროს ქალიშვილი, როგორც წესი, ან ყავის სახლში იჯდა ხოლმე, ან ინტერნეტ-კაფეში - ეს ორი შენობა რამდენიმე წამში მიწის პირიდან აღიგავა.

ვერავინ იფიქრებდა, რომ რამე საფრთხე იყო მოსალოდნელი. რვა საათზე, მზიან, უქარო დილას, სასტუმროს წინ აუზში ტალღები აგორდა და ცოლ-ქმარი მიწისძვრამ გააღვიძა: თინას ორგანიზმი ბარომეტრივით ამუშავდა, მას საშინლად ეტკინა თავი, მისი მეუღლე კი ოთახში ყვირილით დარბოდა; "მიწისძვრაა!" მაგრამ მეტი არავის არაფერი გაუგია, და მიწისძვრის ამბავიც უცებ დაივიწყეს...

დღეს უკვე მთელი მსოფლიო ამბობს - ტაილანდში გაფრთხილების სისტემა რომ ჰქონოდათ, ათასობით ადამიანი გადარჩებოდა, რადგან დაღუპულთა 80 პროცენტი იმ დროს სანაპიროზე იმყოფებოდა. "ელემენტარულად, პატარა ვერტმფრენი რომ გამოეშვათ და მოეწოდებინათ, პლაჟები დატოვეთო, ძალიან ბევრი ადამიანი გადარჩებოდა," - ჰყვება თინა. მაგრამ პატარა კუნძულები ევაკუაციისთვის მზად არ ყოფილა, არც ასეთი ძლიერი ცუნამი წარმოედგინა ვინმეს. მართალია, ორი სასტუმროდან ხალხი წინასწარ გაიხიზნა: გემის კაპიტანმა, რომელმაც უზარმაზარი ტალღები აღმოაჩინა, მობილური ტელეფონით დაურეკა სასტუმროს მფლობელებს.

იმ დღეს ჩვენი გმირები, სრულიად შემთხვევით, სასტუმროში აღმოჩნდნენ - იქვე, ქვიშაში მდგომ მაგიდასთან ისაუზმეს და ოთახს მიაშურეს, საბანაოდ აუცილებელი ნივთების ასაღებად - "ჩემი მეუღლე პირსახოცებს კეცავდა აივანზე, რომ ატყდა მეორედ მოსვლა. შემზარავი ხმა გაისმა და მე და ჩემი შვილი აივანზე გავცვივდით. ის, რაც დავინახეთ, დაუჯერებელი იყო: უზარმაზარი, შავი წყლის კედელი მოასკდა ჩვენს სასტუმროს. მან ჩვენი აივნის წინ მდგომი უზარმაზარი ხე ფესვებიანად ამოგლიჯა და ხე პირდაპირ ჩვენ დაგვეცა".

ის, რასაც შემდეგ ქალბატონი თინა ჰყვება, ჰოლივუდური საშინელებათა ფილმის სიუჟეტს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ ამბავს. ის ჰყვება, თუ როგორ გარბოდნენ ის და მისი ქმარ-შვილი სახურავზე, სადაც მათ გარდა ოციოდე გადარჩენილი აფარებდა თავს. სისხლით მორწყული ბანი, დასახიჩრებული ადამიანები, სრული უიმედობა - გადარჩენისა არავის სწამდა, ყველანი შემდეგ ტალღას ელოდნენ.

სახურავზე ასულმა სასტუმროს მომსახურე პერსონალმა - პირველი სართული მთლიანად წყლით იყო დაფარული - ხალხი პირსახოცებით გადააბა ერთმანეთს: თუ გადარჩენაა, ერთად გადავრჩებით, თუ დაღუპვაა, ყველას ერთად გვიპოვნიან! თინამაც ჩაიბა თავისი ქალიშვილი, და ასე, ერთიან ჯგუფად, ისინი მთებისკენ დაიძრნენ წყალით, რომელშიც მთელი კუნძულის კანალიზაცია იყო ჩაქცეული. ისინი მიდიოდნენ მკერდამდე წყალში, ზოგი - მძიმე ჭრილობებით, თინა ფეხშიშველი მიაბიჯებდა მინის ნამსხვრევებით დაფარულ გზაზე და სულ ცდილობდა, ფარხმალი არ დაეყარა, არ ჩამორჩენილიყო და თავისი შვილი არ დაკარგვოდა. უკან არავინ იხედებოდა - მეტისმეტად შემზარავი იყო დადევნებული ტალღის მოლოდინი...

საბედნიეროდ, მთელმა ჯგუფმა მიაღწია ხმელეთამდე. მშრალ ნიადაგზე გადასულები ღონემიხდილნი დაცვივდნენ მიწაზე. ისინი "მფარველმა ანგელოზმა", ადგილობრივი სასტუმროს მფლობელმა კაცმა აღმოაჩინა, მოუარა, შეიფარა.

საერთოდ, ტაილანდელების შესახებ საუბრისას თინა ცქიფურიშვილი მუდამ იმეორებს, რომ ისინი წარმოუდგენლად თავდადებული და გულისხმიერი ადამიანები არიან. მიუხედავად ტრაგედიის მასშტაბებისა, ბრბოს არავინ გაუთელავს, უპატრონოდ დარჩენილ მაღაზიებს გულმოდგინედ ყარაულობდნენ და საავადმყოფოები დაჭრილებს განუწყვეტლივ იღებდნენ. "საავადმყოფო ჯოჯოხეთი იყო," - ჰყვება თინა. საბედნიეროდ, მას და მის ქმარ-შვილს საგანგაშო ჭრილობები არ ჰქონიათ, არც ინფექცია შეჭრიათ, თუმცა ნაიარევი მხოლოდ წყლით ჩამოიბანეს.

შემდეგ იყო თვრამეტი საათი აეროპორტში, დაჭრილთა გმინვა, სველი ტანსაცმელი, ადამიანები, რომლებიც თავიანთ შვილებს თუ მეგობრებს ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ, გაგიჟებული დედები, რომელთაც თავიანთი ჩვილები ჰყავდათ ჩაბღუჯული - და ბედნიერი შეხვედრა: ვიღაცამ ვიღაცა იპოვა!

■ ■ ■

დღეს ჩვენი გმირის ოჯახი კვლავ კორეაშია, პატარა კუნძულ ქოჯეზე. ქალიშვილი კვლავ სკოლაში დადის, წელს ინდოეთში აპირებს გამგზავრებას. დედა შინაა, ჯერჯერობით სახლიდან გასვლას ერიდება, მაგრამ ამბობს, რომ აუცილებლად ჩამოვა საქართველოში.

ცხოვრება გრძელდება.

# საინაუგურაციო სიტყვა მეორე წრეზე



თომას ჯეფერსონი



აბრაამ ლინკოლნი



ბენჯამინ ფრანკლინი

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

დღეს ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, უკვე მეორედ თავის სიცოცხლეში, წარმოთქვამს საინაუგურაციო სიტყვას. დღევანდელობა და წარსული ორატორის წინააღმდეგ იქნებიან. დღევანდელობა იმიტომ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის ყველა პრეზიდენტს გაცილებით მაღალი რეიტინგი ჰქონდა, ვიდრე ბუშს. წარსული კი იმიტომ, რომ მეორე წრის საინაუგურაციო გამოსვლებიდან დროის გამოცდას მხოლოდ ერთმა, აბრაამ ლინკოლნის გამოსვლამ გაუძლო.

მეორე საინაუგურაციო გამოსვლებთან, ანუ "ადრესებთან", როგორც ამას აშშ-ში უწოდებენ, შედარებით პირველი გამოსვლები უფრო ეფექტური იყო. ამათგან ისტორიაში შევიდა თომას ჯეფერსონის, აბრაამ ლინკოლნის, ბენჯამენ ფრანკლინის, თეოდორ რუზველტის და ჯონ კენედის "ადრესები".

რა არის იმის მიზეზი, რომ წესის წინააღმდეგ, პირველი მაჭკატის ნაცვლად, ცომად ამ შემთხვევაში მეორე იქცევა ხოლმე? წიგნის - "სიტყვაკაზმული პრეზიდენტი: ლინკოლნის პორტრეტი მისივე სიტყვების მიხედვით" - ავტორი რონალდ ვაიტი თვლის, რომ ამას სამი მიზეზი აქვს. პირველ ყოვლისა, მეორე საინაუგურაციო სიტყვები აშკარად შეფერილია პირადი ტრიუმფის გრძობით. ისინი განმსჭვალულია მუდმივი სტოკატოთი "მე, მე, მე, მე, მე...". პირველისგან განსხვავებით, მეორე საინაუგურაციო სიტყვები ატარებენ უფრო გამაერთიანებელ ხასიათს. ამის მაგალითი 1801 წელს მოგვცა ჯეფერსონმა, როცა თავის სიტყვა გამსჭვალა ზეპარტიული მოტივით: "ჩვენ ყველა რესპუბლიკელები ვართ, ჩვენ ყველა ფედერალისტები ვართ" (მაშინ დემოკრატიული პარტია არ არსებობდა).

მეორე მხრივ, მეორე საინაუგურაციო სიტყვები აქცენტს აკეთებდნენ ადმინისტრაციულ პრობლემებზე, ანუ უფრო მიწიერები იყვნენ. მაგალითად, თავის პირველ სიტყვაში, როცა ლაპარაკობდა ეკონომიკაზე, რეიგანმა საზეიმოდ გამოაცხადა "ოცნების უფლება ჰეროიკულ ოცნებებზე", ხოლო მეორეში ჩაეფლო საბიუჯეტო და საგადასახადო კანონმდებლობაზე დისკუსიების ჭაობში. საბოლოოდ, მეორე საინაუგურაციო სიტყვები იყო უფრო გრძელი და დამღლელი. მაგალითად: პრეზიდენტ კლინტონის მეორე სიტყვა 1997 წელს ერთი მესამედით გრძელი იყო პირველზე, თუმცა ამით კლინტონმა უბრალოდ ტრადიცია გააგრძელა, რომელსაც სათავე ჯერ კიდევ ჯეფერსონმა დაუდო.

ლინკოლნის მეორე საინაუგურაციო გამოსვლა გამონაკლისი გახდა, რადგანაც არ შეიცავდა არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ მიზეზს. პირველ რიგში ის იყო პირველ საინაუგურაციო გამოსვლაზე მოკლე. ის შეიცავდა მხოლოდ 701 სიტყვას. (პირველი 3600 სიტყვას შეიცავდა). ეს იყო ყველაზე მოკლე საინაუგურაციო გამოსვლა, რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით ამერიკის პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონის საინაუგურაციო სიტყვას. ლინკოლნმა პირველ პარაგრაფში სულ რაღაც ორჯერ გამოიყენა ნაცვალსახელი. ლინკოლნის მეორე ინაუგურაცია სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ გაიმართა და ამიტომაც მისი გამოსვლა ძირითადად ერის გამთლიანებაზე იყო აგებული. ის არ აკრიტიკებდა სამხრეთს, როგორც ამას წინა პერიოდში აკეთებდა, ის ხაზს უსვამდა სამხრეთელების "კეთილ განზრახვებს". ლინკოლნი, როდესაც ლაპარაკობდა გრძნობებზე, ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ ორივე (ჩრდილოეთი და სამხრეთი. -მ.ს.) მხარე კითხულობს ერთი და იგივე ბიბლიას და ეთაყვანებიან ერთი და იგივე ღმერთს.

ახლანდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში იქნება მესამე, რომელიც თავის საინაუგურაციო მეორე სიტყვას იმ პერიოდში წარმოთქვამს, როდესაც მისი ქვეყანა ომობს. თავისი პირველი საინაუგურაციო გამოსვლის დროს ბუში ლაპარაკობდა "მშვიდობისა და თავისი ქვეყნის მტრებზე." მაგრამ ეს იყო რიტორიკული მიდგომა და ის არ აკონკრეტებდა არც სახელმწიფოს მტრებს, არც საშიშროებას, რომელიც მათ მოაქვთ. ბუშის პირველი ინაუგურაციიდან რვა თვის შემდეგ ტერორისტებმა 11 სექტემბერს ნიუ იორკზე და ვაშინგტონზე მასშტაბური ტერაქტი განახორციელეს, რის შემდეგაც სახელმწიფო პოლიტიკა რადიკალურად შეიცვალა და რამაც გამოიწვია ავღანეთში საომარი მოქმედებების დაწყება. ავღანეთის შემდეგ კი, ამერიკის შეერთებული შტატების ჯარისკაცები ერაყში შევიდნენ და ეგრეთ წოდებულ საერთაშორისო ტერორიზმს ომი გამოუცხადეს. სრულიად გასაგებია, რომ ეს თემა ბუშის მეორე ინაუგურაციის მთავარი თემა გახდება.

ძველი ჩინური ანდაზა გვეუბნება: "პირველ რიგში - უცხოს, მეორე რიგში - მეგობრებს". ამერიკის საპრეზიდენტო ისტორიკოსები თვლიან, რომ თეთრი სახლის თითქმის ყველა წარმომადგენელი, მიუხედავად თავისი წარსულისა, ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ მოღვაწეობას თავიდან დაიწყებენ და უცხოების როლში მოგვევლინებიან. მეორე ინაუგურაციის შემდეგ პრეზიდენტი თავის ერს, როგორც მეგობრებს ისე მიმართავს, ისევე როგორც ეს აბრაამ ლინკოლნმა მეორე ინაუგურაციის შემდეგ გააკეთა. ლინკოლნმა "მეგობრებს მოქმედებისკენ, ხალხის მიმართ უბოროტოდ და ხალხის მიმართ კეთილად" მოქცევისკენ მოუწოდა.

პრეზიდენტ ბუშის წინაშე, მეორე ინაუგურაციის წინ რთული ამოცანა დგას: როგორ მიმართოს თავის ქვეყანას და მსოფლიოს. ისიც და ესეც ძალზედ მნიშვნელოვანია. უკანასკნელმა პერიოდმა დაგვანახა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ორ ნაწილად - წითელ-რესპუბლიკანულ და ლურჯ-დემოკრატიულ შტატებად იყოფა. მეორე მხრივ, აშშ-მ შეძლო და საერთაშორისო ტერორიზმთან მეორე ომი დაიწყო, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ტერორიზმთან ომმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ბევრი სახელმწიფო ჩამოაშორა.

აი, რატომ არის, რომ პრეზიდენტ ბუშის მეორე საინაუგურაციო სიტყვა ასეთ აჟიოტაჟს იწვევს და მთელი მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები "მიკროსკოპის ქვეშ" აქცევენ ამ მოვლენას.

*პაულო კოელიოს სვეტი*

# არაძალადობრივი ბრძოლის შესახებ



დროდადრო ნამდვილად ღირს ხოლმე ბრძოლის ხელოვნების, აიკიდოს ფუძემდებლის მორიჰეი უეშიბას (1883-1969) ბოლო ნაწერებს გადავავლოთ თვალი. მისი შეგირდების მიერ შეგროვებულ ტექსტებში აშკარად ჩანს, რომ წინააღმდეგობის განწყობა ადამიანური ბუნების ნაწილია, მაგრამ ხანდახან ეს თვისება შენს გვერდზე მდგომთან და საერთოდ დანარჩენ სამყაროსთან ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებაშიც გეხმარება. აი, უეშიბას ზოგიერთი ქადაგება (თავისთავად შემცირებული და ადაპტირებული სახით მოწოდებული, მაგრამ მაინც):

### მოუსმინე ბრძენს

მიმოიხედე გარშემო, შეათვალიერე ადამიანების შრომის შედეგი, ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო, ყური დაუგდე, რას გასწავლიან შენზე უფროსები, და მერე მოსმენილ-ნანახი ისე გამოიყენე, თითქოს ანდერძით მიღებული მემკვიდრეობა იყოს.

რადგანაც არაფერი იცვლება და ყოველთვის ასეა - სიმართლე მუდამ შენს წინ ძევს - ადამიანი, მდინარე, მცენარე - ყველაფრისგან შეიძლება რაღაცის სწავლა. ნახე, როგორ ლაღად, თავისუფლად მიედინება მდინარე კალაპოტში, ხედავ? და შენც ეცადე, მიემსგავსო მას. დილას, როცა თვალს გაახელ, შეიგრძენი გარესამყარო. ტანსაცმლის ნაცვლად მიწა და ცა ჩაიცვი, სიყვარულით განიბანე ტანი და სახე, დედა-ბუნების წიაღში შეაღწიე და იქ დაევანე...

### შინაგანი ხმა სინამდვილეში გარედან მოდის

შენს გულში უამრავი მარცვალი ხარობს, რომელიც ნაყოფის გამოსაღებად, გასაღვივებლად გარედან შემოსულ ნათელს ელის. და ამიტომ: ნუ დაუხშობ შენი გულისკენ მიმავალ შუქს კარს. დაე, ცხოვრება გაგიძღვეს წინ. ბუნებრივად მიიღე ის თვისებები, რასაც ცოცხალ არსებებში ხედავ; არსებებში, რომლებიც შენს თვალწინ სუნთქავენ, იზრდებიან და ვითარდებიან.

ანუ: იყავი ისეთივე მარადმწვანე და სიცოცხლისუნარიანი, როგორიც ფიჭვია, ისეთივე მოქნილი, როგორიც ბამბუკია, ისეთივე მშვენიერი, როგორიც ლოტოსია და ისეთივე თვალწარმტაცი, როგორიც შროშანია.

### იყავი შენ, არ იყო შენი მეზობელი

დაიმშვიდე სული და ხელახლა დაიწყე იმ საწყისი შადრევნის ძიება, საიდანაც ყველაფერი მოედინება; შადრევნის, რომელიც ბოროტების და უზნეობის ყოველგვარ კვალს აქრობს. თუ ერთი სული გაქვს, როდის გამოიცნობ შენი მეზობლის ხასიათს, როდის აღმოაჩენ მასში არსებულ კეთილსა და ბოროტს, ასე შენ საკუთარი სული დაგავიწყდება, შინაგანი ენერგიისგან გამოფიტავ თავს, რადგან მთელ ძალას და მონდომებას სხვების შეფასებას დაახარჯავ.

ცხოვრება სიყვარულის მანიფესტაციაა და მეომარიც ომის გამოწვევაზე წინ მშვიდობის გავრცელებაზე უნდა ზრუნავდეს.

### აღზარდე და განავითარე შენი ტალანტი

ის, ვისაც სურს, რომ უკეთესი გახდეს, არაფრით არ უნდა დაემონოს თეორიებსა და სიტყვებს; მათ უშეცდომოდ უნდა იმოქმედონ და ოთხი ძირითადი პრინციპით იხელმძღვანელონ: გამბედაობა, სიბრძნე, სიყვარული და მეგობრობა. უამრავი გზა არსებობს იმისთვის, რომ ამ პრინციპებით იარო და უამრავი გზა არსებობს იმისთვის, რომ მთის მწვერვალს მიუახლოვდე. უბრალოდ, არასდროს არ უნდა დაივიწყო, რომ ამ მწვერვალს სიყვარული ჰქვია.

ჭეშმარიტმა მეომარმა კი ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ ცნების სრულყოფილად გასათავისებლად (განსაკუთრებით კი სიყვარულის მნიშვნელობა მაშინ უნდა ესმოდეს, როცა გადაწყვეტილების მიღება უწევს).

სიყვარულის გაგებას, ახსნას და გათავისებას თავგამოდებული წვრთნა სჭირდება, სულისა და საკუთარი პიროვნების წვრთნა. თუმცა, არის ერთიც - ამ გზაზე ადამიანი ყოველთვის ინტუიციას უნდა მიენდოს, რადგან სიყვარული ყოველთვის მოგვამადლებს ხოლმე უდიდეს ნიჭს - გადამწყვეტ დროს საუკეთესო გზის არჩევის ნიჭს.

### მეომრის გზა

წმინდა მახვილი - ბასრი და მზეზე ლაპლაპა - ბოროტს ერთი მოქნევით ძირში კვეთს. თუ ვიფიქრებთ, რომ მახვილი უბრალოდ რკინისგანაა გამოწრთობილი, მაშინ იმასაც დავასკვნით, რომ ის იოლად ივსება უწმინდური ძალით და შეიძლება, პირველივე მოქნევაზეც გატყდეს. მაგრამ, მახვილი ხომ ფორმას მჭედლის ხელში იღებს, ადამიანისა, რომელიც რკინის მასას ფოლადად აწრთობს, მერე კი ეს ფოლადისებური თვისება ხმლის პატრონსაც გადაეცემა ხოლმე. თითოეული მოქნევა წარსულიდან გაკვეთილია, რომელიც უნდა ვისწავლოთ. თითოეული მოქნევა წარსულიდან იმ ძნელბედობებს უღებს ბოლოს, მომავალში რომ შეიძლება გადაგვყროდა გზად.

ჭეშმარიტი გზა ოთხ ძირითად შინაგან პრინციპს ეფუძნება და თუ ამ საგანძურს მხოლოდ მის ფიზიკურ მანიფესტაციამდე - სხეულამდე - დავიყვანთ, მაშინ მხოლოდ დავამცირებთ მას, რადგან სხეული ყოვლისშემძლე არ არის, მის ძალას ყოველთვის აქვს საზღვარი. სული კი ისეთივე უსაზღვროა, როგორც სამყარო. სული ისე გახსნილია, რომ მას ყველაფრის შემეცნება შეუძლია, რასაც სიყვარული გვასწავლის.

ჭეშმარიტი მეომარი ყოველთვის სამი იარაღით შეიარაღდება ხოლმე: მშვიდობის გასავრცელებლად შექმნილი ელვარე მახვილით, სიბრძნისა და მეგობრობის ამრეკლავი მოწმენდილი სარკით და ღვთაებრივი სინათლის მფრქვეველი ძვირფასი ქვით.

ეს ღვთაებრივი ნათელი კი არც ცაშია და არც მიწაზე. ის თითოეულ ჩვენგანშია.

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ინფოთეკა

### შოთა არველაძე შეიძლება "ლევანტეში" გადავიდეს

საქართველოს ნაკრებისა და "გლაზგო რეინჯერსის" ფორვარდი შოთა არველაძე, რომელსაც შოტლანდიურ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება, შეიძლება ესპანეთის "ლევანტეში" აღმოჩნდეს. ამის შესახებ ინფორმაციას "ტრიბალფუტბოლი" ავრცელებს. აქვე ნათქვამია, რომ ფეხბურთელით თურქეთის "ტრაბზონსპორი" და დორტმუნდის "ბორუსია" არიან დაინტერესებული.

### ადრიანო ერთ მატჩს გამოტოვებს

მილანის "ინტერის" ბრაზილიელმა ფორვარდმა ადრიანომ მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო. ამის გამო ის იძულებულია, გამოტოვოს იტალიის ჩემპიონატის მე-20 ტურის მატჩი, რომელშიც "ინტერი" "კიევოს" ხვდება. კლუბის სამედიცინო პერსონალმაც განაცხადა, რომ ადრიანო ამ კვირაში გუნდთან ერთად არ ივარჯიშებს. ითამაშებს თუ არა ადრიანო "კიევოს" წინააღმდეგ, მატჩის წინ გადაწყდება.

### "ბორო" შვარცერს ინარჩუნებს

ინგლისურმა "მიდლსბრომ" მეკარე მარკ შვარცერთან კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა. მოქმედი კონტრაქტის ვადა ამ ზაფხულს იწურებოდა და, მოარული ხმების თანახმად, ავსტრალიის ნაკრების 32 წლის მეკარე კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებდა. თუმცა, შვარცერი იმ კლუბის ერთგული დარჩა, რომელშიც თითქმის რვა სეზონი გაატარა.

"მე აქ რვა შესანიშნავი სეზონი გავატარე, - განაცხადა მეკარემ. - შარშან, თებერვალში, ინგლისის ლიგის თასი მოვიგეთ. ამჟამად კი უეფას თასზე არცთუ ისე ურიგოდ გამოვიყურებით. მას შემდეგ, რაც 1997 წლის თებერვალში "ბრედფორდიდან" გადმოვედი, "მიდლსბრომ" დიდი გზა გაიარა. მიმდინარე სეზონი კი ჩვენთვის ჯერჯერობით საუკეთესოა. ჩვენ ჩემპიონატის ორი მესამედი გავიარეთ და გუნდი მეექვსე ადგილზეა. კლუბმა თავისი ამბიციურობა დაადასტურა და მინდა, მას კვლავაც დავეხმარო". შვარცერმა უეფას თასის პირველ ეტაპზე ყველა მატჩი შეუცვლელად ჩაატარა და ექვსიდან ოთხ შეხვედრაში გოლი არ გაუშვია. ინგისელებს წინ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში ავსტრიის "გრაცერთან" შეხვედრა ელით. პირველი მატჩი, რომელსაც "ბორო" სტუმრად გამართავს, 17 თებერვალს არის დაგეგმილი, ხოლო განმეორებითი - ერთი კვირის შემდეგ.

### ახალი შეთანხმება

ფირმა "ადიდასმა" ფიფასთან ახალი სპონსორული შეთანხმება გააფორმა 2010 და 2014 წლების მსოფლიო ჩემპიონატებზე. შეთანხმების ფასი 351 მილიონი დოლარია. სააგენტო "როიტერის" თქმით, ამის შესახებ ინფორმაცია ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა გაავრცელა. ამ ორ ორგანიზაციას შორის პირველი სპონსორული შეთანხმება 1970 წელს გაფორმდა.

### წლის გუნდი

უეფას ოფიციალური საიტის მილიონ ორასი ათასმა მომხმარებელმა მიიღო მონაწილეობა 2004 წლის გუნდის დასახელებაში. ჯანლუიჯი ბუფონი ("იუვენტუსი", იტალიის ნაკრები), კაფუ ("მილანი"), რიკარდუ კარვალიუ ("ჩელსი", პორტუგალიის ნაკრები), ალესანდრო ნესტა ("მილანი", იტალიის ნაკრები), ეშლი კოული ("არსენალი", ინგლისის ნაკრები), კრიშტიანუ რონალდუ ("მანჩესტერ იუნაიტედი", პორტუგალიის ნაკრები), მანიშე ("პორტუ", პორტუგალიის ნაკრები), რონალდინიო ("ბარსელონა", ბრაზილიის ნაკრები), პაველ ნედვედი ("იუვენტუსი"), ტიერი ანრი ("არსენალი", საფრანგეთის ნაკრები), ანდრეი შევჩენკო ("მილანი", უკრაინის ნაკრები). მწვრთნელი: ჟოზე მოურინიო ("ჩელსი").

### ლუა-ლუა დაისჯება

ინგლისის ჩემპიონატის მატჩში "პორტსმუთისა" და "ბლექბერნის" მონაწილეობით "პორტსმუთის" ფორვარდმა ლომანო ლუა-ლუამ მეტოქის მცველს ენდი ტოდტს ჩაარტყა, რისთვისაც ის მინდვრიდან მიაბრძანეს. ამის გამო ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია აპირებს ფეხბურთელი დასაჯოს. 24 წლის კონგოელი ფეხბურთელი სამი მატჩით უკვე დისკვალიფიცირებულია. ახლა კი ლუა-ლუას სასჯელი იმის გამო ემუქრება, რომ გაძევების შემდეგ ის მინდორს არ ტოვებდა.

# ვერისბაღელები



## დათო ყიფიანი - ევროპული ინტელექტი ქართულ ფეხბურთში

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმრებს - ლევან ჭაჭიაშვილს, ზურა მაისურაძეს და გოგი დემეტრაძეს ქართული ფეხბურთის ყველაზე წარმატებულ პერიოდზე (შედეგების მიხედვით) - 70-იანი წლების "დინამოზე" ვთხოვეთ მსჯელობა. თუმცა, ამ საუბარმა თავისთავად მოიტანა და ჩვენმა რესპონდენტებმა დღევანდელი ქართული ფეხბურთის წარუმატებლობის მიზეზებზეც გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები.*

**ლევან ჭაჭიაშვილი:** "დიდ ფეხბურთს საქართველოში მხოლოდ ვარსკვლავი ფეხბურთელები თამაშობდნენ. ფეხბურთი როგორ არ იყო, მით უმეტეს - დღევანდელთან შედარებით, მაგრამ იმ დროს ერთი-ორი ვარსკვლავიც გვყოფნიდა. დღეს ეს აღარ არის საკმარისი. რა შედარებაა - მაშინ ეთამაშებოდი კუიბიშევს, დღეს ნაკრები ხვდება ნაკრებს. თან, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ფეხბურთის ნამდვილი არსი ქართველებს არასოდეს ესმოდათ. მოგიყვებით: სიცილით კვდებოდნენ, როდესაც თამაშის დროს რუსმა მწვრთნელმა ერთ ფეხბურთელს მეორეზე მიუთითა და გასძახა, - Паша, помоги ему, работай"! ვერც კი წარმოედგინათ, რა შუაშია სიტყვა "მუშაობა". და საერთოდ, ფეხბურთი რომ თერთმეტი კაცის თამაშია, ქართველებმა ეს არასოდეს იცოდნენ. ერთადერთი გამონაკლისი იყო დათო ყიფიანი. ბორია პაიჭაძე თერთმეტ კაცს ატყუებდა, მაგრამ ფეხბურთი თერთმეტი კაცის თამაში რომაა, იმანაც არ იცოდა. მოვიდა დათო ყიფიანი, ევროპული აზროვნების, კრუიფის აზროვნების ფეხბურთელი, რომელმაც ქართულ ფეხბურთში გუნდთან ერთად თამაში შემოიღო და ეს მაშინვე შეეტყო "დინამოს"; წავიდა და, მე თუ მკითხავთ, ყველაფერი იქვე დამთავრდა"....

"არადა, ერთხელ ბაღში ჩვენი ერთი მეგობარი ამტკიცებდა, ფეხბურთს საქართველოში მეთორმეტე საუკუნიდან თამაშობენო, - სიცილით ჩაერთო გოგი დემეტრაძე, - გვითხრა, ჩემი თუ არ გჯერათ, ლევანს ჰკითხეთო. ლევანს ის კაცი ძალიან უყვარდა, ვერ აწყენინა და გვითხრა, - მართალია, ფეხბურთი კი იყო, მაგრამ მაშინ აბსაიდები არ არსებობდაო".

**ლევან ჭაჭიაშვილი:**"ეს ხუმრობით, და ისე 70-იანი წლების "დინამოს" მართლა კარგი გუნდი ჰყავდა - ძალიან კარგი მეკარე იყო გაბელია; კოსტავა, მიუხედავად იმისა, რომ არც ისეთი აღიარება ხვდა წილად, თავისი კლასით უმშვენიერესი ფეხბურთელი იყო თანამედროვე აზროვნებით. ის ოთხმოციანი წლების დასაწყისში თამაშობდა იმ ფეხბურთს, რასაც დღეს ქადაგებენ განაპირა მცველები. ხინჩაგაშვილი გვყავდა, ჩივაძე - ასეთი კლასის ფეხბურთელი. მე რომ მკითხოთ, ხინჩაგაშვილი ყველაზე მაგარი ბურთის წამრთმევი იყო, მაგრამ რატომ აღარ დარჩა მისი სახელი... ბლოხინს რომ დაედევნებოდა და ბურთს წაართმევდა, მერე სამ მეტრში პასს ვეღარ აძლევდა - აი, ეგ იყო უბედურება... ანდა ვინმე ერთი ფეხბურთელი ოცი წუთის განმავლობაში ბურთს თუ შეინარჩუნებდა, თუნდაც ეს ბურთი სულ ცენტრში რომ ეტარებინა, დანარჩენი ათი მოთამაშე კი უსაქმოდ დაეტოვებინა, ქართველებს ეს დიდ მიღწევად მიაჩნდათ. ასეთ ფეხბურთელებს ვარსკვლავებად თვლიდნენ"...

**ზურა მაისურაძე:** "მაგალითად, მანუჩარი"...

"მანუჩარიც და სხვებიც, - გააგრძელა ისევ ლევან ჭაჭიაშვილმა, - არადა, ეს არის ფეხბურთი - ათი კაცი უსაქმოდ იყოს და ერთი ცენტრში ბურთს ზიგზაგებით დაატარებდეს"?!

**გოგი დემეტრაძე:** "მწვრთნელებზეც ვთქვათ... იმ წლების მიღწევებში, რა თქმა უნდა, ნოდარ ახალკაცის დიდი წვლილიცაა"...

**ლევან ჭაჭიაშვილი:** "როგორ არა, "დინამოს" ყველაზე დიდი მიღწევები მისი ხელმძღვანელობის დროს ჰქონდა, მაგრამ კარგი გუნდიც ჰყავდა და ისევ ვიმეორებ - დათო ყიფიანი ჰყავდა. ძალიან მერიდება ამის ხშირად გამეორება იმიტომ, რომ ყიფიანი ჩემი ძალიან ახლობელი იყო, მაგრამ საქართველოში მართლა არ ყოფილა მსგავსი ტიპის სხვა ასეთი ფეხბურთელი, რომელსაც შეეძლო გუნდის თამაში განეპირობებინა. იცით, როგორი იყო ყიფიანი? - სუფრას ძალიან მაგარი თამადა რომ ეყოლება და სუფრის თითოეულ წევრს დღესასწაულის მონაწილედ რომ აქცევს; სანამ ის თამადობს, რომ გგონია, - თურმე რა კარგად ვმღერი, ვხუმრობ, ვლაპარაკობ და, საერთოდ, რა მაგარი ვარო. მერე კი, ის რომ თამადობას მორჩება, ხვდები, რომ დიდი არც არაფერი ხარ"...

**ზურა მაისურაძე:** "მართალია. შენგელია ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ყიფო რომ ფეხბურთიდან წავიდა, სამი გოლის მეტი ვეღარ გაიტანა"...

**გოგი დემეტრაძე:**"არადა, მაშინ შენგელია სულ 26 წლის იყო, მეტის კი არა".

**ლევან ჭაჭიაშვილი:**"დარასელიასაც ხშირად იგონებენ, როგორც ვარსკვლავს; უდავოდ ნიჭიერი ბიჭი იყო და თან ძალიან მშრომელი, რაც ფასდაუდებელი თვისებაა ფეხბურთელისთვის, მაგრამ ეს არ იყო ის რანგი, რასაც ყიფიანზე ვამბობ. ერთხელ ნოდარ ახალკაცს ვკითხე, - დარასელიაზე რას იტყვი-მეთქი და დაუფიქრებლად მიპასუხა: "очень хорошая лошадка"... ნამდვილი გროსმეისტერობა კი ცოტა სხვა რამეა - აი, ზიდანი ოსტატია, რომელიც მოედანზე აკეთებს ყველაფერს - შეუძლებელსაც. მისი და რონალდინიოს დაჭერა შეუძლებელია. ერთი მომენტი მახსენდება - ნახევრად წაქცეულ ზიდანს, თითქმის "შპაკატში" რომ იჯდა, ბურთი მოხვდა და იქვე დამიწდა. იმ მომენტში ბურთი სხვა ფაქტურისგან გაკეთებულს ჰგავდა, ნახერხით გეგონებოდა გატენილი; არადა, მერე სხვა ფეხბურთელებთან ისევ ისე მიგორდა და ჩვეულებრივი სიმსუბუქით ხტოდა. მიდი და გაეჯიბრე ახლა ასეთ კლასს შენი ვითომ ნიჭიერი ფეხბურთელებით. კიდევ ვიტყვი, "დინამოში" ყიფიანი ზიდანივით იყო"...

**ზურა მაისურაძე:** "ვოვა გუცაევი იყო კიდევ ძალიან ნიჭიერი"...

**ლევან ჭაჭიაშვილი:** "სხვათა შორის, ყიფო ამბობდა გუცაევზე, - ეგ, ეტყობა, ფეხბურთზე ნაკლებად ფიქრობს, თორემ, წესით, ძალიან დიდი ფეხბურთელობა შეეძლოო. ალბათ, ასეც იყო".

ახლა გული რომ გვწყდება, - ფეხბურთი აღარ გვაქვსო, - და ხან ფედერაციას ვაბრალებთ, ხან მწვრთნელებს, ხან დღევანდელ ფეხბურთელებს... ნიჭიერები ახლაც გვყავს. ძალიან მომწონს მახო ასათიანი; შემოქმედებითი ტიპის ფეხბურთელია და ლიდერის თვისებებსაც ამჟღავნებს. ქინქლაძეც ნიჭიერი იყო, არველაძეებიც ნიჭიერები არიან. წარმოიდგინე, ესენი ათი წელი ერთად რომ გეთამაშებინა. ეს იყო 70-იანი წლების "დინამო", სხვა კი არაფერი. ერთი შემადგენლობა წლობით ერთად თამაშობდა საბჭოთა კავშირის პირველობაზე და მაგრებიც იყვნენ. დღეს სხვა სურათი გვაქვს. პატარა ქვეყანაა ეს საქართველო, ღარიბი; იმ ქვეყნებში კი, ვისაც ჩვენ გვინდა, რომ ღირსეულად გავეჯიბროთ, ყველაფერი საოცარი ტემპით ვითარდება, მათ შორის - ფეხბურთიც. მადრიდის "რეალმა" ისეთ დონეს მიაღწია, მსოფლიო ნაკრებს მოუგებს. ასევეა "მანჩესტერ იუნაიტედიც". ამას ჩვენ რომ დავეწიოთ, შეუძლებელია".

**ზურა მაისურაძე:** "ჯერ ამ ქვეყანას მთლიანად უნდა ეშველოს, მერე კი, ალბათ, არც ისე სავალალოდ იქნება ჩვენი საქმე - "რეალის" რა გითხრათ, მაგრამ ირლანდიის დონის ფეხბურთს მაინც ითამაშებენ ქართველები".

**ლევან ჭაჭიაშვილი:** "მწვრთნელებს რაც შეეხებათ, საქართველოში ძალიან ბევრი მართლა კარგი მწვრთნელი არსებობდა, მაგრამ მათ შორის, ალბათ, ანდრო ჟორდანიას ვერავინ შეედრებოდა; თან მე ძალიან ვუყვარდი და ამიტომ რაღაც კითხვების დასმას ვუბედავდი ხოლმე. ერთხელ, მახსოვს, ქართლოსს ძალიან უნდოდა, ანდროს აზრი გაეგო - მესხი უკეთესი ფეხბურთელია თუ მეტრეველი. მე ვურჩიე, ასე პირდაპირ კითხვას ნუ დაუსვამ, სიმართლეს მაინც ვერ გაიგებ-მეთქი. ბოლოს დიდი მოწიწებით ვკითხეთ:"ძია ანდრო, თქვენ ხომ ფეხბურთელს კოჭებში ატყობთ როგორია და იქნებ გვითხრათ ზუსტად რის მიხედვით აფასებთ-თქო. Изюминка, - გვითხრა ბუნდოვნად ძია ანდრომ. მაინც, მაინც, - არ ცხრებოდა ქართლოსი. მოკლედ, ფეხბურთელს ნიჭი და ტექნიკა უნდა ჰქონდეს, - გვითხრა ძია ანდრომ, - შეიძლება ორივე ჰქონდეს და ფეხბურთი მაინც ვერ ითამაშოს, მაგრამ ვისაც ეს ორი რამ არა აქვს, იმას ფეხბურთელობის შანსი არა აქვსო".

**გოგი დემეტრაძე:** ჭადრაკის თამაში უყვარდა ანდროს, ფეხბურთელებსაც ეთამაშებოდა ხოლმე ჭადრაკს, ოღონდ წაგებას ვერ იტანდა. აიღებდა თავის ფიგურას, მაგალითად ცხენს, ხელში დიდხანს ატრიალებდა და მერე იმ უჯრაზე დადებდა, სადაც უნდოდა — შეკამათებას ვინ გაუბედავდა, მწვრთნელი იყო. ჰოდა, სულ მოგებული რჩებოდა...

**ლევან ჭაჭიაშვილი: ჟორა** სიჭინავამ გაუბედა - ანდრო ცხენს რომ აიღებდა, ჟორა იმ უჯრას იმახსოვრებდა და თითს აფარებდა - "დიმიტრიევიჩ! აქ იდოო". ანდროს ეს თან მოსწონდა, თან ბრაზდებოდა. ერთხელაც მოსკოვში გასვლითი თამაშის დროს ჟორა გააფრთხილა: Ты в общественный транспорт один не садись. Почему Димитриевич? - გაუკვირდა ჟორას. преступная у тебя морда, - აუხსნა ანდრომ.

#### ბაბაჩიზმი...

**ზურა მაისურაძე:** "რას იტყვით, ჩვენ ბაღს დღემდე რომ ეარსება, იქნებ არც ამ ფეხბურთის საქმე წასულიყო ასე ცუდად, არც პრესაში გაიპარებოდა ამდენი შეცდომა და თავხედობა... ჯერ მარტო, რა კოლორიტული ხალხი იყრიდა თავს. გახსოვთ ბაბაჩის (ოთარ ლორთქიფანიძე) ამბები?! სიტყვა "ბაბაჩიზმს" სკლეროზის სინონიმად ვიყენებდით..."

**ლევან ჭაჭიაშვილი**: "ბაბაჩი სიცილით გვხოცავდა, ისეთი რამეები ავიწყდებოდა. ერთხელ ამბობს, - შავი როა, მაგარი, იმ ფეხბურთელის გვარი გამახსენეთო. ბუნებრივია, ჩვენ 30-იანი წლების ზანგი ფეხბურთელების ჩამოთვლა დავიწყეთ. ეგ არა, ეგ არა, - ამბობდა ბაბაჩი. ბოლოს ვილაცამ ხუმრობით ჰკითხა, - პელეზე ხო არ ამბობ; ჰო, ჰო! პელე, პელეო"....

**გოგი დემეტრაძე:** "თავის სახლს რომ ვერ აგნებდა? საწყალი ზურიკო ხავთასი გაგიჟებული ჰყავდა - ბაღიდან ტაქსით ერთად მიდიოდნენ და სიტყვა საბურთალო ვერ გაიხსენა. ამის გამო, რამდენჯერმე მცხეთაში აღმოჩნდა. ერთხელ ბაბაჩიმ თბილისში არყოფნის დროს ახლო მეგობრის გარდაცვალების ამბავი გაიგო და ძალიან შეწუხდა, რომ მის დაკრძალვას ვერ დაესწრებოდა; თბილისში რომ დაბრუნდა, ის კაცი ტროლეიბუსში შეხვდა საღ-სალამათი (თურმე მისი სეხნია, სულ სხვა კაცი გარდაცვლილა). ბაბაჩიმ ის კაცი გადაკოცნა და ბოდიში მოუხადა, - მაპატიე, ქალაქში არ ვიყავი და ვერ მოვედიო"...

## "დინამოს" მეტოქე გამოაკლდა

მიხეილ აბაიშვილი

ორი დღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე საფეხბურთო კლუბ თბილისის "დინამოს" მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა კლუბის უახლოეს გეგმებზე საუბრისას აღნიშნა, რომ "დინამო" თებერვლის დასაწყისში მონაწილეობას მიიღებს საფეხბურთო ოთხთა ტურნირში. ეს ტურნირი ესპანეთში, მალიორკაზე გაიმართება და "დინამოს" გარდა მასში იგეგმებოდა მოსკოვის "სპარტაკის", სანკტ პეტერბურგის "ზენიტისა" და დონეცკის "შახტიორის" მონაწილეობა. საქართველოს ჩემპიონს ამ ტურნირის ეგიდით სამივე გუნდთან უნდა ეთამაშა.

დღეს ცნობილი ხდება, რომ მოსკოვის "სპარტაკის" ხელმძღვანელობამ ამ ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. "მარბელას თასის" ბოლო ტური 9 თერბერვალს უნდა გაიმართოს. სწორედ ამ დღეს ამხანაგურ მატჩში რუსეთისა და იტალიის ეროვნული, ასევე ახალგაზრდული გუნდები შეერკინებიან ერთმანეთს. "რუსეთის როგორც ეროვნულ, ისე ახალგაზრდულ გუნდში "სპარტაკიდან" ხუთზე მეტი ფეხბურთელი იქნება გამოძახებული, რაც ამ კლუბს ძალების გადანაწილების და "მარბელას თასზე" გამოსვლის საშუალებას არ აძლევს", - ნათქვამია "სპარტაკის" პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ამავე განცხადების მიხედვით, ესპანეთში რუსეთის ეს "სახალხო გუნდი" მხოლოდ ერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს და მისი მეტოქე დონეცკის "შახტიორი" იქნება.

ხოლო რა ბედი ეწევა "მარბელას თასს", მოუძებნიან თუ არა ორგანიზატორები "სპარტაკს" შემცვლელს, ჯერ უცნობია.

სწორედ 9 თებერვალს საქართველოს ნაკრები თბილისში მართავს ამხანაგურ თამაშს, რომელშიც ჩვენი მეტოქე ლიტვის ეროვნული გუნდი იქნება. "დინამოში" როგორც ეროვნული, ისე ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი თამაშობს და, სავარაუდოდ, ჩვენი გუნდიც დადგება იმ პრობლემის წინაშე, რის გამოც "სპარტაკმა" "მარბელას თასის" ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ინფოთეკა

### "ფერარი" ახალი ბოლიდის წარსადგენად ემზადება

სავარაუდოდ სკუდერიელთა ახალი "ფერარის" დებიუტი მაისში "ესპანეთის დიდ პრიზზე" შედგება. აქედან გამომდინარე "ფერარის" ახალი ბოლიდის პრეზენტაცია სამეფო რბოლების ჩემპიონატის დაწყებამდე უნდა შედგეს. რაც შეეხება თავად საჯინიბოს, ფერარელები ჯერ არ ასახელებენ F2005 საქვეყნოდ გამომზეურების თარიღს. თუმცა, "Autosport"-ის ინფორმაციით, ფორმულა 1-ის გულშემატკივრები ახალ ბოლიდს მარანელოში, 21 თებერვალს იხილავენ.

### კასპაროვი ბრძოლის ველს ტოვებს

მსოფლიო ჭადრაკის დიდოსტატის გარი კასპაროვის თქმით, შეწყვეტილია მოლაპარაკებები რუსტამ კასიმჯანოვთან მოლაპარაკებები. ვიდრე საქმე აქამდე მივიდოდა, კასპაროვსა და კასიმჯანოვს ერთმანეთთან ურთიერთობა 25 აპრილიდან 14 მაისის ჩათვლით სტამბოლში უნდა გაერკვიათ.

ChessBase.com-ის საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, უფრო სწორედ, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციისადმი ღია წერილით კასპაროვი იმასაც გვამცნობს, რომ ჭადრაკიდან არ მიდის: "მანამდე ვიასპარეზებ, სანამ ჩვეულ ფორმაში ვიქნები. მე, კვლავაც ვემსახურები ჭადრაკს და მათ ვისაც ეს თამაში უყვარს. 20 წლის განმავლობაში მსოფლიო რეიტინგის ლიდერი ვარ და მზად ვარ ნებისმიერ ოპონენტთან საკუტარი პოზიციები დავიცვა. ერთადერთი ეგაა, რომ საჭადრაკო პოლიტიკის ბრძოლის ველიდან გავდივარ".

### კანადელი ჰოკეისტი საეჭვოდ დაიკარგა

კვლავაც ბურუსითაა მოცული "აკ ბარსას" კანადელ ჰოკეისტის ბრედ რიჩარდსის ადგილსამყოფელი. როგორც ამბობენ, სტენლის თასის 2004 წლის გათამაშების ყველაზე ძვირფასი მოთამაშის ადგილსამყოფელის დადგენა პრაქტიკულად არ არსებობს.

საქმე ისაა, რომ სუპერლიგის ჩემპიონატის სადეკემბრო შესვენებისას რიჩარდი ყველასთვის მოულოდნელად ბარძაყის ძველი ტრავმის მოსაშუშებლად ამერიკაში გაემგზავრა. ბევრს ეგონა, რომ იანვრის შუაწელში რიჩარდსი ყაზანში დაბრუნდებოდა. თუმცა ფაქტია, "აკ ბარსა" კვლავაც კანადელი ფორვარდის მოლოდინშია. გარდა ამისა, დღემდე უცნობია ისიც, გაიკეთა თუ არა ოპერაცია რიჩარდსმა. ვითარებას ამძაფრებს ისიც, რომ რიჩარდსის თანაკლუბელსა და მეგობარს ვენსან ლეკავალეს ორი კვირაა რაც თანამემამულეიგან არანაირი ინფორმაცია არ მიუღია.

### აბსოლუტური ჩემპიონი ერთ ქამარს ჩამოდის

საშუალო წონის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ბერნარდ ჰოპკინსმა (45-2-1, აქედან 32 ნოკაუტით) გადაწყვიტა, რომ 19 თებერვალს ჰოვარდ ისტმანის (40-1-0, აქედან 34 ნოკაუტით) წინააღმდეგ ორთაბრძოლაში მხოლოდ კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) ჩემპიონის ქამარი დაიცვას.

შეგახსენებთ, რომ ჰოპკინს, რომელსაც სხვათა შორის, შაბათს 40 წელი შსეუსრულდა, საბჭოს უმთავრეს ტიტულთან ერთად WBA (ასოციაციის), IBF (ფედერაციის) და WBO (ორგანიზაციის) ჩემპიონის ტიტულების მატარებელიცაა.

"საბჭოს ვერსიით ტიტულის დაცვა სავალდებულოა მხოლოდ ამ ფედერაციისთვის და მხოლოდ ამის გამოა, რომ ჰოპკინს მხოლოდ WBC-ს ქამარი გამოაქვს... აცხადებს "გოლდენ ბოი პრომოუშენის" აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ჯეიმსი და იქვე იმედს გამოთქვამს, რომ ახლო მომავალში ჰოპკინსი ოთხივე საჩემპიონო ქამარს გამოიტანს საჯილდაოდ. თუმცა ამ შემთხვევაში ჰოპკინსისთვის ის მატჩი ბევრად მომგებიანი უნდა იყოს ფინანსური თვალსაზრისით, ვიდრე ისტმანთან დაპირისპირება, რომელიც 19 თებერვალს უნდა შედგეს.

### ლეგროტალიე "ბოლონიაში" გაანათხოვრეს

იტალიის ნაკრებისა და ტურინის "იუვენტუსის" მცველი ნიკოლა ლეგროტალიე სეზონის ბოლომდე იჯარის წესით "ბოლონიაში" ითამაშებს. აცხადებს უეფას ოფიციალური საიტი.

### ამერიკელი ოლიმპიელები 400 მილიონით გამდიდრდნენ

აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა სპონსორულ შეთანხმებას მიაღწია ცნობილ სასტუმროების ქსელტან "ჰილტონთან". "ასოშეიტედ პრესის" ცნობით, ხელშეკრულების თანახმად "ჰილტონი" ოლიმპიურ კომიტეტს 400 მილიონ დოლარს გადაუხდის. შეთანხმება პეკინის ოლიმპიური თამაშების დასრულებამდეა ვარგისი.

ფეხბურთი

# ბექჰემი ბრძოლისთვის ყოველთვის მზადაა

ნინო ტიკარაძე

*ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" ვარსკვლავმა დევიდ ბექჰემმა "მანჩესტერ იუნაიტედში" მის შესაძლო დაბრუნებაზე დაიწყო საუბარი, თუმცა, ფეხბურთელი არც ესპანეთში თამაშით ჩანს უკმაყოფილო, რასაც ვერ იტყვი ესპანურ პრესაზე.*

დევიდ ბექჰემმა ინგლისური კლუბი "მანჩესტერ იუნაიტედი" 2003 წლის ივლისში მთავარ მწვრთნელთან სერ ალექს ფერგიუსონთან უსიამოვნების გამო დატოვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფეხბურთელმა წყენა წარსულს გაატანა და იგი ძველ კლუბში დაბრუნებაზე ალაპარაკდა: "თუ "რეალიდან" წამოსვლა გადავწყვიტე, დიდი სიამოვნებით დავბრუნდები "მანჩესტერ იუნაიტედში" და ასეთივე გრძნობით ვიმუშავებ სერ ალექს ფერგიუსონთან. "მანჩესტერი" ის კლუბია, რომელშიც მე, როგორც ფეხბურთელი, გავიზარდე და დავიხვეწე. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ იქ მთელი ჩემი კარიერა უნდა გავატარო," - განაცხადა ინგლისელმა ვარსკვლავმა "Daily Mirror"-თან საუბარში, თუმცა, მისი მტკიცებით, ცვლილებები ახლო მომავალში არ მოხდება, რადგან, მისი მტკიცებით, იგი თავს მშვენივრად გრძნობს მადრიდის "რეალში" და არსად წასვლას არ აპირებს: "წელიწადნახევარია, რაც ესპანეთში გადმოვედი. ვფიქრობ, კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. ბედნიერი ვარ, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებთან მიწევს თამაში. ძალიან მინდა მოვიგო ისეთი მნიშვნელოვანი ტურნირები, როგორიც პრიმერა დივიზიონი და ჩემპიონთა ლიგაა."

ბოლო დროს ბექჰემი რეჟიმიდან ამოვარდა და ფორმაც დაკარგა. ესპანურმა პრესამ, რომელიც ინგლისელ ვარსკვლავს კლუბში მოსვლის დღეებში აქებდა და ადიდებდა, სულ უფრო გაახშირა მისი კრიტიკა: "ესპანეთში გადმოსვლის პირველ დღეებში ის თამაშობდა და დარბოდა. შემდეგ ის დარბოდა და თამაშობდა, ახლა კი აღარც დარბის და აღარც თამაშობს," - აღნიშნა ერთმა კრიტიკოსმა.

ბექჰემის გაკილვას არ მოერიდნენ არც ის ფეხბურთელები, რომლებიც დევიდს კონკურენტად თვლიან. "ის ერთადერთი და განუმეორებელი როდია. ათასზე მეტი ვარსკვლავია მასზე ბევრად უკეთესი," - განუცხადა ინგლისელ ჟურნალისტებს ერთ-ერთმა ე.წ. მოშურნე ფეხბურთელმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა.

ინგლისელი ვარსკვლავის პასუხმაც არ დააყოვნა: "ხალხი ფიქრობს, მიზეზი იმისა, რომ ბოლო დროს ძველებურად ველარ ვთამაშობ, თითქოს ჩემს პირად ცხოვრებაში არსებული პრობლემებია, მაგრამ, მერწმუნეთ, ასე არ არის. კრიზისი ფეხბურთელისთვის ჩვეულებრივი ამბავია და არ შეიძლება ამის გამო აურზაური ატეხო".

დევიდის პასუხი საკმარისი არ აღმოჩნდა ესპანელი ჟურნალისტებისთვის. მათ დღემდე აწუხებთ კითხვა: რა მოხდა? რაზეც ჯერ პასუხი ვერ გაუციათ.

ზოგის აზრით, ბექჰემის ფორმიდან ამოვარდნის მიზეზი ისაა, რომ მას სწორ პოზიციაზე არ ათამაშებენ. სხვათა შორის, ამ აზრს იზიარებს ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სვენ გორან ერიქსონი. ზოგიერთის აზრით კი, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელი 29 წლისაა, მან მაინც დაღმასვლა დაიწყო. კიდევ ერთი მოსაზრება: მან ვერაფრით აუწყო ფეხი ესპანეთსა და ესპანურ ფეხბურთს. ამბობენ, რომ უკანასკნელი ვერსია ყველაზე ახლოს დგას სიმართლესთან. ბრიტანელი ფეხბურთელების უმეტესობის მსგავსად, ვერც ბექჰემი შეეგუა საზღვარგარეთ თამაშს. მას ძალიან ცოტა მეგობარი ჰყავს მადრიდში და მისი ესპანურიც საკმაოდ მოიკოჭლებს.

ასეთი მწარე კრიტიკის მიუხედავად, ბექჰემი მაინც ძველებურად იმედიანად უყურებს მომავალს: "მჯერა, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს კვლავაც ინგლისის ნაკრების კაპიტანი ვიქნები".

თუმცა, ბოლო დროს მისი კაპიტნობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საქმე ის გახლავთ, რომ ხმა გავრცელდა, თითქოს სვენ გორან ერიქსონს ძალას ატანენ, დევიდ ბექჰემი "მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელით შონ რაით-ფილიფსით შეცვალოს. ფილიფსსა და "ტოტენჰემის" თავდამსხმელს ჟერმენ დეფოს ინგლისის ეროვნული ნაკრების ამომავალ ვარსკვლავებად მოიაზრებენ.

"ვაღიარებ, რომ ფილიფსი საკმაოდ ძლიერი ახალგაზრდა ცენტრალური მცველია. მე ვამაყობ ინგლისის ნაკრებით და მინდა, ჩემი ქვეყნის გუნდი ბრწყინვალე იყოს. ეს კი იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ იქ საუკეთესო ფეხბურთელები ითამაშებენ. ეჭვიანი და შურიანი არ ვარ. მინდა, რომ ჩემზე ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც მივცეთ გაზრდის საშუალება პროფესიული თვალსაზრისით. შონს ჩემს კონკურენტად მიიჩნევენ. ეს ნაწილობრივ შეიძლება სიმართლედ ჩაითვალოს, რადგან ჩვენ ერთსა და იმავე პოზიციაზე ვთამაშობთ, თუმცა, ეს მოსაზრებაც არაფერს ცვლის. რა თქმა უნდა, თუ ეს საჭირო გახდება, ჩემი ადგილის შესანარჩუნებლად ბოლომდე ვიბრძოლებ. არ დავნებდები. კვლავაც ვფიქრობ, რომ კარგი კაპიტანი და ფეხბურთელი ვარ. ინგლისის ეროვნულ ნაკრებსა და "მანჩესტერ იუნაიტედში" ყოველთვის ვიგებდი. თუ რაღაც რიგზე ვერ იყო, მაშინ ბრძოლას ვიწყებდი. საჭიროების შემთხვევაში, მომავალშიც ამას გავაკეთებ," - განაცხადა ფეხბურთელმა, რომელიც მაისში 30 წლის ხდება და რომლიც მიმართაც პრესის ინტერესი არ ნელდება.

ხშირად გაისმის პრეტენზიები ბექჰემის არა მხოლოდ როგორც ფეხბურთელის, არამედ როგორც პოპულარული ადამიანის მისამართითაც. ბრალს სდებენ იმაში, რომ ვარსკვლავური მანიითაა შეპყრობილი, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პოპულარული ჟურნალ-გაზეთების გარეკანის ხშირი სტუმარია, ბექჰემი ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს და საზოგადოების ინტერესს ჩვეულებრივ ამბად აღიქვამს: "იყო პერიოდები, როცა მარტო ყოფნა მინდოდა, მაგრამ ახლა საქმე სულ სხვაგვარადაა. ბოლო დროს ძალიან იღბლიანი გავხდი. ჩემი ცხოვრების სტილის შეცვლას ნამდვილად არ ვაპირებ, თუმცა, ჟურნალისტები ხშირად თავს მაბეზრებენ. თუ ერთ დღეს მაღაზიაში რამდენიმე ფორთოხალს ვიყიდი, ეს ამბავი, აქაოდა, ძალიან მნიშვნელოვანიაო, გაზეთების პირველ გვერდზე ხვდება. ესპანურად დავილაპარაკებ და მეორე დღეს გაზეთში ვკითულობ: "ბექჰემი ესპანურად ალაპარაკდა". ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს," - განაცხადა ინგლისელმა ვარსკვლავბიჭუნამ, რომელმაც ნამდვილად იცის თავისი საქმე, რომელიც შეუპოვრად მიიწევს მიზნისკენ და რომელიც ყოველთვის აღწევს სასურველს.




მოკლედ

# კალაძე - ევროპის ნაკრებში




ფიფამ და უეფამ გადაწყვიტეს, მოაწყონ ერთობლივი საქველმოქმედო მატჩი, ხოლო მიღებული შემოსავალი გადარიცხონ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დატრიალებული სტიქიური უბედურების დახმარების ფონდში. გუშინ ცნობილი გახდა იმ ფეხბურთელთა სახელები, რომლებიც ამ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას.

უეფას ნაკრებში, რომელსაც უკაპიტნებს ანდრეი შევჩენკო, ხოლო მწვრთნელებად ეყოლება მარჩელო ლიპი და არსენ ვენგერი, ითამაშებენ:

**მეკარეები** - ბუფონი (იუვენტუსი), კასილიასი (რეალი)

**მცველები** - კარამბე (სერვეტი), კომპანი (ბელგია), კალაძე (მილანი), მალდინი (მილანი), პუიოლი (ბარსელონა), სტამი (მილანი), ტიურამი (იუვენტუსი)

**ნახევარმცველები და თავდამსხმელები** - რობერტო ბაჯო (იტალია), ბალაკი (ბაიერნი), ბექჰემი (რეალი), დეკუ (ბარსელონა), ჟერარდი (ლივერპული), ანრი (არსენალი), რაული (რეალი), შევჩენკო (მილანი), ტოტი (რომა), ვიეირა (არსენალი), ფოგელი (ეინდჰოვენი), ზიდანი (რეალი), დელ პიერო (იუვენტუსი), ნედვედი (იუვენტუსი), სემაკი (ცსკა)

ფიფას ნაკრებს, როგორც მოსალოდნელი იყო, 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, ბრაზილიელი რონალდინიო უკაპიტნებს, მწვრთნელებად კი კარლოს ალბერტო პერეირა და ფრანკ რიიკარდი მიიწვიეს.

**მეკარეები** - დიდა (მილანი), კამენი (ესპანიოლი);

**მცველები** - კაფუ (მილანი), კორდობა (ინტერი), კუფური (ბაიერნი), ლუსიო (ბაიერნი), რადებე (ლიდსი), ხავიერ ძანეტი (ინტერი), ჟაიდი (ბოლტონი), მარკესი (ბარსელონა), კრისი (ლიონი), ჰაინცე (მანჩესტერ იუნაიტედი).

**ნახევარმცველები და თავდამსხმელები** - ადრიანო (ინტერი), ბაკლი (არმინია), ემერტონი (ბლეკბერნი), ეტო`ო (ბარსელონა), ჩა დუ-რი (აინტრაჰტი), დროგბა (ჩელსი), ლი ტაი (ევერტონი), ჟუნინიო პარამბუკანუ (ლიონი), მაჰდავიკია (ჰამბურგი), ნაკატა (ფიორენტინა), რონალდო (რეალი), რონალდინიო (ბარსელონა), კაკა (მილანი), მარტინსი (ინტერი), კამბიასო (ინტერი), ესიენი (ლიონი).

მატჩი ბარსელონაში, სახელგანთქმულ "ნოუ კამპზე" გაიმართება. თარიღი უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

# ალი კალათბურთელთან იხუბება

ქალთა შორის მეორე საშუალო და ნახევრადმძიმე წონების მსოფლიოს ჩემპიონი, მუჰამედ ალის ქალიშვილი ლაილა ალი შემდგომ ორთაბრძოლას 36 წლის კასანდრა გეიგერთან გამართავს. შერკინება 11 თებერვალს შედგება. რაც შეეხება წონით კატეგორიას, ამ შემთხვევაში ალი მეორე საშუალო წონაში WIBA-ს ჩემპიონის ქამარს დაიცავს, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორთაბრძოლა მანამდე ვაკანტურად გამოცხადებული IWBF-ის საჩემპიონო ქამრისთვის ნახევრადმძიმე წონით კატეგორაიში გამართა. რომელსაც დაეუფლა კიდეც.

რაც შეეხება მეტოქეს, მის შესახებ ვიტყვით, რომ პროფესიულ რინგზე ორწელიწადნახევარია რაც გამოდის და ამ ხნის განმავლობაში ათი ორთაბრძოლა ჩაატარა, აქედან ექვსში გამარჯვებით. კარიერის ბრძოლათა უმეტესობა კი ნახევრადმძიმე წონაში აქვს გატარებული. ხანდახან პირველ მძიმე და მძიმე წონით კატეგორიებასაც აგემოვნებდა. 2001 და 2002 წლებში სრულად ამერიკის ტურნირების - Toughwoman (მოკრივეთა ასპარეზობანი პროფესიონალებისთვის) ფინალებში უასპარეზია. საინტერესო კი ისა, რომ ვიდრე კრივის ხელთათმანებს მოირგებდა, თურმე კალათბურთს თამაშობდა.

ოლიმპიზმი

# ლონდონს ნაცისტური გამოხდომა ღუპავს

ბიბა ბურასაშვილი

ცოტა ხნის წინ ბუკინგემის სასახლიდან გამოჟონილი ინფორმაციით, რაც ნაკლებად სარწმუნო ბრიტანულმა ტაბლოიდურმა გამოცემა "Sun" გაავრცელა, ვიტყობდით, რომ ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეტა II ლონდონის შანსებს უმასპინძლოს 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს ნაკლებად შესაძლებლად მიიჩნევს, რადგან პარიზთან, რომელიც ასევე 2012 წლის ოლიმპიადისთვის იბრძვის, გამარჯვების იოტისოდენა ალბათობაც არ გვაქვსო. მართალია, მოგვიანებით ბუკინგემის სასახლის პრესსამსახურმა ტაბლოიდის ინფორმაციის კომენტირებისგან თავი შორს დაიჭირა, მაგრამ გარკვეული ეჭვი მაინც გაჩნდა.

ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასი გამოდგა რამდენიმე დღის წინათ ბრიტანეთის პრინც ჩარლისა და პრინცესა დიანას ვაჟიშვილის ჰარის ნამოქმედარიც. დიდგვაროვანის ერთ-ერთ წვეულებაზე ნაცისტების ფორმაში მისვლამ ლონდონის შანსები კიდევ შეამცირა. ეს მაშინ, როდესაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის მსურველი ქალაქები ფინიშის სწორეზე დგანან.

...უახლოეს ხანში 2012 წლის კანდიდატ ქალაქებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური კომისია მოინახულებს, რათა თამაშების საკუთარ კედლებში ხილვის მოსურნე დედაქალაქების მზადყოფნა შეაფასოს და იმავდროულად შემაჯამებელი დასკვნა გამოიტანოს.

ახლა სწორედ ის დროა, როდესაც კანდიდატ ქალაქებს შეცდომის უფლება არ აქვთ, რადგან მათი მხრიდან ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო შეცდომა, შესაძლოა, მათთვის დამღუპველი აღმოჩნდეს უბრალო მიზეზის გამო: შეცდომის გამოსასწორებლად დრო აღარ რჩება. თუმცა გარეშე პირებსაც შეუძლიათ გარკვეული ზიანი მიაყენონ მასპინძლობის მოსურნეთა იმიჯს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ჰარის ნაცისტური ოხუნჯობანი, ალბათ, უკვალოდ არ ჩაივლის.

ერთი სიტყვით, ლონდონს ფეხი დაუცდა.

იმაზეც ქილიკობენ, პრინცი ჰარი ეტყობა, ან ისტორიასთანაა მყრალად ან იუმორის გრძნობა არ აქვსო. ფაქტია, საკუთარი საქციელით ბრიტანეთის დედაქალაქის იმედს ხაზი გადაუსვაო. 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლის ვინაობა კი სინგაპურში, 6 ივლისს ოლიმპიზმის მამათა თავყრილობაზე გაირკვევა.

ამასობაში ბრიტანული გამოცემა "Daily Mirror" ერთმნიშვნელოვნად აცხადებს: "ჰარის საქციელი ჩვენ ოლიმპიურ თამაშებად დაგვიჯდაო". ბრიტანეთის პრემიერის ტონი ბლერის კაბინეტში შემავალი ერთ-ერთი მინისტრის სიტყვებით, რომელიც საკუთარი ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს, პრინცმა ჰარიმ "ლონდონის კანდიდატურის შესაძლებლობებს ზიანი მიაყენა. კანდიდატურას, რომელიც თანამედროვე ბრიტანეთის იდეებს ეფუძნება.

ამავე აზრს იზიარებს დიდი ბრიტანეთის კულტურის მინისტრი ტესა ჯოველი: "ის, რაც პრინცმა ჰარიმ გააკეთა აბსოლუტურად გაუაზრებელია". თუმცა იქვე დასძინა, რომ სამეფო ოჯახის დანარჩენ წევრთა ოლიმპიადის მიმართ დამოკიდებულება ფანტასტიურია.

როგორც წესი კანდიდატურატა გამოვლენამდე ერთგვარი რეიტინგი დგება იმისა თუ ვინაა ფავორიტი მასპინძლობის საქმეში. ხუთ კანდიდატთაგან - ლონდონი, პარიზი, ნიუ იორკი, მადრიდი და მოსკოვი, ფავორიტად საფრანგეთის დედაქალაქია მიჩნეული, რომელსაც ფეხდაფეხ მიყვება ნიუ იორკი და მხოლოდ მათ შემდეგაა ლონდონი. რა თქმა უნდა, არაოფიციალური მონაცემებით.

და მაინც, ახლა, როდესაც კანდიდატი ქალაქები აკუთარი ღირსებისა და შესაძლებლობების აფიშირებით არიან დაკავებულნი, მიჩნეულია, რომ ბუკინგემის პრინცის შეცდომით დანარჩენები ისარგებლებენ. მანამდე კი მადრიდის ავტონომიის მეთაური ესპერანსა აგირე პეკინში გაემგზავრა და ესპანეთის დედაქალაქის რეკლამირებას ჩინეთიდან შეუდგა. ესპანური პრესის მიხედვით, ესპერანსა აგირე 2008 წლის ოლიმპიადის დედაქალაქში ავტონომიის სხვა ხელმძღვანელებთან , მადრიდის ასამბლეისა და ბიზნესმენთა ჯგუფთან ერთად წასულა. მადრიდელთა დელეგაციის მიზანია ყველა დაარწმუნონ იმაში, რომ მათი პროექტი სხვა კანდიდატებს შორის საუკეთესოა. გარდა ამისა, აგირემ ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც მადრიდი და პეკინი დაძმობილდებიან.

მიუხედავად ყველაფრისა, ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი თვლის, რომ თამაშები "ჯილდოა, რომლისთვისაც ღირს ბრძოლა".

"ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ გაერთიანებულ სამეფოში ოლიმპიური თამაშების ჩატარება შევძლოთ... დაუნინგ-სტრიტის, 10-ის მაცხოვრებელი. - სხვა ქვეყნების გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ლონდონში ოლიმპიადის გამართვას აზრი აქვს".

Australian Open

ჩოგბურთი

# ფავორიტებს პრობლემები არა აქვთ

ავსტრალიის ღია ჩემპიონატის მეორე წრეში არავითარი პრობლემა არ შექმნიათ ტურნირის უმთავრეს ფავორიტებს. ფედერერმაც, აგასიმაც და საფინმაც უპრობლემოდ გადალახეს მეორე ბარიერი. სამივე ჩოგბურთელმა სამ სეტში დაამარცხა მეტოქე. ბებერმა აგასიმ საკმაოდ უხერხული მეტოქე, გერმანელი რაინერ შუტლერი დაამარცხა და მთელი მატჩის განმავლობაში მას მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო.

იაპონელმა ტაკაო სუძუკიმ სცადა, წინააღმდეგობა გაეწია მსოფლიოს პირველი ჩოგნის როჟე ფედერერისთვის, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ შვეიცარიელს თავისი თითო მოწოდება დაუთმო, სამ სეტში მაინც დამარცხდა - 6:3, 6:4, 6:4.

რაც შეეხება მარატ საფინს, მანაც დიდი ძალისხმევის გარეშე გაისტუმრა სამშობლოში ჩეხი ბოგდან ულირახი. საფინი მესამე წრეში შეხვდება ტურნირის 28-ე ნომერ ხორვატ მარიო ანჩიჩს, რომელმაც გერმანელ ბიორნ ფაუს დააყრევინა ფარ-ხმალი.

დღის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული და საინტერესო მატჩი არგენტინელ გასტონ გაუდიოსა და ამერიკელ მერდი ფიშს შორის გაიმართა. გაუდიომ მეტოქე ოთხ სეტში დაამარცხა, თანაც, გამარჯვებული მეოთხე სეტში ტაიბრეიკზე გაირკვა. ამერიკელს აშკარად არ გაუმართლა. მას უფრო ზუსტად რომ ეთამაშა, შეიძლებოდა გამარჯვებულის გამოსავლენად მეხუთე სეტი გამხდარიყო საჭირო. ასე კი მესამე წრეში გაუდიო ითამაშებს. სპეციალისტთა გაოცება გამოიწვია ივან ლიუბიჩიჩმა. ტურნირის 22-ე ნომერი კვიპროსელ მარკოს ბაგდატისთან შეხვედრაში დამარცხდა. სენსაციურად გამოიყურება ტაილანდელი პარადორნ შრიჩაპხანის (27) წაგება ფინელ იარკო ნიემინენთან. მოულოდნელი ჩანს ტომი ჰაასის მარცხი სლოვაკ კაროლ კუჩერასთან შეხვედრაში. ბელგიელმა ოლივიე როხუსმა კი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ჩოგბურთელი, ფრანგი გაელ მონფილსი დაამარცხა. მონფილსმა შარშანდელ სეზონში ოთხიდან სამ ტურნირში იმარჯვა იუნიორთა შორის. თუმცა, დიდებში მას ჯერჯერობით არ უმართლებს.

ქალთა თანრიგში ტურნირს გამოეთიშა მეცხრე ნომერი რუსი ვერა ზვონარევა, რომელიც თანამემამულე ვერა დუშევინასთან მატჩში დამარცხდა. განთესილთაგან ტურნირს აგრეთვე გამოეთიშნენ კოლუმბიელი ბაბიოლა სულუაგა (17), იაპონელი შინობუ ასაგო (28) და არგენტინელი გიზელა დულკო (29).

**ვაჟები:**

| | |
|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) - ტაკაო სუძუკი (იაპონია) | 6:3, 6:4, 6:4 |
| იარკო ნიემინენი (ფინეთი) - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 27) | 6:3, 6:4, 6:2 |
| მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) - ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია, 22) | 7:6, 6:4, 6:7, 6:2 |
| ტომი რობრედო (ესპანეთი, 13) - ტომაშ ზიბი (ჩეხეთი) | 6:4, 2:6, 6:2, 6:4 |
| იოაკიმ იოჰანსონი (შვედეთი, 11) - პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) | 6:4, 5:7, 6:3, 2:6, 7:5 |
| ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი, 24) - სარგის სარგსიანი (სომხეთი) | 4:6, 6:3, 6:4, 7:6 |
| ტეილორ დენტი (აშშ, 29) - მიხალ ტაბარა (ჩეხეთი) | 6:4, 6:1, 6:4 |
| ანდრე აგასი (აშშ, 8) - რაინერ შუტლერი (გერმანია) | 6:3, 6:1, 6:0 |
| მარატ საფინი (რუსეთი, 4) - ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) | 6:4, 6:1, 6:3 |
| მარიო ანჩიჩი (ხორვატია, 28) - ბიორნ ფაუ (გერმანია) | 7:5, 6:2, 6:1 |
| ოლივიე როხუსი (ბელგია) - გაელ მონფილი (საფრანგეთი) | 6:1, 6:3, 6:3 |
| კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) - ტომი ჰაასი (გერმანია, 16) | 5:7, 2:6, 6:2, 7:6, 6:3 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა, 10) - მერდი ფიში (აშშ) | 2:6, 6:4, 7:5, 7:6 |
| დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი. 20) - იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) | 6:2, 7:6, 3:6, 7:5 |
| ტომას იუჰანსონი (შვედეთი, 30) - აგუსტინ კალიერი (არგენტინა) | 6:4, 5:7, 6:3, 2:6, 7:5 |
| კევინ კიმი (აშშ) - გილიერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) | 6:2, 6:4, 6:2 |

**ქალები:**

| | |
|---|---|
| სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 5) - მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 6:2, 6:0 |
| მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) - გიზელა დულკო (არგენტინა) | 7:6, 7:5 |
| ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) - ფაბიოლა სულუაგა (კოლუმბია, 17) | 6:2, 7:6 |
| ვერა დუშევინა (რუსეთი) - ვერა ზვონარევა (რუსეთი, 9) | 6:3, 6:3 |
| სილვია ფარინა-ელია (იტალია, 15) - მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) | 6:3, 7:6 |
| ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) - სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) | 2:6, 6:3, 6:1 |
| ნა ლი (ჩინეთი) - შინობუ ასაგო (იაპონია, 28) | 6:3, 6:4 |
| მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) - ლინდსი ლი-უოტერსი (აშშ) | 4:6, 6:0, 6:3 |
| სერენა უილიამსი (აშშ, 7) - დალი რანდრიანტეფი (მადაგასკარი) | 6:3, 6:0 |
| სონია მირზა (ინდოეთი) - პეტრა მანდულა (უნგრეთი) | 6:2, 6:1 |
| მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 22) - ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) | 6:4, 7:5 |
| ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი, 11) - სოფი ფერგიუსონი (ავსტრალია) | 4:6, 6:0, 6:1 |
| ევგენია ლინეცკაია (რუსეთი) - მარტინა სუხა (სლოვაკეთი) | 6:0, 6:2 |
| ემი ფრეიზერი (აშშ, 2!) - დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) | 6:1, 3:6, 6:2 |
| ანა ივანოვიჩი (სერბეთი) - მარია კირილენკო (რუსეთი) | 6:1, 6:1 |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი, 2) - დინარა საფინა (რუსეთი) | 2:6, 6:1, 6:0 |

TV-სპორტი

## ხუთშაბათი. 20 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "ჩელსი" - "პორტუ"
14:10 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "ბოლტონი" - "არსენალი"
15:55 თავისუფალი დარტყმა
16:10 ბრაზილიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. "სანტოსი" - "პაისანდუ"
17:55 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "უდინეზე"
19:40 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:15 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
20:45 "FUTBOL MUNDIAL"
21:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "ბაიერი" - "რომა". შესვენებისას (22:05) - თავისუფალი დარტყმა
23:25 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 "თოვლის სამყარო" - ტელეჟურნალი
11:10 "ვატერპოლე"
11:40 წყლის თხილამურები. მსოფლიო თასი ინგლისში
12:15 "სპორტისიმო"
13:15 "ნადირობის სეზონი"
13:45 "ჰოკეი-პლუს"
14:00 სნოუბორდი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ქალები. ვაჟები. პარალელური გიგანტური სლალომი. ფინალი
16:15 "არტეფაქტი". ფიგურული სრიალი
17:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
21:00 "მოტოვებული კვირა"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი ვეიკ-ან-ზეეში
23:00 "ჩქაროსნული სამყარო" - ტელეჟურნალი
23:30 "ჰოკეი-პლუს"
23:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
00:15 ახალი ამბები
00:30 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
01:00 01:00-დან 02:55-მდე შესვენება
02:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

07:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი იტალიაში. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი
19:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი ხორვატიაში. ქალები
20:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასის ეტაპი ხორვატიაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
20:45 სკელეტონი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში
21:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი იტალიაში. ინდივიდუალური რბოლა. ქალები. მიმოხილვა
22:15 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი მონტე კარლოში
01:30 ახალი ამბები
01:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. მიმოხილვა
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

2005 NORTH AMERICAN INTERNATIONAL AUTO SHOW

# დეტროიტის ავტოსალონის სიახლეები

(ნაწილი პირველი)

მერაბ ლორთქიფანიძე

9 იანვარს პრესისთვის გახსნა კარი დეტროიტის "კობო სენტერმა", სადაც გაიხსნა უმსხვილესი ჩრდილოამერიკული ავტოშოუ. ეს რეგიონის ყველაზე პრესტიჟული ავტოსალონია და ბუნებრივია, მასზე ყველა იმ კომპანიამ წარმოადგინა თავისი სიახლეები, რომლებიც ამერიკულ ბაზარზე მოღვაწეობენ.

წლევანდელი ავტოსალონი "კობო სენტერის" საგამოფენო კომპლექსის 60 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე განლაგდა. ავტოსალონზე წარმოდგენილ იქნა 60-ზე მეტი ახალი ავტომობილი - როგორც კონცეპტუალური, ასევე წარმოებისთვის მომზადებული.

ამერიკული "დიდი სამეულის" (დიდ სამეულში მოიაზრებიან "ჯენერალ მოტორსი", "ფორდ მოტორსი" და "კრაისლერი") გარდა, ავტოსალონზე თავიანთი სიახლეები წარმოადგინეს "ლექსუსმა", "ბეემვემ", "ნისანმა", "ტოიოტამ", "მერსედესმა", "აუდიმ", "ჰონდამ" და მსოფლიოს სხვა დიდმა კომპანიებმა.

9 იანვრიდან მოყოლებული, ავტოსალონი ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ პრესისა და საავტომობილო მრეწველობის სპეციალისტებისთვის მუშაობდა. მომდევნო რვა დღის განმავლობაში კი "კობო სენტერმა" ასეულობით ათას დამთვალიერებელს უმასპინძლა.

დეტროიტამდე რამდენიმე დღით ადრე, ლოს ანჯელესში მუშაობა დაიწყო ლოს ანჯელესის ავტოსალონმა, რომელზეც ასევე რამდენიმე საინტერესო სიახლე იყო წარმოდგენილი. რუბრიკა "ავტომობილი" გაზეთ "24 საათის" მკითხველს ორივე ავტოსალონზე გაუწევს მეგზურობას და დეტროიტსა და ლოს ანჯელესში წარმოდგენილ სიახლეთა უმეტესობასთან გაცნობის საშუალებას მისცემს.

## ამერიკის წლის ავტომობილები

დეტროიტის ავტოსალონის პირველსავე დღეს გამოცხადდა კონკურს "ჩრდილოეთ ამერიკის წლის ავტომობილის" ორი გამარჯვებული - 2005 წლის საუკეთესო ავტომობილის (სედანის) წოდება ერგო "კრაისლერ 300-ს", წლის საუკეთესო უგზოობის ავტომობილად კი გამოცხადდა "ფორდის" ჰიბრიდული ავტომობილი "ისკეიპ ჰიბრიდი".

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო აშშ-ისა და კანადის 48 ჟურნალისტმა, რომელთა სპეციალობაც (ბუნებრივია) ავტომობილია. თითოეული მათგანის განკარგულებაში იყო 25 ქულა, რომელთაგან ერთ მოდელზე მაქსიმუმ ათი ქულის მიკუთვნების უფლება ჰქონდა. ამასთან, ჟიურის მონაწილეს ერთ კატეგორიაში ათი ქულის მიკუთვნება მხოლოდ ერთი ავტომობილისთვის შეეძლო.

ავტომობილების კლასში, 480 შესაძლებლიდან 313 ქულა მოიპოვა "კრაისლერ 300-მა", რომელსაც 57 ქულით ჩამორჩა რეტრო-სტილის "ფორდ მუსტანგი". კონკურსში მესამე ადგილზე დარჩა მე-6 თაობის "შევროლე კორვეტი", რომელსაც სულ 108 ქულა ერგო.

უგზოობისა და პიკაპების კლასის ავტომობილების ფინალის სამივე მონაწილე "ფორდის" წარმოებისა იყო. მათგან ყველაზე მეტი, 232 ქულა მოიპოვა "ისკეიპ ჰიბრიდმა", მეორეზე გავიდა "ფორდის" საკუთრებაში მყოფი "ლენდ როვერის" ახალი LR3, რომელმაც 163 ქულა დააგროვა, მესამეზე კი დარჩა გაზრდილი გამავლობის სპორტული უნივერსალი "ფორდ ფრისტაილი" (148 ქულა).

"ცისფერმა ოვალმა" (ფორდმა) "ისკეიპ ჰიბრიდის" გაყიდვები გასულ სექტემბერში დაიწყო და სულ 3000 ცალის რეალიზება მოასწრო. წლეულს კომპანია 20 ათასი ცალის გაყიდვას გეგმავს. მოთხოვნა უფრო მეტია, მაგრამ რაოდენობა შეზღუდულია, რადგან უფრო მეტის დასამზადებლად საჭირო ელექტრობატარეებს ვერ ამზადებს პარტნიორი კომპანია "სანიო". სხვათა შორის, ჰიბრიდული "ისკეიპი" 3000 დოლარით ძვირი ღირს ტრადიციული შიდაწვის ძრავით აღჭურვილ მოდელზე.

## ფორდ SYNUS

ტრადიციულად, აშშ-ში მცირეგაბარიტიანი (ევროპული სტანდარტებით, B სეგმენტის ავტომობილები, რომლებიც გაბარიტებით "ფორდ ფიესტას" შეესაბამებიან) ავტომობილები ნაკლები პოპულარობით სარგებლობენ. თუმცა, სტატისტიკური მონაცემებით, ახლო მომავალში მოსალოდნელია ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილის გადადინება დიდ ქალაქებში, რაც, შესაბამისად, ქალაქებში გადაადგილებას პრობლემურს გახდის. ამას კი მოჰყვება მოთხოვნილების გაზრდა საშუალო და მცირე კლასის ავტომობილებზე.

ბუნებრივია, ამ პროგნოზს მხედველობაში ღებულობენ ავტომწარმოებლები და მათ შორის, "ფორდიც", რომელმაც დეტროიტში წარმოადგინა უცნაური გარეგნობის ავტომობილი სახელად "სინუს", რომელიც სწორედ "ფიესტას" მოდერნიზებულ პლატფორმაზეა ბაზირებული. დღეს "ფიესტას" თითქმის არ იცნობენ ამერიკაში, მაგრამ "ცისფერი ოვალი" დღესვე შეუდგა ბაზრის ამ სეგმენტის გამოკვლევას და ამისათვის ამერიკელ ავტომოყვარულთა განსასჯელად დაამზადა "სინუსი".

"სინუსი" პატარა ავტომობილი კია, მაგრამ მის დანახვაზე ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ის საქალაქო გზებისთვის კი არა, სამხედრო დანიშნულებისთვისაა შექმნილი, ან ინკასატორებისთვის და დაცვის სამსახურებისთვის. მოკლედ, "სინუსი" ყველაფერს ჰგავს, გარდა ჩვეულებრივი საქალაქო ტრანსპორტისა. უფრო მეტიც, ბორდიურთან მიყენებულ ავტომობილის შუშები ჯავშნით იფარება და მასში შეღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ესეც რომ არ იყოს, შუშები არმირებულია და ტყვიამფრქვევის ტყვიებს ირეკლავს.

საინტერესოდაა გადაწყვეტილი ავტომობილის ინტერიერი. სალონი კომფორტულობითა და სიმყუდროვით გამოირჩევა. იგი ერთგვარ მცირე ოფისსაც მოგვაგონებს. მასში წინა სავარძლებიც კი ყველა მიმართულებით მოძრაობს და მძღოლსა და წინა მგზავრს უკან მობრუნების და უკანა მგზავრებთან პირისპირ დაჯდომის საშუალებაც აქვთ.

საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია საჭის რგოლის დაკეცვა და ხელსაწყო-მაჩვენებელთა პანელის ქვეშ დამალვა. სალონში ყურადღებას იქცევს უკანა კარზე განლაგებული, დიდი ზომის თხევადკრისტალური დისპლეი, რომელიც შეიძლება ჩვეულებრივ ტელევიზორად იქნას გამოყენებული, ან კომპიუტერის მონიტორად, ან კიდევ, სანავიგაციო სისტემის ეკრანად. უფრო მეტიც, ამ დისპლეის მეშვეობით შესაძლებელია მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება, რაშიც მომხმარებელს რამდენიმე ვიდეოკამერა ეხმარება.

"სინუსისთვის" კონსტრუქტორებმა აირჩიეს სედან "მონდეოს" ორლიტრიანი, ტურბოკომპრესორით აღჭურვილი დიზელი, რომლის სიმძლავრე 134 ცხენის ძალას შეადგენს. საწვავის ეკონომიის მიზნით, ძრავი მოიხმარს 80 პროცენტ დიზელის საწვავისა და 20 პროცენტ ბიო-დიზელის ნარევს. ავტომობილი "ფიესტას" პლატფორმაზე კია ბაზირებული, მაგრამ მისი უკანა საკიდარი მთლიანადაა შეცვლილი და ტორსიონებს ეყრდნობა.

"სინუსი" დგას 18-დუიმიან თვლებზე, რომლებიც შემოსილნი არიან იტალიური კომპანია "პირელის" წარმოების P225/50-18 ზომის საბურავებით. სავარაუდოდ, მსგავსი ავტომობილები აშშ-ის გზებზე 2010 წლისთვის უნდა გამოჩნდეს.

## შევროლე HHR

ბოლო წლებში რეტრო-სტილი დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს ავტომწარმოებლებს შორის და ამ მხრივ, არც "ჯენერალ მოტორსია" გამონაკლისი, რომელმაც "შევროლეს" მარკით უკვე მეორე ასეთი ავტომობილი წარუდგინა ავტომოყვარულს. ესაა დიდი გამავლობის უნივერსალი, ანუ ქროსოვერი "შევროლე HHR".

ამ ავტომობილის სტილი მოგვაგონებს 1949 წლის პიკაპ "შევროლე საბურბანსა" და შარშანდელ "შევროლე SSR-ს". ოთხკარიანი HHR აგებულია მცირე ზომის ავტომობილ "შევროლე კობალტის" პლატფორმაზე და გაბარიტებით საგრძნობლად დიდია "კრაისლერის" წარმოების კონკურენტ "PT კრუიზერზე", რომელიც დღემდე ერთადერთია ამ სტილის ავტომობილების სეგმენტში, მაგრამ უახლოეს მომავალში, სწორედ HHR გაუწევს კონკურენციას.

ახალ ავტომობილს წინა წამყვანი თვლები აქვს და მისთვის ორი ოთხცილინდრიანი ძრავია განკუთვნილი. ერთის მუშა მოცულობაა 2.2 ლიტრი, რომლის სიმძლავრე 140 ცხენის ძალაა, მეორის მოცულობა და 2.4 ლიტრია, სიმძლავრე კი - 170 ცხენის ძალა. ორივეს ძრავისთვის გათვალისწინებულია კომპანია "გეტრაგის" წარმოების, მექანიკური (ხელით მართვის) და ავტომატური, 4-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფები. ამასთან, მწარმოებელი ჯერ არ აპირებს მყიდველისთვის ოთხივე წამყვანთვლიანი ტრანსმისიის მქონე HHR-ის შეთავაზებას.

ისევე როგორც "კობალტს", HHR-საც წინა საკიდარი მაკფერსონის სისტემის აქვს, უკან კი ნახევრადდამოუკიდებელი დაკიდება გამოიყენება, რომლის დრეკად ელემენტსაც ტორსიონი წარმოადგენს. საბაზო მოდელები აღიჭურვება 16-დუიმიანი თვლებით და რბილი საკიდარით, უფრო მაღალი დონის მოდიფიკაციები კი 17-დუიმიან თვლებსა და სპორტულ დაკიდებას მიიღებენ.

"შევროლე HHR-ის" გაყიდვები ამ წლის მეორე ნახევარში დაიწყება, მისი საბაზო მოდელის ღირებულება კი აშშ-ში 20 ათასი დოლარი იქნება. მწარმოებელი იმედოვნებს, რომ წლიურად 80-100 ათასი ავტომობილის რეალიზებას შეძლებს.

## ჯიპ ჰარიკეინი

გსმენიათ ადამიანის შესახებ, რომელსაც ორი გული აქვს? ან ისეთი ავტომობილი თუ გინახავთ, რომელსაც ერთდროულად ორი ძრავი ემსახურება, რომელთაგან ერთი წინაა განლაგებული, მეორე კი - უკან? არა? ორგულიანი ადამიანისა რა გითხრათ, მაგრამ ორძრავიანი ავტომობილი დღეიდან რეალობად იქცა და ეს კომპანია "დაიმლერკრაისლერის" ამერიკული შტოს კონსტრუქტორთა დამსახურებაა, რომელთა მიერ შექმნილმა უგზოობის ავტომობილმა სახელად "ჰარიკეინ" (ქარიშხალი, გრიგალი) ავტოინდუსტრიის ყველანაირი სტანდარტი დაარღვია.

მაშ ასე, ავტომობილს ორი გული, ანუ ძრავი აქვს. ესენია სერია "ჰემის" სისტემის 5.7-ლიტრიანი აგრეგატები, რომლებიც კომბინირებულად 670 ცხენის ძალასა და 740 ნ.მ. მაბრუნ მომენტს გამოიმუშავებენ. სიმძლავრე და მაბრუნი მომენტი თავს იყრის ავტომობილის შუაში განლაგებულ სატრანსფერო კეისში, რომელიც მთელ ამ "ავლა-დიდებას" განაგებს. კეისი ისეა კონსტრუირებული, რომ ერთი ძრავიდან მიღებულ მაბრუნ მომენტს ავტომობილის მარჯვენა მხარეს განლაგებულ თვლებს გადასცემს, მეორედან კი - მარცხენას.

ავტომობილის კიდევ ერთი საინტერესო თვისება ისაა, რომ მისი ოთხივე თვალი მართვადია, რაც მას ერთ ადგილზე ტრიალის, გვერდზე გადაადგილების და სხვა უჩვეულო მანევრების შესრულების საშუალებას აძლევს.

საჭის მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ როცა წინა ბორბლები მარჯვნივაა მიტრიალებული, უკანები მარცხნივ ტრიალდება, რაც ავტომობილს ადგილზევე მობრუნების უნარს სძენს. ექსტრემალურ სიტუაციაში კი ოთხივე ბორბალს ერთი მიმართულებით მიტრიალება შეუძლია, რისი წყალობითაც, ავტომობილი ნებისმიერი კუთხით იმოძრავებს.

ამ ავტომობილზე მუშაობისას, "კრაისლერის" კონსტრუქტორებმა რამდენიმე პატენტი აიღეს, რომლებსაც უახლოეს მომავალში დანერგავენ მასობრივ წარმოებაში. "ჰარიკეინზე" გამოყენებულია ძრავის ცილინდრების დეაქტივაციის ტექნოლოგია, რომელიც სწორედ ახლა იკიდებს ფეხს ავტომობილების მასობრივ წარმოებაში და ჯერჯერობით მხოლოდ მდიდრული ავტომობილებისთვის განკუთვნილი ფუფუნებაა. ამ ტექნოლოგიის მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, ორივე, რვაცილინდრიანი ძრავიდან იმუშავებს მხოლოდ 4, 8, 12 ან 16-ვე ცილინდრი.

ავტომობილის მზიდი სისტემა დამზადებულია ფოლადის მასიური ჩარჩოსა და შუშა-ნახშირბადოვანი კომპოზიციური მასალების კომბინირებული გამოყენებით. ამით, საგრძნობლად მცირდება ავტომობილის წონა და იზრდება მისი სიმტკიცე და სიხისტე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს უგზოობის ავტომობილისთვის.

მწარმოებელი დეტროიტში ირწმუნებოდა, რომ "ჯიპ ჰარიკეინი" სერიული წარმოებისთვის არაა განკუთვნილი და კონსტრუქტორების ერთგვარი გასართობია, რომლებმაც ასე გამოხატეს თავიანთი ფანტაზია, ნიჭი და შესაძლებლობანი. თუმცა, ისინი აუცილებლად გამოიყენებენ იმ პატენტებს, რომლებიც უკვე გააფორმეს. ისე, ბოროტი ენები ამბობენ, გერმანულ-ამერიკული კორპორაცია "ჰამერის" კონკურენტის შექმნას აპირებსო...

## ჯიპ გლადიატორი

უგზოობის "ჰარიკეინი" ერთადერთი კონცეპტკარი როდია, რომელიც "კრაისლერის" დივიზიონმა "ჯიპმა" დეტროიტში წარმოადგინა. "კობო სენტერის" კომპლექსის იმ სექტორში, სადაც "ჯიპის" პროდუქცია იყო გამოფენილი, თავს იწონებდა კიდევ ერთი რეინჯერი - სუპერგამავლობის პიკაპი სახელად "გლადიატორი".

კონსტრუქტორებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ეს ავტომობილი მაქსიმალურად სპარტანული და მარტივი ყოფილიყო. ისევე როგორც 1962 წელს, როცა "ჯიპმა" პირველად გამოიყენა სახელწოდება "გლადიატორი", დეტროიტში წარმოდგენილ კონცეპტუალურ მოდელსაც ბრეზენტის სახურავი, მოსახსნელი კარებები, დასაკეცი საქარე მინა და დიდი ზომის საბარგო განყოფილება აქვს.

"კრაისლერის" ჯგუფის საინჟინრო განყოფილების შეფ ტრევორ ქრიდის სიტყვებით, "ამ ავტომობილში კლასიკური მოდელის გარეგნობასთან შეხამებულია თანამედროვე ავტოინდუსტრიის მიღწევები". კლასიკურობის ხაზგასასმელად, კონსტრუქტორებმა "გლადიატორის" გვერდით სათადარიგო საბურავიც დაკიდეს.

სხვათა შორის, იმ ადგილის მოპირდაპირე მხარეს, სადაც სათადარიგო საბურავია დამაგრებული, ავტომობილს მესამე კარიც აქვს დატანებული, რომელიც უკანა ორი სავარძლის მგზავრებს ავტომობილში ჩასხდომა-გადმოსვლას უადვილებს. სიტყვამ მოიტანა და, ავტომობილი ოთხადგილიანი კია, მაგრამ უკანა სავარძლებზე მეტ-ნაკლები კომფორტით მომცრო ტანის ადამიანები თუ განთავსდებიან.

რაც შეეხება საბარგულს, რომლის წყალობითაც, ავტომობილი პიკაპების კლასს განეკუთვნება, მისი სიგრძე 1.7 მეტრია და თუ უკანა სავარძლებიც დაიკეცება, საბარგულის სიგრე 2.4 მეტრსაც აღწევს. ამ საბარგულით "გლადიატორს" მინიმუმ 680-კილოგრამიანი ტვირთის გადატანა შეუძლია.

კაპოტქვეშ განთავსებულია 2.8-ლიტრი მუშა მოცულობის მქონე 4-ცილინდრიანი დიზელის აგრეგატი, რომელიც 163 ცხენის ძალა სიმძლავრესა და დაახლოებით 400 ნ.მ. მაბრუნ მომენტს გამოიმუშავებს. ძრავისგან მაბრუნი მომენტი წამყვან ოთხივე თვალს 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფისა და წინა და უკანა, ბლოკირებადი დიფერენციალის მეშვეობით მიეწოდება.

დეტროიტში წარმოდგენილი "გლადიატორი" შოუ-კარია და შორსაა წარმოებისგან. ამასთან, ავტოსალონზე არაფერი თქმულა იმის შესახებ, აპირებს თუ არა "დაიმლერკრაისლერი" ამ ავტომობილის წარმოებაში გაშვებას.



კრაისლერ 300



ფორდ ისკეიპ ჰიბრიდი



ფორდ სინუსი



შევროლე HHR



ჯიპ ჰარიკეინი





ჯიპ გლადიატორი



სახელი ______ მისამართი ______

გვარი ______

ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______

სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______ თარიღი______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა

# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, [illegible] კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

[illegible]

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

[illegible]

## TV პროგრამა

### 20 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ფორტ-ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წვიმას მოყოლილი მამაკაცი სველი ფეხსაცმლით" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ბელროკის შუქურა" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ედ გეინი" (18) (სტივ რეილსბეკი) **02.00** პატრული

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ტერი ჯონსის შუა საუკუნეები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - გიბსონი, ჰილტონი. **16.30** დოკ. ფილმი "საშიშროება ვეფხვის სამოთხეში" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" - ფრენა **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ვირტუალური რეალობა" მე-2ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "კოლუმბიის უკანასკნელი აფრენა" **23.00** მედიატორი **23.30** მხ. ფილმი "მხიარული კვირადღე" **02.00** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "იყო ერთი პოლიციელი" (15)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **20.30** დოკ. ფილმი "ხმელთაშუა ზღვის ვეშაპის საიდუმლო" **21.20** საახალწლო შოუ **22.50** მხ. ფილმი "დღე"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია-3" **12.20, 17.10, 02.30** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "რეალური სიყვარული" (15) (ჰ. გრანტი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია-4" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** მხ. ფილმი "უივერნის სასახლის საიდუმლო" (15) (ნ. უოტსი) **00.55** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიცესტი **09.20** კომედია "აგენტი კოდი ბენქსი" **11.00** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** ბოევიკი "ჰოლივუდელი კოპები" **13.40** მუსიკა **14.45** ფანტასტიკა "მაიმუნების პლანეტა" **16.40** მულტფილმი **17.45** მხ. ფილმი "პარიზი" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **20.00** "გადარჩენილი სიტყვა" **21.00** სათავგ. ბოევიკი "ამაზონის განძი" **22.45** "ექსკლუზივი" **23.30** საინფორმაციო დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "კოცნის პრელუდია"

### კავკასია

**11.00** მხ. ფილმი "ტაქსი-3" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "დარტყმის თავისუფლება" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკა **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუსიკა **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **19.30** სერიალი "დიდი სახლი" **22.30** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"БЛИЗНЕЦЫ". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.20** "Курбан-Байрам". Трансляция из Уфимской соборной мечети. **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20** Дисней-клуб: "Утиные истории". **13.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА". 15.20** "Угадай мелодию" **15.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 17.00** "Пять вечеров". Четверг. **18.20** "Анекдоты". **19.50** Сериал **"ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА". 21.00** Время. **22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время". **23.50** Ударная сила. "Снайперский аккорд". **00.20** Идолы. "Самый верный друг Мерилин Монро". **00.50** Неизвестная планета. "В поисках Ноева ковчега". **01.20** Николас Кейдж в фильме **"ПОКИДАЯ ЛАС-ВЕГАС"**. Жизнь Бена Сандерса превратилась в один сплошной кошмар. Он уже и сам не помнит, когда начался его затяжной запой. Он потерял работу, его бросила красавица жена. В жизни не осталось ничего, что мешало бы свести с ней счеты. И Бен, продав все, что еще осталось, отправляется в Лас-Вегас в свое "прощальное" путешествие по барам и ресторанам. Там среди блеска огней и прелестей ночной жизни Бен знакомится с Серой - симпатичной проституткой, мечтающей избавиться от сутенера и встретить настоящую любовь. Она проникается к несчастному пропойце искренней симпатией. Может, Сера и есть та "спасательная соломинка", посланная судьбой, за которую следует ухватиться бедняге Бену? **03.20** Марлон Брандо в приключенческом фильме **"ПОГОНЯ"**.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Анатомия преступлений. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Сериал **"УСАДЬБА". 13.30** Сериал **"НА ВИРАЖЕ". 14.30** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"УСАДЬБА". 20.45** Сериал **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** "К барьеру!" Ток-шоу **00.15** Мэл Гибсон в криминальном фильме **"ПЬЯНЫЙ РАССВЕТ"**. Бывший полицейский Дэйл МакКьюзик оказался втянутым в наркоторговлю. Его друг и соратник лейтенант Ник Фрише вынужден начать следить за ним по подозрению в скорой крупной сделке. Для получения информации он использует Джоэн Валинари - хозяку ресторана, молодую красивую женщину, в которую влюблен Дэйл. Завязывается сложный узел из чувств вперемежку с долгом. Для задержания наркобарона из Мексики в помощь местным копам прибывает начальник тамошней полиции. Он -то и оказывается тем самым наркодельцом, за которым идет охота... **02.35** Анатомия преступлений. **03.10** Сергей Маковецкий в фильме **"ТРЕТИЙ ВАРИАНТ"**. 1-я серия. **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Сериал **"ОПЕРАТИВНИК"**. **05.35** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



**წინა სკანვორდის პასუხები:** [illegible]

1. წრეხაზის რომელიმე წერტილისა და ცენტრის შემაერთებელი სწორი; 2. ქართული ტელეკომპანია; 3. ჩეხი მწერალი-სატირიკოსი; 4. მე-19 საუკუნის ინგლისელი პოლარული მკვლევარი; 5. კიბერნეტიკის ერთ-ერთი მიმართულება; 6. სამრეწველო საწარმო; 7. ფილმ "ქეთო და კოტეს" რეჟისორი; 8. ზამთრის მე-10 ოლიმპიური თამაშების მასპინძელი; 9. ზღვის ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი ცხოველი; 10. ჭუჭრუტანიდან შემოსული სინათლის სხივი; 11. ცეცხლის ასანთები პრიმიტიული საშუალება; 12. პირველი სამეცნიერო ხარისხი; 13. ქართველი მოკრივე, 1977 წლის ევროპის ჩემპიონი; 14. სპორტული საქონლის მწარმოებელი კომპანია; 15. დაცემული, ჩავარდნილი ადგილი მთებს შორის; 16. მონასტრის მსახური; 17. პარლამენტი ირანსა და თურქეთში; 18. მტაცებელი ფრინველი; 19. ყვითელი, პრიალა ყვავილებიანი ბალახი; 20. თხრობითი მხატვრული ლიტერატურა; 21. დაკეპილი ხორცის კერძი; 22. სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 23. სპორტული პაექრობისას სუსტი მოწინაალმდეგისთვის უპირატესობის მინიჭება; 24. პერსონაჟი ოპერიდან "აიდა"; 25. უნგრული ავტობუსების მარკა; 26. ღვიძლის გადაგვარება; 27. სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში; 28. რომის პაპის რეზიდენცია; 29. საესტრადო პროგრამების თეატრი; 30. თევზის კვერცხების ერთობლიობა; 31. კომედიური ჟანრის იტალიელი კინომსახიობი; 32. შემოკავებული მიწის ნაკვეთი სახლის გარშემო; 33. ჯ. როსინის ოპერა; 34. ისტორიული ოლქი ჩრდილოეთ პალესტინაში; 35. ა. ლინდგრენის ზღაპრის გმირი; 36. ყურის ანთება.

# 2006 - ჩავარდნა

გლასტონბერის ფესტივალის დამფუძნებელი მაიკლ ივისი ინგლისური ტალახის მოყვარულ მელომანებს ცუდ ამბავს ამცნობს: 2006 წელს ღონისძიება არ გაიმართება. ამ დროს ორგანიზატორები ახალი იდეების გენერაციისთვის, ფესტივალის დახვეწისთვის და, უბრალოდ, განტვირთვისთვის გამოიყენებენ. თან მეზობლებსაც დაასვენებენ - ხალხმრავლობისგან და 24-საათიანი ცოცხალი კონცერტებისგან.



ეს ინფორმაცია ივისმა მას შემდეგ გაავრცელა, რაც პრესას 2005 წლის გეგმების შესახებ ამცნო. მომავალი წლისგან განსხვავებით, 2005 წელს სომერსეტის საგრაფოში, ივისის კუთვნილ ფერმაში გლასტონბერის ფესტივალი ჩვეულებრივად გაიმართება.

"1987 წლიდან მოყოლებული, ყოველ მეხუთე წელს შვებულებაში გავდივართ ხოლმე. ფერმერების ენაზე რომ ავხსნათ, მიწას ვასვენებთ. ამ პერიოდში ძროხებიც მოითქვამენ სულს, თვითონ ფერმაც განიტვირთება, მიწის მუშაკებიც და თანასოფლელებიც კმაყოფილები დარჩებიან. შემდეგ წელს კი ყველა განახლებული ენერგიით დაბრუნდება, უფრო დიდი სიახლის მოლოდინით".

ივისმა საგანგებოდ დააკონკრეტა ისიც, რომ 2006 წელი შესვენებად მომჩივანი მეზობლების გამო არ გამოუცხადებია. "მთელი სოფლიდან, რომელშიც 975 ადამიანი ცხოვრობს, მხოლოდ ორი ადამიანი ჩივის. მღვდელიც კი მხარს გვიჭერს, ერთობა კიდეც! ეს შესვენება მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სურვილია".

შემოქმედებითი იდეების მოძიების გარდა, ფესტივალის დამფუძნებელი წყლის რეზერვუარის აგებასაც აპირებს. ფერმის ტერიტორიაზე მან ახალი წყარო აღმოაჩინა, რომლითაც მთელი ღონისძიების განმავლობაში ფესტივალზე დამსწრეების წყლით მომარაგება იქნება შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელი შესვენებად სრულიად ნებაყოფლობით ცხადდება, 2001 წელს ფესტივალი უსაფრთხოების ზომების გამო გადაიდო. იმავე წელს მენდიპის რეგიონალურმა საბჭომ ივისი 15 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა იმის გამო, რომ ტერიტორიაზე 200 ათასი ადამიანი შეიჭრა მაშინ, როცა ნებართვა მხოლოდ 100 ათას დამსწრეზე იყო გაცემული. დაუპატიჟებელი სტუმრებისგან, ანუ უბილეთოებისგან თავის დასაცავად 2001-ში ე.წ. სუპერ-მესერი ააგეს.

უსაფრთხოების ზომებს წელსაც დიდ ყურადღებას მიაქცევენ. 2005 წლის გლასტონბერიზე ივლიან ე.წ. ხმაურის პატრულები, რომელთა დავალებაც იქნება ხმაურის შეძლებისდაგვარად შეზღუდვა, რათა ახლო-მახლო მცხოვრებლები არ შეწუხდნენ.

ასე რომ, გლასტონბერი-2005-ისთვის მზადება უკვე დაიწყო. მალე, ალბათ, ორგანიზატორები დაპატიჟებული მუსიკოსების ნუსხასაც გააცნობენ პრესას.

# საგაზაფხულო სახეები შოუბიზნესიდან

მოდის სამყაროში ორ ძალიან ცნობილ და პრესტიჟულ სავაჭრო ნიშანს აქვს დიდი სიახლე, პარფიუმერულ გიგანტს "ლანკომსა" და ტანსაცმლისა და აქსესუარების მწარმოებელ "მანგოს". პირველის სიახლე ჰოლივუდელი დრიუ ბერიმორია - ჩარლის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და მამაცი ანგელოზი. მეგობარმა ვიზაჟისტმა გუჩი ვესტმანმა ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნა ის, რომ მოდის სამყაროში ბედის ცდა ღირს. და დრიუც "ლანკომის" ახალი, საგაზაფხულო კოლექციისთვის, სათაურით "ფრანგული რივიერა-2005", გაბედულად გაშიშვლდა.



ტანსაცმლის გახდა ახალი პარფიუმერიის უნიკალურობის წარმოსაჩენად გახდა საჭირო. ვესტმენის მიერ ვუნდერკინდულად გაკეთებული მაკიაჟი დრიუს მთელ ტანს ულამაზებს და "ლანკომის" ფრანგული რივიერის ფერთა გამას სრულყოფილად წარმოაჩენს. მსახიობის შესანიშნავი ხარისხის ფოტოები მალე მოდის ყველა პრესტიჟულ ჟურნალში ჩაიდება და "ლანკომის" ჯადოქრულ შესაძლებლობებში კიდევ ერთხელ დაარწმუნებს ქალებს. ამგვარ შედეგს არც თავად დრიუ ელოდა. როცა მზა კოლექცია და სარეკლამო პლაკატები იხილა, მან თქვა: "რა შეიძლება იყოს ამ ფერებზე უფრო ლამაზი?"

ამასობაში "ლანკომის" მეორე, შეიძლება ითქვას, ვეტერანი სახე - მიკ ჯაგერის ქალიშვილი ელიზაბეტი ახალ კამპანიაში ერთვება. ის ახალი სეზონიდან ზემოთ ხსენებულ "მანგოს" გაუწევს რეკლამას. როგორც "ვოგი" წერს, ელიზაბეტისთვის ეს შთაბეჭდილებებით სავსე მოგზაურობის დაწყებას ნიშნავს ლონდონიდან პარიზში, იქედან ბერლინში, მერე კი მადრიდში.

"მანგომ" - ამ ძალიან ცნობილმა, დახვეწილი გემოვნებითა და ნოვატორული იდეებით განთქმულმა ესპანურმა ქსელმა "როლინგსტოუნზის" ვარსკვლავის ქალიშვილზე არჩევანი იმ ახალგაზრდების მისაზიდად შეაჩერა, რომლებიც ერთდროულად "მშვიდი და ელეგანტურებიც არიან და მხიარულები და ლაღებიც".

"მანგოს" დირექტორი, დემიენ სანჩესი კიდევ უფრო აკონკრეტებს და აცხადებს, რომ ელიზაბეტი "ინდივიდუალური სილამაზის და შეუდარებელი პიროვნული თვისებების გამო აირჩიეს. ეს კომბინაცია კი მას "მანგოს" იდეალების განსხეულებისთვის სწორედ რომ მისწრებაა".

ლიზი ჯაგერის სარეკლამო პლაკატები უკვე დაბეჭდილია. მათი ხილვა "მანგოს" ოფიციალურ ვებ-გვერდზეც შეიძლება. საკმარისია ფოტოს შეხედოთ, რომ დარწმუნდებით, კარგ ვიზაჟისტებს მართლაც ჯადოსნური წარმოსახვის უნარი და ხელი აქვთ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ბრიტანელი ლიზი ფოტოზე ზედმიწევნით ესპანურად გამოიყურება - დიდი, წითლად შეღებილი ტუჩებით, კეხიანი ცხვირით და გვერდზე გადავარცხნილი თმით; იმდენად ესპანურად, რომ პედრო ალმოდოვარის ფილმების პერსონაჟსაც ჰგავს.

# ჟიზელის აღსარება

ბოლო ორი დღეა მოდის ინტერნეტ-ჟურნალები ბრაზილიელი სუპერ-მოდელის ჟიზელის ციტატებით კვებავენ მკითხველს. ციტატები გულისამაჩუყებელია და თითქმის ისეთივე ინტერესს იწვევს ელიტ-ქრონიკების მოყვარულ პუბლიკაში, როგორც ჯენიფერ ანისტონისა და ბრედ პიტის განქორწინებამ აღძრა ახლახან. ჟიზელი აცხადებს, რომ დღეს მართალია, ის ძალიან პოპულარული ქალია, მაგრამ იყო დრო, თავისი ტყუპის ცალის, პატრისიასი შურდა.



მოდელის ოჯახში ხუთი და იზრდებოდა. პატრისია ჟიზელის გაჩენიდან ხუთი წუთის შემდეგ დაიბადა და მთელი ბავშვობა ყოველთვის უფრო პოპულარული იყო ბიჭებში, ვიდრე ჟიზელი. "14 წლის რომ ვიყავით, ჩემს დას უკვე ჰყავდა შეყვარებული, მე კი ისიც არ ვიცოდი, როგორ უნდა მეკოცნა. პატრისიას ყოველთვის უფრო უმართლებდა", - იხსენებს მოდელი, რომელიც დღეს ლეონარდო დი კაპრიოს შეყვარებულია. აღსარების "მეორე ნაწილში" კი აცხადებს, რომ იმდენად ჩვეულებრივი ადამიანია, რომ ზოგს შეიძლება მოსაწყენიც ეჩვენოს.

მართლაც, ყველას ეგონა, რომ ლუკ ბესონის "ტაქსიში" შესრულებული როლის შემდეგ ჟიზელს რეჟისორები უამრავ მიწვევას გაუგზავნიდნენ, მაგრამ ახლახან გაირკვა, რომ ის არც ბონდის ახალ ფილმზე მიუწვევიათ - როგორც მოსალოდნელი იყო. ამის მიზეზადაც მოდელი თავის ხასიათს ასახელებს. "ფილმზე არ მიმიწვიეს. იცით, რაშია საქმე? ძალიან მოსაწყენი ვარ. ბევრს ვმუშაობ, სამსახურიდან პირდაპირ სახლში მივდივარ, ვსადილობ, მერე ვიძინებ. არც ნარკოტიკებს ვხმარობ და არც სკანდალებში ვეხვევი. ამიტომაც ჩემზე ჭორების გამოგონება უწევთ, მერე საგაზეთო სვეტებში რომ დაბეჭდონ".


**ICSRPA გთავაზობთ ბიზნეს ინგლისურის ორთვიან სერთიფიცირებულ კურსებს (Upper-intermediate, advanced), რომელიც ეფუძნება უახლეს მასალებსა და მეთოდოლოგიას.**
**რეგისტრაციისათვის დაგვიკავშირდით: 893 14 71 11, 77 84 24**
**მისამართი: ჯანო ბაგრატიონის 6**

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24


# ავსტრალიელი აგენტი 007

"ბი ბი სი"-ს ცნობით, ახალი ბონდის როლში ფავორიტად ავსტრალიელი მსახიობი ჰიუ ჯექმანი გვევლინება. ბუკმეკერების ლედბროუქსისა და უილიამ ჰილის მონაცემებით, ჯექმანი პირს ბროსნანის შემდეგ ყველაზე სასურველი ბონდია.



თუ საზოგადოების არჩევანი და პროდიუსერების გეგმები ერთმანეთს დაემთხვა, ჯექმანი ჯორჯ ლეიზენბის შემდეგ მეორე ავსტრალიელი 007 გახდება.

მესამე ადგილზეა ქლაივ ოუენი, მსახიობი ფილმიდან "სიახლოვე". "ოქროს გლობუსის" მოპოვების შემდეგ მისი შანსებიც ერთიორად გაიზარდა.

მეორე ადგილს კი ბუკმეკერების მონაცემებით არ თმობს "ტრეინსპოტინგის" ვარსკვლავი ევან მაქგრეგორი.

"ჯერჯერობით, ადგილები ასე ნაწილდება, მაგრამ თუ ქლაივ უოენმა მეორეხარისხოვანი როლის კატეგორიაში "ოსკარის" მოპოვებაც შეძლო, მაშინ ის ჯექმანის დაუძინებელი მტერი გახდება", - აცხადებს უილიამ ჰილი.

როგორც ხედავთ, ფსონების დადება მომავალ აგენტ 007-ზე კვლავაც გრძელდება; იმის მიუხედავად, რომ ფილმის პროდიუსერების - ბროკოლის ოჯახსა და სტუდია "ემ ჯი ემ"-ს შორის დავა არ დასრულებულა. "ის თუ ვინ მოიპოვებს საბოლოო ჯამში როლს ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ მოიგებს კულუარულ ბრძოლას. თუ გამარჯვებული ბროკოლები დარჩნენ, მაშინ შეიძლება ჯეიმს ბონდის როლში ვინმე აბსოლუტურად უცნობი მსახიობი ვიხილოთ, მაშინ, როცა "ემ ჯი ემ"-ი ფილმში დიდი ვარსკვლავის მიწვევას მოინდომებს".

რაც შეეხება უილიამ ჰილისა და ლედბროუქსის მიერ დაჯამებულ კოეფიციენტებს, სია ასე გამოიყურება:

1 ჰიუ ჯექმანი - 2/1 (უილიამ ჰილი და "ლედბროუქსი")

2 ევან მაქგრეგორი - 7/2 (უილიამ ჰილი)

2 კოლინ ფარელი - 7/2 ("ლედბროუქსი")

4 ქლაივ ოუენი - 4/1 (უილიამ ჰილი)

4 ქოლინ ფინი - 4/1 ("ლედბროუქსი")


# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.